საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

პარლამენტის ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №35 (2408) ხუთშაბათი, 13 თებერვალი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

## კონსტრუქციულმა თანამშრომლობამ ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესი მიზნის მიღწევას — ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1997 წლის 7 თებერვალს

#### I. შესავალი

ბატონო პარლამენტარებო!

დღეს მე საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ პრეზიდენტის საპარლამენტო მოხსენებას 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, კონსტიტუციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 1996 წლის ოქტომბერში პარლამენტში პრეზიდენტის ხელმოწერით წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტის პროექტი, დაიწყო წინასწარი საკომიტეტო განხილვები.

მაგრამ ჩვენმა დღევანდელმა სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის პროექტის კორექტირების აუცილებლობა.

დიდი მუშაობა ჩატარდა აღმასრულებელი ხელისუფლების, პარლამენტის კომიტეტებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობის საფუძველზე.

1997 წლის ბიუჯეტის პროექტი სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებთან, ისაფის პროგრამის მოთხოვნებთან და 1997 წელს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან.

ასეთია ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე გადატანილ იქნა 1997 წლის თებერვლისათვის.

აღმასრულებელი ხელისუფლება, მთავრობა, განსაკუთრებით, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, მუნიციპალური ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ბიუჯეტის პროექტი მომავალში პარლამენტში წარდგენილ იქნეს დროზე, კონსტიტუციისა და ბიუჯეტის შესახებ ახალი კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

იმედს გამოვთქვამ, რომ პარლამენტში პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, და, აგრეთვე, 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგების შესახებ მოხსენება განხილული იქნება კონსტრუქციული, ნაყოფიერი თანამშრომლობის ატმოსფეროში და ხელს შეუწყობს უმაღლესი მიზნის მიღწევას — ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

#### II. 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები

ა) რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები ეკონომიკისა და ფინანსების დარგში. მაკროეკონომიკური და სტრუქტურული გარდაქმნების სამწლიანი პროგრამის განხორციელების პირველი, 1996 წლის წინასწარი შედეგები

იხ. მე-3-4-5-6 გვ.



ედუარდ შევარდნაძე და ხავიერ სოლანა ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს.
სერგო ედიშერაშვილის და ბესიკ ვეზირაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## განგაში!

### არ შეიძლება ჩაითვალოს „ეკლესიის ხმად“

დაახლოებით სამი თვის წინათ ნ. პაპუაშვილმა საქართველოს საპატრიარქოში გასავრცელებლად წარმოადგინა მისი ავტორობით გამოცემული წიგნი „რელიგიის ისტორია“ (კარიბჭე. რელიგიის ისტორიის შესავალი, თბ., 1996).

ათი დღის შემდეგ ავტორს ეცნობა საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებასთან არსებული სარეცენზიო საბჭოს გადაწყვეტილება (რეცენზენტი გ. რუხაძე) იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ წიგნს მასში გადმოცემულ მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მიუღებელ შეხედულებათა გამო, საპატრიარქო არ გაავრცელებდა.

ამდენად, ნ. პაპუშვილის წიგნი „რელიგიის ისტორია“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს „ეკლესიის ხმად“, როგორც ეს ახლახან ბროშურად გამოცემული „ღია წერილის“ ავტორს არქიმანდრიტ ლაზარესა და მის თანამოაზრეებს მიაჩნიათ.

სარეცენზიო საბჭოს აზრი ამ წიგნის შესახებ ეცნობა საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარეს, პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელს, რომლის რეცენზიაც ავტორთან შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნდება.

საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილება.

ამ ე.წ. სახელმძღვანელოზე თავიანთი მოსაზრება მოგვაწოდეს მოსწავლეთა მშობლებმა, რომელთა წერილს გთავაზობთ დღევანდელი ნომრის

მე-8 გვ.

## ხავიერ სოლანა ეწვია საქართველოს პარლამენტს

საქართველოში ვიზიტად მყოფი ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა 12 თებერვალს ეწვია საქართველოს პარლამენტს.

გაიმართა ბატონ ხავიერ სოლანასა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას საუბარი პირისპირ.

შემდეგ ნატოს გენერალურ მდივანს შეხვდნენ პარლამენტის თავმჯდომარე და ბიუროს წევრები. საპატიო სტუმარს მიესალმნენ ზურაბ ჟვანია, ელდარ შენგელაია, ვახტანგ ყოლბაია, გიორგი კობახიძე, თამაზ გამყრელიძე. აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი, ქართველი ხალხი დიდად არის დაინტერესებული ნატოსთან შესაძლებელი თანამშრომლობითა და პარტნიორობით.

ბიუროს წევრებთან შეხვედრის შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტში. მის გამოსვლას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ბატონი ზურაბ ჟვანია პარლამენტის სახელით მიესალმა ნატოს გენერალურ მდივანს ბატონ ხავიერ სოლანას, რომლის ძალისხმევაც დიდია იმ საქმეში, რათა ნატო გახდეს მშვიდობის გარანტი ევროპაში, და აღნიშნა, რომ მჭიდრო ურთიერთობა ნატოსთან საქართველოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ ურთიერთობით ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიული, ახალი შესაძლებლობების პერიოდი იწყება.

პარლამენტში ნატოს გენერალური მდივნის გამოსვლას დაესწრნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ აბაშიძე და სხვა ოფიციალური პირები.

## ხავიერ სოლანა შეხვდა ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებს

საქართველოში ნატოს არ გააჩნია საელჩო და მისი წევრი ქვეყნების საელჩოები რიგრიგობით წარმოადგენენ ამ ორგანიზაციას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თურქეთის საელჩოს საქართველოში დღეს ნატოს წარმომადგენლობის ფუნქცია აკისრია.

12 თებერვალს ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა ეწვია თურქეთის საელჩოს და შეხვდა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ელჩებს ჩვენს ქვეყანაში.

როგორც თურქეთის ელჩმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, ნატოს გენერალურ მდივანთან საუბარი შეეხო ნატოს ამოცანებს, კერძოდ, მსოფლიოში მშვიდობის დაცვის გლობალურ საკითხებს, იმსჯელეს კავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ.

დასასრულ ელჩმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

## სადილი საპატიო სტუმრის პატივსაცემად

11 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ოფიციალური სადილი გაუმართა ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას.

სადილზე იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, სხვა ოფიციალური პირნი.

## ხავიერ სოლანა თბილისიდან გაემგზავრა

დამთავრდა საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას ვიზიტი. 12 თებერვალს ნაშუადღევს იგი თბილისიდან ერევანს გაემგზავრა. დედაქალაქის აეროპორტში სტუმარი გააცილეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საქინფორმი.

## ქართველი ხალხის წინაშე მდგარი ბევრი შიდა და გარე გასაჭირისა და საშიშროების მიუხედავად თქვენ განავითარეთ და განამტკიცეთ თქვენი ქვეყნის თავისუფლება

### ნატოს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას სიტყვა საქართველოს პარლამენტში 1997 წლის 12 თებერვალს

ქალბატონებო და ბატონებო, პარლამენტის წევრებო, პატივცემულო მეგობრებო,

მსურს, გადაგიხადოთ მადლობა ამ მოწვევისთვის, სიტყვით გამოვსულიყავი საქართველოს პარლამენტის წინაშე. ეს ნამდვილად დიდი პრივილეგიაა.

გასული წლების მანძილზე მე ცხოველი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს საქართველოს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბებას. ეს იყო დრამატული დრო. რა თქმა უნდა, იყო აღმასვლები და მარცხი. მაგრამ, მთლიანობაში, შედეგები დამაიმედებელია და პოზიტიური მრავალი თვალსაზრისით.

საქართველოს პარლამენტი იდგა დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების წინა ხაზზე.

ქართველი ხალხის წინაშე მდგარი ბევრი შიდა და გარე გასაჭირისა და საშიშროების მიუხედავად, თქვენ განავითარეთ და განამტკიცეთ თქვენი ქვეყნის თავისუფლება.

პრეზიდენტი შევარდნაძე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მეთაურობდა ამ ქვეყანას მისი ჩამოყალიბების გადამწყვეტ წლებში. თქვენ ნამდვილად გაგიმართლათ, გყოლოდათ ამ დროს მმართველობის საჭესთან ესოდენ უდიდესი ფიგურა. ის სარგებლობს საერთაშორისო საზოგადოებრიობის პატივისცემითა და სიყვარულით. როგორც მსოფლიოში აღიარე-

იხ. მე-2 გვ.

## დღის აქცენტი

### „ნაღმი“ მეტრო „გოცირიძესთან“

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, დედაქალაქის მერიის, პოლიციის მთავარი სამმართველოს, საბურთალოს რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობის, საზოგადოებრიობის, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენელთა საგანგებო, გამორჩეული ყურადღების მიუხედავად, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, მეტრო „გოცირიძესთან“ მაინც გრძელდება დევნილთა საპროტესტო აქცია, რომელმაც, სამწუხაროდ, ფრიად არასასიამოვნო ელფერი მიიღო. ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერია, — რამდენიმე ლტოლვილი კატეგორიულად მოითხოვს აფხაზეთში დაბრუნებას, არძინბას რეჟიმთან, სეპარატისტული ხელისუფლების მოთხოვნებთან ყოველგვარი დათმობის გამორიცხვას, მთელ აფხაზეთში საქართველოს კონსტიტუციური უფლებების აღდგენას და ა.შ.

ეს დევნილთა ლოზუნგებზეც იკითხება და, ბუნებრივია, თითოეულ ქართველს კარგა ხანია გულის სიღრმემდე აწუხებს და ზარავს, მაგრამ, აქ სხვა რამ არის მთავარი: ეს აქცია დედაქალაქის გარე იერსახის, გარე ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ წამოწყებულ (უკვე შეუქცევად!) კამპანიას მოჰყვა და ვითომცდა ჯიხურებსა და ტროტუარებზე მოვაჭრე დევნილთა შევიწროების გამო დაიწყო...

ქალაქის ხელმძღვანელობაში მსგავსი რამ არავის უფიქრია — პირიქით, დევნილებს და მათ ზურგს უკან მდგარ მოვაჭრეებს უკეთეს ადგილებს სთავაზობენ საგულდაგულოდ მოწყობილ ბაზრობებზე. ასე განსაჯეთ, „გაფიცულებს“, გამონაკლისის სახით, თვით მეტროს სადგურ „გოცირიძის“ ვესტიბიულში ჩასვლისა და ვაჭრობის უფლებაც კი მისცეს, რა თქმა უნდა, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. ერთ დღეს „გაფიცულები“ თანახმანი იყვნენ, კი ბატონო, ხვალიდან იქ ჩავალთო... მეორე დილით ისევ იუარეს და ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხეს თავს საერთო ზედამხედველობისათვის მისულ კეთილისმსურველთ.

პირდაპირ უნდა ითქვას: ამ გასაცოდავებული, თითოეული ჩვენთაგანისაგან მართლაც საგანგებო სითბოსა და სიყვარულის ღირსი დევნილების უკან საკმაოდ გაწვრთნილი დემაგოგები დგანან და შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებთ. ჯერჯერობით, შედარებით მცირე ექსცესი, მათი აზრით, ხვალ უფრო მსხვილ აქციაში გადაიზრდება და მთავრობა სერიოზულ დათმობებზე წავა... ამ დათმობებში ისინი კვლავ ქაოსსა და ანარქიას, დედაქალაქის ისევ უმართავ ბაზარქალაქად გადაქცევას გულისხმობენ, ამის შემდეგ კი, ვინ იცის, ზოგიერთებმა იქნებ პოლიტიკურ დივიდენდებსაც გამოჰკრან ხელი!

ბოლო დღეების ზოგიერთ გაზეთში ეს აშკარად იკითხება.

დღეს თითქმის ყველას გვიჭირს, მაგრამ ზედმეტი ლოიალობის, ფერების დრო ნამდვილად აღარ არის. ის ვინც დევნილს და მის მდგომარეობას პირადი „ვაჟკაცობის“, „გაბედულების“, „პრინციპულობის“ დასამტკიცებლად იყენებს — იმ ავადმოსაგონარი მიტინგომანიისაკენ გვიბიძგებს, რომელმაც დაღუპა ქვეყნის პოლიტიკაც, ეკონომიკაც და ზნეობაც!

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, „გოცირიძის“ მეტროსთან, რამდენიმე ლტოლვილის შეჭირვებული ყოფის გვერდით ნაცნობი ხელწერით გამზადებული საშიში ნაღმი დევს.

სპარტაკ ქობულია.

## პარლამენტი

### გრძელდება ბიუჯეტის პროექტის განხილვა

12 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარლამენტის საგანგებო პლენარული სხდომა. უმაღლესმა კანონმდებლებმა გააგრძელეს ქვეყნის 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა პირველი მოსმენით, რომელიც პარლამენტმა წინა კვირას დაიწყო.

პლენარულ სხდომას წინ უსწრებდა შემთანხმებელი კომისიის ოთხდღიანი ინტენსიური მუშაობა. შედეგად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა „საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის გადამუშავებული ვარიანტი — ზოგიერთი მუხლის რედაქცია შეიცვალა და შესაბამისობაში მოვიდა კონსტიტუციასთან და არსებულ კანონმდებლობასთან, ზოგიერთიც საერთოდ ამოღებულია.

სხდომაზე განსახილველ დოკუმენტთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია



### ჩამოვიდა ელადის ეკლესიის დელეგაცია

საქართველოს საპატრიარქოს მოწვევით თბილისში ჩამოვიდა ელადის (საბერძნეთის) ეკლესიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ელადის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი, გრევენის მიტროპოლიტი, მაღალ ყოვლადუსამღვდელოესი სერგიოსი, ელადის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი, ქიოსის მიტროპოლიტი მაღალყოვლადუსამღვდელოესი დიონისიოსი და წმიდა სინოდის ეკლესიათშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მაღალღირსი არქიმანდრიტი პროკოპიოსი.

სტუმრებმა საქართველოს საპატრიარქოს საჩუქრად გადასცეს საღვთისმსახურო ნივთები, საღვთისმეტყველო ლიტერატურა; მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის კი ტანსაცმელი, მედიკამენტები და პროდუქტები ჩამოიტანეს.

სტუმრები თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

### საზიანოა ქვეყნის განვითარებისათვის

საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევა განაპირობა პარლამენტის 7 თებერვლის სხდომაზე ერთ-ერთი პარლამენტარის განცხადებამ, რომ საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკა არ არსებობს და ხელისუფლების მიერ ამ ორგანიზაციის მხარდაჭერა კორუფციის ახალ წყაროს წარმოქმნისო.

მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი და პარლამენტი სერიოზულ ნაბიჯებს დგამენ ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხთა მოსაგვარებლად, მათი უფლებების დასაცავად, შემუშავებულია შესაბამისი კონცეფცია და სხვა.

ახალგაზრდული მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმართული ყოველგვარი მცდელობა საზიანოა ქვეყნის განვითარებისათვის და ხელს უწყობს ურთიერთნდობის ფაქტორის დაკარგვას, — ასეთია [illegible] დასკვნა.

### გურიაში კარგი გზა დააგეს

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს კონცერნ „საქავტოგზის“ თავმჯდომარემ ბორის სალარიძემ აცნობა, კონცერნის თანამშრომლებმა დაამთავრეს სამუშაოთა განხორციელება გურიის რეგიონში. შეკეთდა მხარის ცენტრალური ავტომაგისტრალები — საჯავახო-ლანჩხუთ-სუფსის, ჩოხატაურ-ოზურგეთ-ქობულეთის ავტომაგისტრალები. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ჩოხატაურ-ბახმაროს გზებზე.

აღდგა რამდენიმე ხიდის გადასასვლელი ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში. მხარის გზების მოსაწესრიგებლად სულ დაიხარჯა დაახლოებით 0,5 მილიონი ლარი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

## უკანასკნელ საათს



ჯოკარგალა. გუშინ ჩეჩნეთის დედაქალაქში, ყოფილ ქიმიკოსთა კულტურის სასახლეში გაიმართა რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ინაუგურაცია. 400-ადგილიან დარბაზში შეიკრიბნენ იჩქერიის უხუცესნი, სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები, წინააღმდეგობის ძალების დაღუპულ მებრძოლთა მშობლები, აგრეთვე ახლო და შორი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები. პრეზიდენტმა მასხადოვმა ყურანზე დადო ფიცი და განაცხადა, რომ ერთგულად ემსახურება თავის ერს. ფედერალური ცენტრის ოფიციალური დელეგაციის მეთაურმა, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივანე რიბკინმა მიულოცა მასხადოვს.

ტოკიო. პერუს მთავრობასა და ტუპაკ ამარუს ბოევიკებს შორის შემდგომი მოლაპარაკების პროცედურის შეთანხმებით დამთავრდა ლიმაში პირველი, მოსამზადებელი რაუნდი. როგორც გარანტთა კომისიის წევრმა არქიეპისკოპოსმა ხუან ლუის სიპრიანომ განაცხადა, მორიგი შეხვედრის თარიღს მოგვიანებით შეათანხმებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
№35. ხუთშაბათი, 13 თებერვალი, 1997 წელი.

# ქართველი ხალხის წინაშე მდგარი ბევრი შიდა და გარე გასაჭირისა და საშიშროების მიუხედავად თქვენ განავითარეთ და განამტკიცეთ თქვენი ქვეყნის თავისუფლება

(დასასრული)

ბულმა ლიდერმა, შევარდნაძემ უზრუნველყო საქართველოს ღირსეული ადგილი საერთაშორისო საზოგადოების შეგნებაში, მიუხედავად საქართველოს გეოგრაფიული დაშორებისა.

ნატოსთვის საქართველო არის ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოსა და მშვიდობისათვის პარტნიორობაში კარგად ცნობილი და ჩამოყალიბებული მონაწილე. 1994 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი კონტაქტები და თანამშრომლობა. გასულ წელს ქართველი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ აშშ-ში მშვიდობისათვის თანამშრომლობის პირველ ვარჯიშებში — „ერთობლივი ოპერაცია ოსფრეი“. ეს იყო ყველაზე რთული და გამომწვევი სამხედრო აქცია, რაც კი აქამდე ჩატარებულა მშვიდობისათვის თანამშრომლობის ეგიდით. ევრო-ატლანტიკური სივრცის გაყოლებით ამ ვარჯიშებში 23 ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას. ქართველმა სამხედროებმა გაამართლეს მოლოდინი და დატოვეს კარგი შთაბეჭდილება.

დღეს ჩემი ვიზიტი მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც ნიშანი იმ მნიშვნელობისა, რასაც ჩვენ ნატოში ვანიჭებთ საქართველოსთან ურთიერთობას. ჩვენ გვინდა განვაგრძოთ და გავაღრმავოთ ეს ურთიერთობები. მართლაც, ნატოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია. ნატოს მხრიდან ჩვენ ენთუზიაზმით მივესალმებით საქართველოს ფართო მონაწილეობას ჩვენი თანამშრომლობის პროგრამების მთლიან მასშტაბში.

საქართველო გეოგრაფიულად შეიძლება დაშორებულია ბრიუსელიდან, მაგრამ მისი საზრუნავი და ინტერესები ჩვენთან ახლოს დგანან. კავკასია მნიშვნელოვანი რეგიონია ევროპისთვის, აქვს უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური პოტენციალი, რომლის რეალიზებაც შეიძლება, რადგან უშიშროების მნიშვნელოვანი საკითხები მშვიდობიანად გვარდება ეუთო-ს პრინციპებისა და ვალდებულებების შესაბამისად. ევროპა ვერ იქნება ბოლომდე უსაფრთხო და ვერ გამოიყენებს სრულად საკუთარ პოტენციალს, თუ კავკასიის ქვეყნები დარჩებიან ევროპული უშიშროების განზომილების გარეთ.

ნატო არის მხოლოდ ერთი ნაწილი მზარდი ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის ფართო პროცესისა. თითოეულმა ევრო-ატლანტიკურმა საზოგადოებამ (ინსტიტუტმა) თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ევროპასთან კავკასიის ქვეყნების მჭიდრო კონტაქტის დამყარებაში. ის უკვე ხორციელდება. ევროკავშირმა უკვე დადო შეთანხმება საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, რომელიც მათ ფართოდ გაუხსნის გზას ევროპული ერთიანი ბაზრისკენ. ევროპის საბჭომაც დაამყარა მრავალრიცხოვანი კონტაქტები, ეუთო, რა თქმა უნდა, მთავარ როლს ასრულებს ამ რაიონში უშიშროების რთული პრობლემების მოგვარებაში.

ამჟამად, რადგან ევროპა აღარ არის იდეოლოგიურად დაყოფილი, ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, გადავაქციოთ კონტინენტი თანამშრომლობის და სტაბილურობის რეგიონად, რომელშიც ყველა ქვეყანას ექნება თავისი ხმა და ალარავინ იგრძნობს თავს დაშინებულად. პოლიტიკური კლიმატი ხელსაყრელია ამ შორსმიმავალი მიზნების მისაღწევად.

ახალი ევროპის განსაკუთრებულობა მის მრავალფეროვნებაშია. ევროპაში ბევრია ახალბედა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყანა. მათ სურთ ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრირება და მონაწილეობის მიღება იმ პროცესებში, რომლებიც ქმნიან ამ ქვეყნების ბედს. ნატოს მსგავსი ორგანიზაციებისთვის უმთავრესი საზრუნავია ასეთი ქვეყნების ინტეგრირება მომუშავე უშიშროების არქიტექტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ინსტიტუტი უნდა დაეხმაროს ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყნებს იპოვონ საკუთარი ადგილი მზარდი ევრო-ატლანტიკური ერთობლივი უშიშროების სისტემაში. მე მოხარული ვარ, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, პოზიტიურად რეაგირებენ.

ნება მიბოძეთ, უფრო დეტალურად ვისაუბრო ნატოს განსაკუთრებულ წვლილზე ერთობლივ უშიშროებაში. ბოლო წლებში საქართველოს ნატოსთან ურთიერთობის ჩამოყალიბების პარალელურად თავად ნატო იცვლებოდა და ადაპტაციას განიცდიდა. უშიშროების ახალ გარემოში საჭიროა ახალი მიდგომა უშიშროებისადმი, რაც ნატომაც აღიარა. გასულ ათწლეულში ალიანსმა ფუნდამენტურად შეიცვალა სახე და პოლიტიკა ახალი სტრატეგიული კონცეფციის საფუძველზე. თუკი მანამდე ჩვენს უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა წევრი ქვეყნების ტერიტორიების დაცვა, ამ პერიოდში ჩვენი მიზანია შევიმუშაოთ საზღვრებს გარეთ უშიშროების გრძნობა.

თავისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა რჩება ნატოს უმთავრეს ამოცანად. მაგრამ, ჩვენ აგრეთვე ვაცნობიერებთ, რომ ნატოს წევრთა უშიშროება განუყოფლად არის დაკავშირებული იმ ქვეყნების უშიშროებასთან, რომლებიც შედიან ჩვენს რეგიონში და იზიარებენ ჩვენს ღირებულებებს. უშიშროება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ევროპაში და მის პერიფერიაში არის სტაბილურობა. ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ სრულდება საერთაშორისო მოქცევის უმაღლესი სტანდარტები, — რაც ნიშნავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემას, ყველა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის პატივისცემას და ვალდებულებას, მშვიდობი[illegible]ად გადაიჭრას კამათი. ეს სტანდარტები ჩამოაყალიბა ეუთომ და ის მისაღებია ყველა სახელმწიფოსა თუ ინსტიტუტისთვის. ამ სტანდარტებისადმი ერთგულება უფრო გაძლიერდა მშვიდობისათვის პარტნიორობის ფარგლებში მოკავშირეებსა და პარტნიორებს შორის აღმოცენებული თანამშრომლობით.



ხავიერ სოლანა და ირაკლი მენაღარიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.
სერგო ედიშერაშვილის და ბესიკ კეზერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი უშიშროების პოლიტიკის ცენტრალური პუნქტებია თანამშრომლობა და დიალოგი სხვა სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან. თანამშრომლობა არ არის მხოლოდ პერიფერიული საქმიანობა; ის დევს ყველაფრის ცენტრში, რასაც კი ჩვენ ვაკეთებთ. ნატოს საქმიანობის შედეგები ვრცელდება მთელს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, მათ შორის კავკასიაში.

ნება მიბოძეთ, მაგალითად მოვიყვანო ჩრდ. ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელიც შეიქმნა 1991 წლის დეკემბერში, როგორც ნატოს სახელმწიფოებსა და ყოფილი ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის დარჩენილი დაშორების დაძლევის იარაღი. ამ ინიციატივის უკან იდგა მოკავშირეთა სურვილი, საკუთარი გამოცდილება და პროფესიონალიზმი გაეზიარებინათ იმ ქვეყნებისათვის, რომელთაგან ბევრმა პირველად ჩამოაყალიბა ეროვნული უშიშროების პოლიტიკა და პოლიტიკა ეროვნული უმცირესობის მიმართ. ნატოს წევრების ფართო გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს უნდა მიეცეთ მიმართულება და დამატებითი ბიძგი, განსაკუთრებით ისეთ პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა დემოკრატიულ საზოგადოებაში სამხედრო ძალების ფორმირება და მათი კონტროლი.

ახლა, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პირველი შეხვედრიდან 5 წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, სამი წლის შემდგომ 1994 წლის იანვარში მშვიდობისათვის პარტნიორობის დაარსებიდან, პარტნიორთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ პარტნიორობა იძლევა სამხედროთა შორის თანამშრომლობის ყველაზე ინტენსიურ პროგრამას, რაც კი ოდესმე შექმნილა. ამჟამად ის აერთიანებს 16 მოკავშირეს ეუთოს 27 ქვეყანასთან ერთად კომპასის ოთხივე წერტილიდან, რომელთაც აქვთ განსხვავებული უშიშროებისა და ნეიტრალურობის ტრადიციები.

ამრიგად, თანამშრომლობის პროცესი, რომელში მონაწილეობისაკენ ისწრაფვის საქართველო, არ არის სტატიკური. დროთა განმავლობაში შესაძლებლობები და საშუალებები მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათი ზრდა გრძელდება.

ამ წლის ივლისში ნატო ჩაატარებს თავისი ლიდერების სამიტს. სამიტზე ეს ქვეყნები მიიღებენ ბევრ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, მათ შორის გადაწყვეტილებებს ნატოს პარტნიორებთან ურთიერთობის შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

ერთი ამ გადაწყვეტილებათაგანი იქნება ერთი ან მეტი ქვეყნის მოწვევა მოლაპარაკებების დასაწყებად ალიანსთან მიერთების შესახებ. ჩვენი მიზანია შევძლოთ ახალი წევრების მიღება 1999 წლისთვის, როდესაც აღვნიშნავთ ნატოს შექმნის 50-ე წლისთავს.

ალიანსის გაფართოების უმთავრესი ბიძგი, იმპულსი მიმდინარეობს თავად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამ ქვეყნებს სურთ შეუერთდნენ ევროპას, რომელსაც ისინი ხელოვნურად ჩამოაშორეს. მათ სურთ შეუერთდნენ ნატოს და სხვა ინსტიტუტებს, სურთ იყვნენ ნატოს წევრები იმ მიზეზების გამო, რისთვისაც წევრი ქვეყნები არ გადიან ნატოდან — ეს ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, რათა მოემზადონ ნატოში შესასვლელად. აქედან გამომდინარე, ნატოს გაფართოება იმავე ჭრილში უნდა იქნეს აღქმული, როგორც ევროკავშირის გაფართოების პროცესი: ეს არის ევროპის ინსტიტუციონალური არქიტექტურის ბუნებრივი განვითარება იმ მიზნით, რომ მოიცვას ის ქვეყნები, რომელთაც უკვე თავისუფლად შეუძლიათ გამოკვეთილი წვლილის შეტანა საერთო ევროპაში.

ჩვენი მიზანია 1999 წლისთვის უფრო ფართო ნატოს არსებობა. იმისთვის, რომ ნატოს გაფართოებამ მთელს ევროპაში გაზარდოს უშიშროება და სტაბილურობა, და არა მხოლოდ მათთვის, ვინც უერთდება ალიანსს, ჩვენ გავაძლიერებთ მშვიდობისათვის პარტნიორობას ყველა პარტნიორთან ხანგრძლივი კავშირების დამყარებით.

მშვიდობისთვის პარტნიორობის გაძლიერებით, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, — თუ პარტნიორები ასე მოისურვებენ, — უფრო ღრმად დავუკავშირდეთ ნატოს მთელი რიგი სამხედრო და თავდაცვითი ხასიათის თანამშრომლობის პროგრამებით. ამ, ახალ „მშვიდობისთვის თანამშრომლობას“ პლუს პროგრამაში ნატოს წევრობის მსურველ ქვეყნებს ექნებათ შესაძლებლობა, გააძლიერონ მომზადება ნატოში გასაწევრიანებლად. სხვა პარტნიორებს „მშვიდობისთვის პარტნიორობას“ პლუს პროგრამა შეუქმნის იმის დამატებით გარანტიებს, რომ ისინი დარჩებიან მჭიდროდ დაკავშირებულნი გაფართოებულ ალიანსთან. ჩვენ აგრეთვე ვმუშაობთ პარტნიორებთან ინიციატივაზე, დავაარსოთ ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, როგორც ჩვენი თანამშრომლობისთვის საჭირო „თაღოვანი ჩარჩო“. ჩვენი ამოცანა იქნება პარტნიორობის პოლიტიკური განზომილების გაძლიერება და პოლიტიკური უშიშროების დიალოგის რეგულარულად და უფრო თავისუფლად მიმდინარეობისთვის ხელშეწყობა.

ნატოს გარეგნული ადაპტაცია სინამდვილეში მიმართულია მისი არსის გაუმჯობესებისაკენ და იმის ხელშესაწყობად, რომ ალიანსმა თავისი წვლილი შეიტანოს ახალი ევროპული უშიშროების არქიტექტურაში, რომელიც მოიცავს ყველა სახელმწიფოს. ეს არის საშუალება, მივუახლოვდეთ საბოლოო მიზანს — ე. ი. მიღწეულ იქნეს მთელი ევროპისთვის საყოველთაო უშიშროება და სტაბილურობა. მთელი ევროპა კი ნიშნავს ევროპას რუსეთის და უკრაინის ჩათვლით. ნატოს გაფართოება არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად როგორც რუსეთის, ისე უკრაინის იზოლირებას ან იგნორირებას.

ჩვენ ვიცით, რომ საბოლოო ჯამში ვერ შევძლებთ ევროპისთვის ფართო უშიშროების უზრუნველყოფას რუსეთის გარეშე, თუკი რუსეთი მარტოდმარტო დარჩება ევროპის წინააღმდეგ, ხოლო უკრაინა, თავისი მოცულობისა და სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო იმსახურებს ნატოსთან საკუთარ ურთიერთობებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალ თვეებში შევიმუშავებთ უკრაინასთან განსაკუთრებულ პარტნიორობას.

ჩვენ მნიშვნელოვანწილად ვცდილობთ, ჩავერთოთ რუსეთი მშვიდობისთვის პარტნიორობაში და შევქმნათ რუსეთთან ფართო კონსულტაციებისა და თანამშრომლობისთვის უფრო დიდი ჩარჩო. ამ დროისთვის რუსეთმა გამოიჩინა გარკვეული დაინტერესება, მაგრამ რუსულ შეგნებაში კვლავ რჩება ბევრი გაუგებრობა და სტერეოტიპი ნატოს შესახებ. თუ ჩვენ ვაპირებთ მათ სწრაფ დაძლევას, ამ გაუგებრობებსა და სტერეოტიპებს უნდა მივუდგეთ პირდაპირ, პატიოსნად და მიუკერძოებლად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე, გარდაქმნილი ნატო არ წარმოადგენს მუქარას რუსეთისთვის. და მე დარწმუნებთ, რომ საშიშროებას არ შექმნის არც გაფართოებული ნატო. ჩრდ. ატლანტიკურ საბჭოში სამთავრობო სხდომაზე ჩვენ ნათლად განვაცხადეთ, რომ ალიანსს არ აქვს არანაირი მიზეზი და სურვილი ნატოს ახალი წევრების ტერიტორიაზე განალაგოს ბირთვული იარაღი. ჩვეულებრივი იარაღის სფეროში ჩვენ უკვე ვაჩვენეთ ჩვენი სურვილი სერიოზულად განვიხილოთ ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებათა შეზღუდვის ხელშეკრულების ადაპტაცია იმ მიმართულებით, რომელიც პასუხობს ევროპული უშიშროების არსებულ პირობებს. ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გარდა ჩვენ ხაზი გავუსვით საკუთარ მზადყოფნას, მივაღწიოთ ნატოსა და რუსეთს შორის შეთანხმებას პერმანენტული, ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების სახეობებზე. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი საუბრები დაიწყო იანვარში, როდესაც მე შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პრიმაკოვს და ეს საუბრები გრძელდება.

არც ნატოს გაფართოება და არც ჩვენი იდეები ინტენსიური მშვიდობისთვის პარტნიორობის თაობაზე, არც ჩვენი სურვილი, შევიმუშაოთ რუსეთთან და უკრაინასთან კონსტრუქციული, ხანგრძლივი ურთიერთობები, არ უნდა იქნეს განხილული იზოლირებულად. ეს ინიციატივები ერთი ციდა იმავე პაკეტის შემადგენელი ნაწილებია. ყველა მათგანს ექნება დამატებითი, გამაძლიერებელი შედეგი ევროპისთვის, აგრეთვე კავკასიის რეგიონისთვის უშიშროების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

ნება მიბოძეთ, ხაზი გავუსვა იმას, რომ ნატოში ახალი წევრების მიღების პროცესს, აგრეთვე, ექნება მსგავსი პოზიტიური შედეგი ევროპაში სტაბილურობისა და უშიშროების გაფართოებისთვის. ნატოს ახალი წევრები დაექვემდებარებიან იმავე პოზიტიურ, მეგობრულ და კონსტრუქციულ მიდგომას რუსეთისა და სხვა პარტნიორებისადმი, რაც დღესდღეობით არსებობს.

ამრიგად, 1999 წლისთვის, რა დროისთვისაც მოველით, რომ ნატოში იქნებიან ახალი წევრები, ეს ქვეყნები უდიდეს წვლილს შეიტანენ ევროპულ უშიშროებაში.

მსურს, შევეხო კიდევ ერთ ერთობლივ წამოწყებას: იარაღზე კონტროლს. ჩვენ უნდა გვქონდეს იარაღზე კონტროლის ეფექტიანი რეჟიმი, რომელიც აღმოფხვრის შიშისა და რეაქციის უმნიშვნელოვანეს მიზეზებს — ჩვეულებრივი იარაღის უსარგებლო შექმნასა და კონცენტრაციას.

ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებათა შეზღუდვის ხელშეკრულების მომავალი ადაპტაცია იქნება მნიშვნელოვანი ნიშანი ხელმომწერი ქვეყნების უნარისა, ეს ხელშეკრულება განიხილონ და თან შეინარჩუნონ მისი მთავარი ელემენტები, თავიდან აიცილონ უარყოფითი გავლენა რომელიმე ქვეყნის უსაფრთხოებაზე. მომავალ მოლაპარაკებებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კავკასიის რეგიონისთვის ისეთი განახლებული ხელშეკრულების არსებობის საჭიროება, რაც შეესაბამება ამ რეგიონის ინტერესებს.

ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ გავაკეთო დასკვნა. დღეს მსურდა გამომეხატა საქართველოსა და მთელი რეგიონის მნიშვნელობა ნატოსთვის და გადმომეცა ჩვენი სურვილი საქართველოსთან ისეთივე თანამშრომლობის განვითარებისა, როგორიც არსებობს მთელს ევროპაში. ნატოსთან ურთიერთობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დინამიური, განვითარებადი. ნატო შეიცვალა, მაგრამ ცვლილებათა პროცესი გრძელდება.

ივლისში ნატოს სამიტზე წამოყენებული იქნება მრავალი ინიციატივა ალიანსის შიდა და გარეგნული ადაპტაციის შესახებ. სამიტის შემდეგ, ალიანსის ახალ წევრებთან ერთად და პარტნიორობისა და თანამშრომლობის მიმართ მნიშვნელოვნად გაზრდილი ვალდებულებით, ნატო უფრო მომზადებული იქნება შეიმუშაოს სტაბილურობის პროექტი ჩვენი კონტინენტისთვის. საქართველოსთვისაც გაიზრდება შესაძლებლობები.

რა თქმა უნდა, კავკასიის რეგიონს აქვს საკუთარი თავისებურებები და თავისი დინამიკა. ნატოს არ გააჩნია როგორც აქაური, ისე დანარჩენი ევროპის ყველა პრობლემის გადაჭრის მაგიური საშუალება. მაგრამ ჩვენი პოლიტიკის წარმატება თანამშრომლობაში და იარაღზე კონტროლში ყველასთვის აძლიერებს უშიშროებას. უფრო მეტიც, ევროპაში, რომელიც ერთობლივად მოქმედებს, ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, ექნება საკუთარი ადგილი და ხმა.

ნატოს განვითარება ამ მიზნის მიღწევას შესაძლებელს ხდის.

გმადლობთ!

## გრძელდება ბიუჯეტის პროექტის განხილვა

(დასასრული)

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაამახვილა დეპუტატთა ყურადღება მათს სამართლიან შენიშვნაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვის ვადების დარღვევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვადების გადაწევა გარკვეულწილად საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან პარამეტრების შეჯერების აუცილებლობამ გამოიწვია. ბიუჯეტის პროექტის დაგვიანებით განხილვა ბოლო უნდა იყოს და მსგავსი შემთხვევები გამოირიცხება, განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა. ერთი რამ კი ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, თუ არ გავითვალისწინებთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინადადებებს, მოგვიწევს ბიუჯეტის შევსების სხვა ალტერნატიული წყაროების გამონახვა. ეს კი დღეს ჩვენი ქვეყნისათვის შეუძლებელია და იგი დააბრკოლებს ეკონომიკური განვითარების პროცესს — უარყოფითად შეეცვლის საინვესტიციო კლიმატს, დაირღვევა ფინანსური სტაბილიზაცია.

ქვეყნის მიერ არჩეულ განვითარების გზას და ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელთაც მხარს უჭერენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ალტერნატივა არ გააჩნია.

ზოგიერთი დეპუტატის მტკიცება იმისა, რომ ხელისუფლებას ეკონომიკური პროგრამა არა აქვს შემუშავებული, არ არის სწორი. რომ არა ეს პროგრამა და მისი განხორციელება, ვერ მივაღწევდით ფინანსურ სტაბილიზაციას, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

წარმოდგენილი ბიუჯეტი რომ ხელს შეუწყობს ეკონომიკურ რეფორმებს, იქიდანაც ჩანს, რომ ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანად შიდა პროდუქტთან მიმართებაში 1997 წელს იქნება იმდენი, რაც ევროპის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლის დონეა, ხოლო ინფლაციის ტემპი წინა წლების 29 პროცენტის ნაცვლად 1996 წლისათვის 13 პროცენტს შეადგენდა, 1997 წელს კი გათვალისწინებულია მხოლოდ 10-12-პროცენტიანი ინფლაცია, ყოველივე ეს არ შეიძლება ხელს უწყობდეს ეკონომიკური რეფორმების შეფერხებას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ წარმოადგინა შემთანხმებელი კომისიის მიერ გათვალისწინებული წინადადებები და შენიშვნები. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კომიტეტს შესაძლებლად მიაჩნია პირველი მოსმენით მიიღონ ბიუჯეტის პროექტი.

ბიუჯეტის პრინციპებზე მსჯელობა საღამოს სხდომაზეც გაგრძელდა, რომელზეც დოკუმენტი შეაფასეს ფრაქციათა ხელმძღვანელებმა. ფრაქცია „ედპ-ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ შენიშვნები აქვს პროექტის პრინციპებთან დაკავშირებით. როგორც ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ განაცხადა, მათი წინადადებები არაა გათვალისწინებული და ფრაქცია კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს. გამოთქმული შენიშვნების მიუხედავად, ფრაქციებს „მოქალაქეთა კავშირი“, „აფხაზეთი“, „იმედი“ მიაჩნიათ, რომ პირველი მოსმენით ბიუჯეტის პროექტის მიღება სავსებით შესაძლებელია. ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით ფრაქცია „მაჟორიტარი“ არ ეთანხმება მიმდინარე ეკონომიკურ პოლიტიკას და ისინი კენჭისყრაში მხოლოდ იმ პირობით მიიღებენ მონაწილეობას, თუკი აღუთქვამენ, რომ პარლამენტი განიხილავს და მიიღებს ქვეყნის ინდიკატური განვითარების გეგმას, ერთ თვეში დაამტკიცებს საინვესტიციო კონტროლის მექანიზმს.

რეგლამენტის მიხედვით სხდომისათვის განსაზღვრული დრო ამოიწურა. არადა, კამათში გამოსვლის მსურველი ბევრი იყო. ამიტომ, პარლამენტის პლენარული სხდომის მუშაობა გვიანობამდე გაგრძელდა.

საქინფორმი.

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 28 იანვარი — ქ. თბილისი

### ცოფის პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ

საქართველოში შეიქმნა მძიმე ეპიდსიტუაცია ცოფის გავრცელების თვალსაზრისით. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა თბილისში.

ცოფის პროფილაქტიკის ღონისძიებები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს შედეგს, თუ ისინი განხორციელდება კომპლექსურად, ქალაქების მუნიციპალიტეტების, რაიონული გამგეობების კომუნალური სამსახურების, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო ადმინისტრაციების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა პერსონალური პასუხისმგებლობით:

1.1. შეიმუშაონ, დაამტკიცონ და კონტროლზე აიყვანონ კომპლექსური ღონისძიებანი ცოფის პროფილაქტიკის საქმეში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ღონისძიების განხორციელების მიმდინარეობა განიხილონ ყოველკვარტალურად, შედეგები საჭიროებისამებრ აცნობონ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას.

1.2. ყველა ქალაქსა და რაიონში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე შექმნან უპატრონო, მაწანწალა ცხოველების დამჭერი მუდმივმოქმედი ბრიგადები, რომელთაც დაევალებათ დასახლებული პუნქტების მათგან განთავისუფლება და ადამიანის დამკბენი ცხოველების მიყვანა საკარანტინო ვოლიერებში ვეტერინარული მეთვალყურეობის დასაწესებლად;

1.3. უზრუნველყონ 1997-1998 წლებში ცხოველთა სამარხების (ბეკერის ორმოები) ან კრემატორიუმების მოწყობა, ცხოველთა მოქმედი სამარხების მოწესრიგება და მათი ექსპლუატაციის კონტროლი;

1.4. ყოველწლიურად, ყველა დაინტერესებული სამსახურის მონაწილეობით, მაის-ივნისში მოაწყონ ცოფის პროფილაქტიკის ორთვიური;

1.5. ქალაქების მერიების, სამხარეო და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესაბამისმა სამსახურებმა 1997 წლის განმავლობაში გადაწყვიტონ საკარანტინო ვოლიერებთან დაკავშირებული საკითხები.

1.6. ჯანდაცვის მუნიციპალური სავალდებულო პროგრამების შესაბამისად უზრუნველყონ მოსახლეობის ანტირაბიული ვაქცინებით შეუფერხებელი მომარაგება.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (ბ. გულუა):

2.1. მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს სამომსახურეო და საკუთრებაში მყოფი ძაღლებისა და კატების მთლიანი სულადობის აღრიცხვა, რეგისტრაცია და სათანადო ვადებში მათი ვაქცინაცია. იმ რეგიონში, სადაც დადგენილი იქნება ცოფის ეპიზოოტია, განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები,

2.2 ქალაქებისა და რაიონების ვეტერინარული სამსახურების მეშვეობით ყოველკვარტალურად წერილობით აცნობოს ცოფზე ეპიზოოტიური ვითარების შესახებ ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯანდაცვის სამსახურებს;

2.3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან (ნ. ჩხობაძე) ერთად განიხილოს გარეული ცხოველების ორალური ვაქცინაციის შესაძლებლობა;

2.4. 1997 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დანერგოს ცხოველთა სტერილიზაციის, რიცხოვნობის ჰუმანური კონტროლის თანამედროვე მეთოდები და მათი კრემაციის წესები;

2.5. უზრუნველყოს ცოფზე საეჭვო ცხოველების პათოლოგიური მასალის გამოკვლევა;

2.6. ქალაქების მერიებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურების მეშვეობით უზრუნველყოს საეჭვო (მათ შორის შემნეული მოხეტიალე) ცხოველების დაჭერა, მათი ათდღიანი იზოლაცია და ვეტერინარული კარანტინის შედეგების ანტირაბიული აცრების წარმოებით დასაქმებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინება;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე) ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ვეტერინარულ და სამედიცინო დაწესებულებებს ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში.

4. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე):

4.1. მეთოდურ-ორგანიზაციული და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სამედიცინო დაწესებულებებს ცოფის პროფილაქტიკის საქმეში;

4.2. ფართოდ გაშალოს სანიტარიულ-საგანმანათლებლო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

4.3. დანერგოს ცოფის დიაგნოსტიკის თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდები;

4.4. ცოფზე საეჭვო დიაგნოზის ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში პათოლოგიური მასალა დასაზუსტებლად გადაგზავნოს ცენტრალურ ვეტლაბორატორიაში, ყოველი შემთხვევა გახადოს კოლეგიის მსჯელობის საგნად და საჭიროების შემთხვევაში მასალები გადასცეს საგამოძიებო ორგანოებს.

4.5. ადამიანისათვის ცოფის დიაგნოზის დასმის ყველა შემთხვევა სათანადო ღონისძიებების გასატარებლად სასწრაფოდ შეატყობინოს ვეტსამსახურს.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) 1997 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს მუნიციპალური სამსახურებისათვის ცოფის პროფილაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსება.

6. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (ა. გოგუელია), ცენტრალურმა და ადგილობრივმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ხელი შეუწყონ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებს ცოფის პროფილაქტიკის საკითხების გაშუქებაში.

7. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

ე. შევარდნაძე.

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება

## 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1997 წლის 7 თებერვალს

(გაგრძელება)

ნება მიბოძეთ, სანამ 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე გადავიდოდე, კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, მოგახსენოთ გასული 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესი ეფუძნებოდა იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც ჩამოყალიბდა რეფორმების შედეგად, იმ გარდაქმნებს, რომლებიც საქართველოში მიღწეულია საპრეზიდენტო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ავტონომიური, სამხარეო და ადგილობრივი, მუნიციპალური ხელისუფლებების საერთო ძალისხმევით, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მოკლედ შევეხები იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც ჩამოყალიბდა რეფორმების შედეგად და რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს 1996 წლის ბიუჯეტის შესრულებასა და 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენაზე.

კონსტიტუციის ამოქმედებამ, პარლამენტისა და პრეზიდენტის დემოკრატიულმა არჩევნებმა, რამაც ქვეყნის სათავეში რეფორმატორულად განწყობილი პოლიტიკური ძალები დაამკვიდრა, შექმნა იმის პირობები და გარანტია, რომ სულ უფრო სწრაფი ტემპებით, მასშტაბურად მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის აღმავლობა, საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო თანამეგობრობაში, მსოფლიო სამეურნეო კავშირებში.

ამ მოვლენებს პირდაპირი კავშირი აქვთ საბიუჯეტო პროცესთან, საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკასთან.

ყოველივე ამის დასტურია, თუნდაც საქართველოს და ევროკავშირის ხელშეკრულება პარტნიორობის და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის ახალ პროგრამებში საქართველოს ჩართვა, საქართველოს ევრაზიული სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის განვითარება, კასპიისა და ყაზახეთის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების ერთ-ერთ ძირითად მარშრუტად საქართველოს ტერიტორიის არჩევა და მრავალი მსგავსი მაგალითი.

მეორე ტენდენცია, რომელსაც მინდა ხაზი გავუსვა — ეს არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მწყობრი, სისტემური, თანმიმდევრული გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რამაც ასახვა ჰპოვა პრეზიდენტის პოლიტიკურ პროგრამაში, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობამ.

ამ პროგრამის ეკონომიკურ-ფინანსური და არა მხოლოდ ეკონომიკურ-ფინანსური რეალიზაციის პირველადი საწყისი და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, პრეზიდენტის წარდგინებით საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 1996 წლის 9 თებერვალს.

1996 წლის ბიუჯეტის შესრულებას საფუძვლად დაედო ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნის საშუალოვადიანი ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობით.

მესამე უმთავრესი ტენდენცია გახლავთ ეკონომიკის არა მხოლოდ სტაბილიზაცია, არამედ ეკონომიკური ზრდის განახლება ქვეყანაში.

1996 წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა წინა წელთან შედარებით 11 პროცენტით გაიზარდა. 1995 წელს ეს მაჩვენებელი 2,6 პროცენტს შეადგენდა. ეს არის პირველი მნიშვნელოვანი, სერიოზული, დადებითი ძვრა ჩვენს ეკონომიკაში.

ეს უდავოდ წინსვლაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1989 წლიდან საქართველოში აღინიშნებოდა წარმოების შეუჩერებელი დაქვეითება. ამასთან, დაცემის ტემპმა 1992 წელს 45 პროცენტი შეადგინა, 1993 წელს — 29 პროცენტი, 1994 წელს — 12 პროცენტი.

სტაბილიზაციის პროცესებისა და წარმოების გამოცოცხლების კვალობაზე პირველად უკანასკნელი პერიოდის მანძილზე აღინიშნება დადებითი ტენდენციები ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა დასაქმება. 1995–1996 წლებში აღინიშნა ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდა 1,6%-ით. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაბამისი აღრიცხვის არარსებობის გამო ეს მაჩვენებელი არ ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, წვრილი მოვაჭრეების, ხელოსნების, მეწარმეების და სხვათა სახით, რომელთა რაოდენობაც საექსპერტო შეფასებით 300 ათას კაცს აჭარბებს.

მილიონამდე ოჯახი გახდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე, რაც ასევე დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

მეოთხე, უმთავრესი ტენდენცია არის ინფლაციის შეჩერება და ეროვნული ვალუტის სტაბილური საცვლელი კურსის შენარჩუნება.

1996 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (წინასწარი შეფასებით) 13,5 პროცენტით გაიზარდა, ინფლაციის წლიურად დაგეგმილი 25-29 პროცენტის ნაცვლად. ეს მაშინ, როცა 1994 წელს ინფლაციის დონემ 8500 პროცენტი, ხოლო 1995 წელს — 57 პროცენტი შეადგინა.

აშშ დოლარის საცვლელი კურსი ქვეყნის სავალუტო ბაზარზე, ფაქტობრივად, ლარის შემოღების დღიდან 1,25 – 1,30 დონეზე ფიქსირდება.

მეხუთე ტენდენცია ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში კერძო საკუთრების დომინირება. ეს ძირფესვიანი გარდატეხაა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში. შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანიც.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სამი მეოთხედი ამჟამად კერძო სექტორში იქმნება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ამ სექტორის წილი ორ მესამედს აჭარბებს.

საქართველოს მთავრობამ, პრაქტიკულად, დაამთავრა მცირე პრივატიზაცია, ასევე პრივატიზებულია საშუალო და მსხვილი საწარმოების ნახევარზე მეტი.

პრივატიზაციის პროგრამების რეალიზაციის კვალობაზე კერძო მესაკუთრეთა ხელში გადავიდა 9200-ზე მეტი საწარმო და ობიექტი. ახლა მთავარია მათი სრული სიმძლავრით ამოქმედება.

საგულისხმოა, რომ საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება კერძო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი. შარშან კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვმა 650 ათას კაცს გადააჭარბა.

ჭეშმარიტად ისტორიული და საეტაპო მიწის რეფორმა, შესაბამისი კანონის მიღება პარლამენტის მიერ, სასოფლო-სამეურნეო მიწების კერძო საკუთრებაში დაკანონების პროცესი.

ამჟამად ხორციელდება ენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის პროგრამა, რომლის თანახმადაც სიმძლავრეთა დიდი ნაწილი თანდათანობით, ეტაპობრივად კერძო საკუთრებაში გადავა.

მეექვსე. ქვეყანაში არსებითად განხორციელებულია საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემების ძირეული ინსტიტუციური რეფორმა.

ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც კიდევ უფრო იხვეწება, სულ უფრო ნაყოფიერად მუშაობს ამ მიმართულებით ფინანსთა სამინისტრო, საგადასახადო ადმინისტრაცია, საბაჟო სამსახური.

სისტემურ სრულყოფას განიცდიან რესპუბლიკური და ადგილობრივი საფინანსო სტრუქტურები. გასული წლის 1 დეკემბრისათვის სახელმწიფო ხაზინის კონტროლის ქვეშ გადაყვანილ იქნა არსებული 1340 საბიუჯეტო ორგანიზაციიდან — 1094. ხაზინას კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ.

1997 წლის ბოლომდე მთლიანად ამუშავდება სახაზინო სისტემა, ყველა სამინისტრო და საბიუჯეტო ერთეული გადავა ხაზინის მომსახურებაზე.

დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა ჩამოყალიბდა თვითგანვითარებად სისტემად, რომლის უმთავრესი თვისებრივი მახასიათებლებია სტრუქტურული და სისტემური რეფორმები.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სიღრმე, გავრცელების არეალი, დინამიკა და ტემპები არსებითად ყალიბდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმთავრესი მექანიზმის — ბიუჯეტის მეშვეობით. ამიტომ ბუნებრივია სახელმწიფო ბიუჯეტის ის გადამწყვეტი როლი, რომელიც მან შეიძინა თანამედროვე ეტაპზე.

### ბ) 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და მათი სრულყოფის პროცესი. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის თანამშრომლობა ამ სფეროში

ახლა, რეფორმების ძირითადი ტენდენციების მიმოხილვის შემდეგ, ნება მიბოძეთ, უშუალოდ შევეხო 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარ შედეგებს.

როგორც 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, მთავარი ტენდენცია ამ სფეროში ის არის, რომ ხელისუფლების ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა კურსმა, სახელმწიფოებრივმა ღონისძიებებმა უკვე მოგვცა გარკვეული დადებითი შედეგები. ეს საბიუჯეტო სფეროში გამოიხატება წინა, 1995 წელთან შედარებით სახელმწიფო შემოსავლების საკმაოდ მნიშვნელოვან ზრდაში, სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში, ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის გაძლიერებაში, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაში, საგარეო ვალების დიდი ნაწილის რესტრუქტურიზაციასა და სხვა პროგრესულ ტენდენციებში.

პარლამენტმა თავდაპირველად ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრა — 555 მლნ ლარის, ხოლო ხარჯები — 784 მლნ ლარის ოდენობით. დეფიციტმა შეადგინა 229 მლნ ლარი, ანუ ამ ბიუჯეტის ხარჯების — 29,1 პროცენტი. დეფიციტი დაიფარა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, რისთვისაც ჩვენ მათი მადლობელი ვართ.

შემდგომში აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, პარლამენტმა შესაბამისი კანონებით ოთხჯერ შეიტანა ცვლილებები ბიუჯეტის როგორც სამემოსავლო, ისე ხარჯების ნაწილში.

ხარჯების საერთო მოცულობაში და სტრუქტურაში ცვლილებების აუცილებლობა განაპირობეს პურის ფასების ლიბერალიზაციის დაწყებამ და ამ პირობებში ხორბლის სახელმწიფო რეზერვების შექმნისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითმა ღონისძიებებმა, 1996 წლის 1 სექტემბრიდან განათლების სფეროს პროფესორ-მასწავლებელთათვის, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეთათვის ხელფასის გადიდებამ, ზამთრის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით მაზუთის სახელმწიფო რეზერვების შექმნამ, სხვა გადაუდებელმა ღონისძიებებმა.

საბოლოო ანგარიშით 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები ასეთი სახით ჩამოყალიბდა: შემოსავლები — 562,856 მლნ ლარი, ხარჯები — 805,556 მლნ ლარი.

ასეთი კორექტირების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა — 6,5 მლნ ლარით, ანუ ხარჯების მიმართ 0,3 პროცენტული პუნქტით გადიდდა და 242,7 მლნ ლარს მიაღწია. როგორც გითხარით, დეფიციტი იფარება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით.

### გ) საბიუჯეტო პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

ბიუჯეტის დამტკიცება ერთია, შესრულება — მეორე. დეტალურად არ შევჩერდები იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებდა ამ მხრივ აღმასრულებელი ხელისუფლება, პრეზიდენტი.

მეტად საყურადღებოა, რომ პირველად ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში საქართველოს პარლამენტმა, მისმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა სპეციალურ სხდომაზე მოისმინა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნახევარი წლის შედეგები. კარგი იქნება, თუ ეს პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება.

ასევე მნიშვნელოვანი და უაღრესად სასარგებლო იყო სპეციალური კომისიის ჩამოყალიბება, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი და რომელიც სისტემატურად იხილავს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობას.

### დ) 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შესრულება

1996 წლისათვის საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ტენდენცია იყო საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი მატება.

წინასწარი მონაცემებით, საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობამ (უცხოეთიდან მიღებული გრანტებიდან შემოსავლების გარეშე) 461 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 259 მილიონი ლარით მეტია, ანუ თითქმის 2,5-ჯერ აღემატება 1995 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საგრძნობლად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები, რომელთა მოცულობამ 1996 წლის ბოლოსათვის 306,9 მლნ ლარს გადააჭარბა. ეს 1995 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე 175 მილიონი ლარით, ანუ 2,5-ჯერ მეტია.

მნიშვნელოვნად ამაღლდა შემოსავლების მობილიზაციის დონე გადასახადთა ცალკეული სახეების მიხედვით. კერძოდ, სამემოსავლო გადასახადის სახით 1996 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული თანხა 2,3-ჯერ აღემატება 1995 წლის დონეს, დამატებული ღირებულების გადასახადი — 2,4-ჯერ, აქციზის თანხა — 5-ჯერ, და მეტად.

საბაჟო გადასახადის თანხა — თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

ასეთ მატებას, ბუნებრივია, საფუძვლად ედო, ერთი მხრივ, ეკონომიკური ზრდის პროცესის დაჩქარება, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო ადმინისტრაციის საქმიანობის გაუმჯობესება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1996 წელს იმპორტირებული საქონლის დაბეგვრით, დამატებული ღირებულების, საბაჟო გადასახადისა და ნავთობპროდუქტებზე ფიქსირებული გადასახადების სახით ამოღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 65 მლნ ლარზე მეტი, რაც 1995 წელს მობილიზებულ თანხაზე 6-ჯერ მეტია.

1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისაგან განსხვავებით, გასული წლის ბიუჯეტში გაჩნდა კაპიტალური შემოსავლებიც.

გაიზარდა არასაგადასახადო შემოსავლების მოცულობაც: 1995 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული წყაროდან მიღებული თანხები 22 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 1996 წელს — 31 მლნ ლარს.

მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საერთო თანხამ 527 მლნ ლარი შეადგინა, დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 562 მლნ ლარის ნაცვლად.

გეგმის შესრულებას 35 მლნ ლარი, ანუ 6 % დააკლდა.

გეგმის შეუსრულებლობა მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტზე მოდის: წლის განმავლობაში ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებმა გეგმიური 336 მლნ ლარის ნაცვლად, ფაქტობრივად 293 მლნ ლარი, ანუ გეგმის 87 პროცენტი შეადგინა.

1995 წელთან შედარებით, 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტობრივი პარამეტრები საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მაგრამ გასულ წელს საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაცია მაინც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, რადგან მთელი რიგი საგეგმო პარამეტრები ვერ შესრულდა. როგორც გითხარით, ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსავლების გადმორიცხვებმა შეადგინა 87%. დაუშვებელია ცალკეული ქალაქებისა და რაიონების ასეთი დამოკიდებულება ცენტრალური ბიუჯეტისადმი.

სამემოსავლო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებულია 47,0 მლნ ლარის მოცულობით, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის მხოლოდ 97,5 %-ია.

ვერ იქნა სრულად უზრუნველყოფილი დამატებული ღირებულების გადასახადის და აქციზის დაგეგმილი თანხების მობილიზაცია.

საბაჟო დეპარტამენტის ხაზით დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადის გეგმა, შესაბამისად, 3-ჯერ და 5 ჯერ გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ეს არსებითად განპირობებული იყო გასულ, 1995 წელს საგადასახადო შეღავათების გაუქმებით.

მოგების გადასახადის დაზუსტებული გეგმა, რომელიც 57,9 მლნ ლარს შეადგენდა, შესრულდა მხოლოდ 55,7%-ით.

მოგების გადასახადის მობილიზაციის დაბალი დონე იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში არსებული რეზერვები სრულად ვერ გამოიყენება.

ასე, მაგალითად, მრეწველობის დარგში პროდუქციის გამოშვების ფაქტობრივმა დონემ გასულ წელს ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის მესამედზე ნაკლები შეადგინა, რამაც, ბუნებრივია, ნეგატიურად იმოქმედა სამრეწველო წარმოებაში მიღებული მოგების დონეზე.

ამავე დროს, 1996 წელს შედარებით მაღალი ტემპით ვითარდებოდა ვაჭრობისა და მშენებლობის სფეროები, ე.ი. სწორედ ის დარგები, სადაც დიდია აღურიცხავი შემოსავლები, და ამდენად მოგების გადასახადის ამოღება გაძნელებულია.

ყოველივე ეს მიუთითებს მოგების გადასახადის ზრდის სფეროში მნიშვნელოვანი აუთვისებელი რეზერვების არსებობაზე. მომავალში აღნიშნული მიმართულებით დიდი სამუშაოა შესასრულებელი.

შემოსავლების შედარებით მაღალი დონე იქნა მიღწეული სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში. ამ წყაროდან სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 103 მლნ ლარამდე თანხა, ანუ დაგეგმილი მაჩვენებლის 103%.

გამონაკლისს წარმოადგენს საპენსიო ფონდი, სადაც შემოსავლების დაზუსტებული გეგმის შესრულებას დააკლდა 7 მილიონ ლარზე მეტი.

საგეგმო შემოსავლები გადაჭარბებით არის შესრულებული: ჯანდაცვის ფონდში, დასაქმების ფონდში, ერთიან საგზაო ფონდში.

სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში საკუთარი სამემოსავლო სახსრების სახით მობილიზებულმა თანხამ 1995 წლის დონეს 2-ჯერ და მეტად გადააჭარბა.

გრანტებმა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59 და 4,5 მლნ ლარისა, შეადგინა შესაბამისად — 65 და 21 მლნ ლარი.

მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შეუსრულებლობა განაპირობა საგადასახადო შემოსავლების ამოღების არასაკმარისმა დონემ.

არგადახდების პრობლემა უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, რამაც განაპირობა საგადასახადო შემოსავლების 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მაჩვენებლების ბოლომდე შეუსრულებლობა.

1995 წელს ბიუჯეტის წინაშე ვალაგადაცილებული დავალიანებების მოცულობამ 90 მლნ ლარს გადააჭარბა.

აქედან საპენსიო ფონდში ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 1996 წელს 25 მლნ ლარი შეადგინა.

საგადასახადო შემოსავლების გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, მიუხედავად დიდი ძვრებისა, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციათა ჯერ კიდევ მაინც არასაკმარისი საქმიანობით, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალის არასრული გამოყენებით. შარშან წარმოების მნიშვნელოვანი დაცემა აღინიშნა მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. მიმდინარე წელს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მრეწველობას სჭირდება. აუცილებელია ახალი ფუნქციებითა და ახალი დატვირთვით მრეწველობის სამინისტროს შექმნა, რათა ამ სფეროში უფრო სწორად განხორციელდეს სახელმწიფო კოორდინაციისა და შეთანხმებული მუშაობის ამოცანები.

ასევე არასაკმარისია ტრანსპორტის დატვირთვის პარამეტრებიც.

შარშან ტვირთბრუნვა 7%-ით შემცირდა, რაც ძირითადად საზღვაო ტრანსპორტზე მოდის. მიმდინარე წელს ამ სფეროსაც განსაკუთრებული ყურადღება დასჭირდება.

უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბიუჯეტის შესრულების პროცესზე 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგვიანებით დამტკიცებამ.

ეს გამოიხატა პირველ რიგში იმაში, რომ 1996 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მოქმედებდა გაუმართლებელი საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებს არ გააჩნდათ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის კონკრეტული გეგმები. ყოველივე ამის შედეგად დაიკარგა მნიშვნელოვანი საგადასახადო შემოსავლები.

ზემოთქმულის მიუხედავად, 1996 წელი მაინც უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის საგრძნობი გაუმჯობესების პერიოდად.

### ე) საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების შესრულება

საანგარიშო პერიოდში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საერთო შემოსავლებმა (ტრანსფერტების, ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთანგარიშსწორებისა და სხვა შემოსავლების გათვალისწინებით) 164 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო დავალების 93,2% შეადგინა, ხოლო ხარჯებმა — 162 მლნ ლარი. ამ ბიუჯეტების შემოსავლებმა ხარჯებს 1,5 მლნ ლარით გადააჭარბა.

1996 წელს სამხარეო ადმინისტრაციებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა და საგადასახადო ინსპექციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს ტერიტორიული ერთეულების საფინანსო ბაზის განმტკიცებისათვის.

საანგარიშო წელს ამ ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებმა და მოსაკრებლებმა 141,6 მლნ ლარი შეადგინა.

1996 წელს, წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა საგადასახადო თანხების მობილიზაცია, კერძოდ გაიზარდა დამატებული ღირებულების, მიწისა და ზოგიერთი სხვა სახეობის გადასახადი.

ამავე დროს ვერ შესრულდა იმ გადასახადების ამოღების გეგმა, რომლებიც ძირითადად განაპირობებენ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სამემოსავლო ნაწილის ფორმირებას.

კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში შემოსავლები დამატებული ღირებულების გადასახადიდან ჩაირიცხა 33 მლნ ლარის, ხოლო მოგების გადასახადიდან 16 მლნ ლარის ოდენობით. ეს, შესაბამისად, საგეგმო დავალებების 84 და 57%-ს შეადგენს.

სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადთა შესრულებაში თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ადიგენის, ზესტაფონის, თერჯოლის, მარტვილის, ნინოწმინდის, ჩოხატაურისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო დავალებები გადაჭარბებით შესრულდა შიდა ქართლის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეებში.

100-პროცენტიან ზღვარს მჭიდროდ მიუახლოვდნენ მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის მხარეები.

ტერიტორიული ერთეულების მიხედვით შემოსავლების გეგმა შესრულდა 33 ქალაქსა და რაიონში.

ამავე დროს საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმები ვერ შეასრულა იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის მხარეებმა. სამცხე-ჯავახეთს დააკლდა ძალიან ცოტა — 2,0 პროცენტი.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების შედეგები რამდენადმე უკეთესი იქნებოდა, რომ არა სტიქიური მოვლენები და მათ მიერ გამოწვეული სერიოზული დანაკარგები, აქედან გამომდინარე კი — შესაბამისი ხარჯები, რომლებიც, შესაძლებლობის ფარგლებში, გაიღო ჩვენმა ცენტრალურმა ბიუჯეტმა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ძლიერმა გვალვებმა და სეტყვამ უმძიმესი ზარალი მიაყენა მთლიანად კახეთის მხარეს და განსაკუთრებით დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონებს, ასევე აჭარის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ზოგიერთ სხვა მხარეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტ „საქნავთობისათვის" სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების გასული წლის ბოლომდე გადავადებასთან დაკავშირებით, საგარეჯოს რაიონის ბიუჯეტს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის სახით 400 ათასი ლარი დააკლდა. იგივე ითქმის ზოგიერთ სხვა რაიონზეც.

### ვ) 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარჯების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება და ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსება.

წინასწარი მონაცემებით, 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა 783 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილ დონეზე 21 მლნ ლარით ნაკლებია. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 551 მლნ ლარი, ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯებმა — 162 მლნ ლარი.

ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში, 1995 წელთან შედარებით, 1996 წელს გარკვეული პროგრესია მიღწეული.

სოციალური სფეროს დარგების დაფინანსებამ 146 მლნ ლარს მიაღწია, რაც 1995 წელს ამავე მიმართულებით გაწეული ხარჯების დონეს თითქმის 1,5-ჯერ აღემატება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაფინანსების მოცულობა.

ამაღლდა მეცნიერების სფეროში გაწეული სახელმწიფო ხარჯების დონე.

თითქმის 2-ჯერ გაიზარდა სპორტის დაფინანსება.

1995 წელთან შედარებით 1996 წელს 3,5-ჯერ მეტი ხარჯები იქნა გაწეული სამართალდამცავი ორგანოების დასაფინანსებლად.

შემოსავლების საგეგმო მოცულობების შეუსრულებლობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მთლიანად სახელმწიფო და განსაკუთრებით ცენტრალური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულებაზე, რის გამოც ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება ვერ დაფინანსდა. მიუხედავად ამისა, ცენტრალური ბიუჯეტის დაცული მუხლების მიხედვით დაგეგმილი ასიგნებები სრული ოდენობით გამოიყო.

სოციალური სფეროს ძირითადი დარგების მიმდინარე გადაუდებელი ხარჯების დაფინანსების დონემ, 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემების თანახმად, შეადგინა: განათლების სფეროში — 83%, ჯანმრთელობის დაცვაში — 94%, კულტურისა და სპორტის სფეროში — თითქმის 100%.

სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დაცვის სფეროში გათვალისწინებული ყველა ღონისძიება 100%-მდე დაფინანსდა.

თუ 1995 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი 93 ლარს შეადგენდა, 1996 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 150 ლარს მიაღწია, ხოლო 1997 წელს — 196

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(გაგრძელება)

ლარს გაუტოლდება. ეს მატება აბსოლუტურ გამოხატულებაში შეიძლება არ იყოს საგრძნობი თითოეული ოჯახისათვის, მაგრამ მე თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ტენდენციას, რომელიც მკვიდრდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტია საბიუჯეტო ხარჯების მოცულობის საგრძნობი გადიდება, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფინანსურ და მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდის.

1996 წელს ეკონომიკის ზოგიერთ დარგში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა რიგი სამთავრობო ღონისძიებები, ხელფასები მოემატათ განათლებისა და მეცნიერების დარგის მუშაკებს, მმართველობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს, მაღალი რანგის სპეციალისტებს და სხვ.

1996 წლის დეკემბრის მონაცემებით ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 35-38 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო სექტორში კი 45 ლარს მიაღწია. კერძო სექტორში კი ეს მაჩვენებელი 120-დან 140 ლარამდე მერყეობდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1995 წლის ბოლოს ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 15-16 ლარს, ხოლო საბიუჯეტო სფეროში 9 ლარს შეადგენდა, გარკვეული პროგრესი თვალსაჩინოა, თუმცა ეს მონაცემი დადებითი ტენდენციის მხოლოდ დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტში შინამეურნეობებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ მოსახლეობის ფულადი შემოსავლების (ტრანსფერტების ჩათვლით) დონე რეალურ ფასებში, 1995 წელთან შედარებით, 40 პროცენტით გაიზარდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციებისა, ქვეყანაში ცხოვრების დონის ოფიციალური მაჩვენებელი კვლავ ძალზე დაბალია. იგი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1990-იანი წლების დასაწყისის დონეს.

დიდია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შემოსავლების დონეთა სხვაობა.

საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ როდესაც ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან ნატურის სახით შემოსავლების მიღებისა და მოხმარების წილი, რადგან წინა წლებში ეკონომიკური სტაგნაციის პარალელურად განვითარდა შემოსავლების ნატურალიზაციის პროცესი.

შეიძლება ითქვას, რომ ძნელბედობის ჟამს სოფელი იქცა საქართველოს მოსახლეობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საარსებო წყაროდ.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის მონაცემებით, 1996 წელს ნატურალური შემოსავლებისა და ხარჯების წილი მთლიან შემოსავლებში ქალაქებში 50-60 პროცენტს შეადგენდა. ეს ძალზე საგულისხმო მონაცემია.

სიღარიბის ზღვარის დაზუსტებისას აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ „ჩრდილოვანი ეკონომიკის" არსებობა, აღურიცხავ ფართობებზე მოყვანილი პროდუქტის მოხმარება, ელექტროენერგიის საფასურის გარეშე მოხმარება, არალიცენზირებული სატრანსპორტო საშუალებებით გაწეული მომსახურება, გარე და მაქოსებური ვაჭრობა, თვითდასაქმების სხვა ფორმები და ასე შემდეგ. ასე რომ, წლეულს აღრიცხვიანობის მოწესრიგების თვალსაზრისით ძალიან დიდი სამუშაო გვექნება შესასრულებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში იმპორტი ექსპორტს მნიშვნელოვნად აჭარბებს, საბანკო სისტემაში არსებულ უცხოურ აქტივებზე მოთხოვნა ასეთივე ინტენსიურობით არ იზრდება. ეს კი ადასტურებს იმ აზრს, რომ რიგი საგარეო სავაჭრო ოპერაციები საბანკო სისტემის გვერდის ავლით ხორციელდება. ესეც უზარმაზარი რეზერვია, რაც საერთოდ დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობისათვის.

ოფიციალური სტატისტიკით, სიღარიბის ზღვარი 1996 წელს საშუალო ოჯახისათვის 190-200 ლარი იყო. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ნატურალური შემოსავლის მოცულობასა და სხვა ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს, სტატისტიკური დაკვირვების მასალებით გამოდის, რომ ფულადი და ნატურალური შემოსავლების ჯამი თვეში საშუალოდ ერთ ოჯახზე 250-300 ლარს აღწევდა.

შემოსავლების რეალური კრიტერიუმების გათვალისწინების შემდეგ აშკარა ხდება, რომ სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფ ოჯახთა რიცხვი დაზუსტებას მოითხოვს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის დარგში ჩვენი პოლიტიკის სხვადასხვა პარამეტრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

8) საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია

1996 წლის საფინანსო შედეგები, ვალუტის სიმყარესთან და ფისკალური დეფიციტის შემცირებასთან ერთად, აღინიშნება საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციაში მნიშვნელოვანი ეტაპით.

1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს აღებულად ეთვლებოდა 31 კრედიტი, რომლის საერთო თანხა 1,2 მლრდ დოლარს შეადგენს. ეს კრედიტები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

– ტექნიკური კრედიტები, რომლებსაც საფუძვლად დაედო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში 14,6 პროცენტამდეა.

– სასაქონლო კრედიტები, რომელსაც საფუძვლად დაედო მოწოდებული პროდუქციის (ბუნებრივი გაზი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრაქტორები და სხვ.) შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (თურქმენეთის, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის, ევროგაერთიანების კრედიტები). მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 53,0%-ს.

– სარეაბილიტაციო კრედიტები (რუსეთის მეორე და მესამე, გერმანიის სამი, სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის კრედიტები), რომელიც გამიზნული იყო ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის საჭიროებისათვის. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 32%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა საწყისი საკრედიტო ან სხვა დოკუმენტებისა გაფორმებულია 1992-1994 წლებში. ამ დოკუმენტებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკის არც მაშინდელი მდგომარეობა და არც უახლესი რამდენიმე წლის პროგნოზი, რის შედეგადაც შექმნილი მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ვასრულებდით საკრედიტო ხელშეკრულებებით დაკისრებულ ვალდებულებებს. დღის წესრიგში დადგა საქართველოს დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხი. სავალუტო ფონდის ინიციატივით, ჩვენ მივმართეთ ჩვენს კრედიტორ ქვეყნებს თხოვნით საქართველოს დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე და მივიღეთ კიდეც მათი თანხმობა. ეს ძალზე სერიოზული სამუშაო ჩვენმა სისტემებმა საკმაოდ წარმატებით შეასრულეს.

1997 წლის იანვრისათვის საგარეო ვალების ჩამოყალიბებული მოცულობიდან, რაც ბოლო დაზუსტებული მონაცემებით, 1 მლრდ 392 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რესტრუქტურიზაციას ექვემდებარება 854,0 მლნ აშშ დოლარი. უკვე რესტრუქტურიზებულია 794,0 მლნ აშშ დოლარის საგარეო ვალები. მათ შორის, დამთავრდა მოლაპარაკებები და გაფორმდა ხელშეკრულებები საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციაზე 7 კრედიტორთან, როგორიცაა თურქმენეთი, უზბეკეთი, ირანი, ავსტრია, რუსეთი და სხვა.

ევროკავშირის ვალის თაობაზე მიღწეულია შეთანხმება ვალის მომსახურების გადახდის რეჟიმზე და ის განსაკუთრებულ ტვირთად არ დააწვება ქვეყანას.

ამავე დროს, ხელმოსაწერია შეთანხმება ჩინეთთან და ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან. პრინციპული თანხმობა მათგან ამ საკითხზე მიღებულია.

გარდა ამისა, თითქმის მიღწეულია შეთანხმება უკრაინასთან სესხის დაფარვის პირობების შესახებ. თანხა მცირეა, მაგრამ სესხი სესხია და ზრუნვაა საჭირო.

საფინანსო და ფულად-საკრედიტო სფეროში 1996 წელს საქართველოს ერთგვარი სტაბილურობა დასტურდება იმითაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ 23 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის (ისაფ-ის) ფარგლებში საქართველოსათვის მეორე ტრანშის გამოყოფის შესახებ, რაც დაახლოებით 40 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ასეთივე თანხა მიღებული გვაქვს 1996 წლის დასაწყისშიც.

1996 წლის ბოლოს მიღებულია აგრეთვე მსოფლიო ბანკიდან საკ-ის მეორე ტრანში – 30 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

ისაფ-ის მეორე ტრანშის გამოყოფასთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს დასკვნაში საქართველოს ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნებში მიღწეულ წარმატებებთან ერთად, აღინიშნა ნაკლოვანებებიც. კერძოდ, ის ფაქტი, რომ დაბალია სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონე. სახელმწიფოს მიერ ფისკალური დეფიციტის შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ხარჯების შეზღუდვის მექანიზმის მეშვეობით, რაც ქვეყნის განვითარების სამომავლო ინტერესებს არ შეესაბამება. ეს პრობლემა უნდა წყდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის მკვეთრი გადიდების, ხარჯებზე კონტროლის გაძლიერების და მათი რაციონალიზაციის გზით, რაც არსებითად აისახა 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება

## 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1997 წლის 7 თებერვალს

ბატონო პარლამენტარებო!

იმის გამო, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულია 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების შესახებ დეტალური მოხსენების მოსმენა პარლამენტში 1997 წლის 31 მარტამდე, სადაც უფრო ყოველმხრივ და ღრმად იქნება გაანალიზებული 1996 წლის ბიუჯეტის შესრულება, ნება მიბოძეთ, გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგების მოკლე მიმოხილვა ამით დავამთავრო და გადავიდე 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე.

## III. 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ

ა) ახალი კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი

ახალი კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ, რომელიც 1995 წელს მიიღო პარლამენტმა, დეტალურად აზუსტებს კონსტიტუციურ მოთხოვნებს საბიუჯეტო სფეროში. იგი ქმნის ყველა სამართლებრივ საფუძველს ოპტიმალური, მეცნიერულად დასაბუთებული ბიუჯეტის შესამუშავებლად და ასამოქმედებლად.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ჩამოყალიბების პროცესი გასული წლის ივნისიდან დაიწყო და მან, შეიძლება ითქვას, საერთო სახალხო განხილვის სახე მიიღო. მის ფორმირებაში საწყისი ეტაპიდან აქტიურად მონაწილეობდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამეცნიერო დაწესებულებები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტები, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურები.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა პარლამენტთან თანამშრომლობა. შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულში პარლამენტს წარედგინა 1997 წლის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მომავალი სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებსაც საფუძვლად ედო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების სამწლიანი პროგრამა.

მოგვიანებით გაჩნდა ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების კორექტირების აუცილებლობა გამოწვეული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით – პარლამენტისათვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსავლებისა და ხარჯების 15-22%-ით შემცირების თაობაზე.

შეიქმნა ორი საბიუჯეტო კონცეფცია, ფაქტობრივად, 1997 წლის ბიუჯეტის ორი პროექტი. მათმა შეჯერებამ დიდი დრო წაგვართვა.

საბოლოოდ, მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარმოდგენილი ვარიანტი არსებითად გამომდინარეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საფინანსო ორგანიზაციათა რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობიდან, რაზედაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საქართველოში სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამის შემდგომი განხორციელება, ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მომავალი აქტივობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეალური პერსპექტივა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ბიუჯეტის შედგენის დარგში ჩვენ არავისი, არც უცხოელებისა და არც შინაგანი ძალების ვოლუნტარისტულ დიქტატს არ ვემორჩილებით, როგორც ეს ზოგიერთ ოპონენტს ჰგონია. ჩვენ ვემორჩილებით გონიერების იმპერატივს. ჩვენ ვიდექით ალტერნატივის წინაშე: ან ბიუჯეტის პროექტს შევადგენდით საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გარეშე სრულიად დამოუკიდებლად და თვითონვე დამოუკიდებლად დავაფინანსებდით მას, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავებდით ბიუჯეტის პროექტს და მათთან ერთად დავაფინანსებდით მის ყველა პარამეტრს, რითაც თავიდან ავიცილებდით ისეთ ნეგატიურ და დამანგრეველ მოვლენას, როგორიც არის ბიუჯეტის დიდი დეფიციტი. პირველ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციები განზე გადგებოდნენ და პასუხისმგებლობას იხსნიდნენ.

მეორე შემთხვევაში ჩვენთან ერთად იმუშავებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები ცნობილ სამწლიან პროგრამაზეც.

ჩვენ სწორედ ეს გზა ავირჩიეთ.

ჩვენ გვქონდა და გვაქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მათ შორის ბიუჯეტის სრულიად დამოუკიდებლად შედგენის თავისუფლება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი ეკონომიკისა და ფინანსების მდგომარეობა ამის პრაქტიკულ საშუალებას არ იძლევა. ესაა მიზეზთა მიზეზი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მთავრობას, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკურ სამსახურს უფრო კომპეტენტურად რომ ემუშავათ, დროზე, მეცნიერულ დონეზე რომ შეეფასებინათ ბიუჯეტის პროექტისა და ინდიკატური გეგმის პარამეტრები (არადა, ამის საშუალება არსებობდა) – ბიუჯეტის პროექტი კონსტიტუციისა და კანონის სრული შესაბამისობით იქნებოდა წარმოდგენილი პარლამენტში. ესეც გარკვეული გამოცდილებაა, მართალია – მწარე, მაგრამ ამის შესახებ უნდა ითქვას და დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

ბ) ეკონომიკის სამინისტროს სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატური გეგმისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ურთიერთმიმართების პრობლემები

კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ მოითხოვს, რომ ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტი შედგეს სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით: პირველი – ეკონომიკის სამინისტროს მიერ შედგენილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტის მაჩვენებლების; მეორე – ფინანსთა სამინისტროს ექსპერტული შეფასებებისა და, მესამე, საერთაშორისო საფინანსო ვალდებულებების შესაბამისად განსახორციელებელი ფინანსური პროგრამების გათვალისწინებით.

პარლამენტში წარმოდგენილი 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უპასუხებს კანონის ყველა ამ მოთხოვნას.

გარკვეული მიღწევები შესამჩნევია ეკონომიკის სამინისტროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენისა და ფინანსთა სამინისტროს ექსპერტული დასკვნების შემუშავების თეორიასა და პრაქტიკაში, მაგრამ ეს საქმიანობა ორივე სამინისტროში უფრო მეტ დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ შემუშავებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა". ეს გეგმა, გარკვეულწილად, ჩვენი ბიუჯეტის ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს.

გ) საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა, მაკროეკონომიკური და სტრუქტურული გარდაქმნების 1996-1998 წლების საშუალოვადიანი პროგრამა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელი ისიც არის, რომ ის, ისევე როგორც 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, წარმოადგენს მაკროეკონომიკური და სტრუქტურული გარდაქმნების სამწლიანი საშუალოვადიანი პროგრამის შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს მთავრობის 1997 წლის მაკროეკონომიკური პროგრამის ამოცანებია: 1. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების 8-10 პროცენტის დონეზე უზრუნველყოფა; 2. 12 თვის მანძილზე ინფლაციის ტემპის შემდგომი შემცირება წლიურად 10-12 პროცენტამდე; 3. ეროვნული ბანკის ერთიანი საერთაშორისო რეზერვების პოზიციის გაუმჯობესება 170 მლნ აშშ დოლარის დონემდე.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი იმავე დროს არის პრეზიდენტის პროგრამის მოთხოვნების საფუძველზე აგებული დიდმნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტი, რადგანაც საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია.

დ) 1997 წლის ბიუჯეტის ძირითადი ამოცანები და პარამეტრები

გასულ წელთან შედარებით საბიუჯეტო მოწყობამ, საბიუჯეტო სტრუქტურამ ახალი კანონის საფუძველზე გარკვეული ცვლილებები განიცადა. 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პროექტის მიხედვით მოიცავს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტს და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს.

ნაერთ (კონსოლიდირებულ) ბიუჯეტში იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ერთობლიობა.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ეკონომიკური ზრდის საფინანსო-საბიუჯეტო მეთოდებით სტიმულირებისა და სამამულო მეწარმეობის ყოველმხრივი ხელშეწყობის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული აღმშენებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელი პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფაში.

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად გამოდის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა, შემოსავლების მატება იმ დონემდე, რაც სახელწიფო ხარჯების უმეტესობის დაფინანსების საშუალებას მოგვცემს, ხოლო კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებაზე ჯერჯერობით ორიენტაცია კვლავ საგარეო რესურსებზე რჩება. შემოსავლების მატება დაემყარება საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის შემდგომ განმტკიცებას. გაფართოვდება საგადასახადო ბაზა. მთავრობა კვლავინდებურად განახორციელებს ხარჯების შეკვეცის კურსს, გააგრძელებს საბიუჯეტო ორგანიზაციების შემცირებას, ხარჯების მართვასა და საბიუჯეტო დაგეგმვის სრულყოფას. შემცირებას დავიწყებთ სახელმწიფო კანცელარიიდან და პრეზიდენტის აპარატიდან. ყველა სისტემასა და უწყებას მოვუწოდებ მიბაძონ ამ მაგალითს.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ასახულია პრიორიტეტების ისეთი სისტემა, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია, ერთი მხრივ, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირებაზე, მეორე მხრივ – აქტიური და ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებაზე.

### 1. 1997 წლის ბიუჯეტის შემოსავალი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 639 მლნ ლარის ოდენობით, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 9 პროცენტის დონეზე, ნაცვლად შარშანდელი 6,7 პროცენტისა. ხოლო, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მოცულობა 818 მლნ ლარის ოდენობით ჩამოყალიბდა.

მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების დონე გასული წლის 8,9%-დან წელს 11,5%-მდე უნდა გაიზარდოს, საგადასახადო შემოსავლების საერთო თანხა კი მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ს მიაღწევს, რაც 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 3 პროცენტული პუნქტით აღემატება. სასურველია, ჩვენმა პარლამენტარებმა ყურადღება მიაქციონ, როგორ ვითარდება ეს პროცესი პოსტსოციალისტური სივრცის სხვა ქვეყნებში. ძალიან საინტერესოა, როგორ გამოიყურება საქართველო საერთო ფონზე.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ამაღლდეს ხარჯების დაფინანსებაში საკუთარი წყაროების როლი. კერძოდ, 1997 წელს გრანტების თანხა (რომელიც ჯერჯერობით 60 მლნ ლარით განისაზღვრება) ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის ხარჯების მოსალოდნელ დაფარვაში 6%-ზე ნაკლებს შეადგენს, შარშან კი გრანტების წილი ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების 8,4%-ს უდრიდა.

### 2. 1997 წლის ბიუჯეტის ხარჯები

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სავარაუდო მოცულობა გათვალისწინებულია 840 მლნ ლარის ოდენობით, ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის ხარჯები კი – 1018 მლნ ლარის ოდენობით. ეს 1997 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის მიმართ შეადგენს 12%-ს და 14,3%-ს შესაბამისად, რაც შარშანდელ დონესთან შედარებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

1997 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა გასული წლის დონეს 30%-ით აჭარბებს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში საკუთარი შემოსავლებით დაფინანსებული წილი – 76% გახლავთ.

### 3. ბიუჯეტის დეფიციტი

ბიუჯეტის საშემოსავლო და სახარჯო ნაწილის გაფართოებასთან ერთად დაგეგმილია საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ეკონომიკური ზრდის საბიუჯეტო სტიმულირებისა და შესაბამისად სახელმწიფო ხარჯებისათვის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი როლის მინიჭების პირობებში საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის მოცულობაც 199,9 მლნ ლარით განისაზღვრა, მთელი 21%-ით, ანუ 56,3 მლნ ლარით ნაკლებია 1996 წლის ფაქტობრივ დონეზე. ვფიქრობ, დეფიციტის შემცირების საკმაოდ გამოკვეთილი ტენდენციაა.

დეფიციტი დაფინანსების შიდა და გარე წყაროებით დაიფარება. კერძოდ, შიდა წყაროებიდან – 97,6 მლნ ლარი შემოვა, საგარეო წყაროებიდან კი – 148,5 მლნ ლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ საბიუჯეტო დეფიციტის დონე შარშანდელი 4,3%-დან 2,8-მდე შემცირდება.

შეზღუდული რესურსების გამო, 1997 წელს უნდა გაგრძელდეს საბიუჯეტო ხარჯების გონივრული მომჭირნეობის პროგრამა.

ბიუჯეტის პროექტში მიმდინარე ხარჯები განსაზღვრულია მთლიანი შიდა პროდუქტის 13,3%-ით, ხოლო ინვესტიციების და წმინდა დაკრედიტების ხარჯები – 1,1%-ით.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად განსახორციელებელი მაკროეკონომიკური და სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამა 1997 წელს ითვალისწინებს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად საგარეო წყაროებიდან 146 მლნ ლარის შესაბამისი ოდენობით ფინანსურ დახმარებას. მათ შორის 70 მლნ დოლარის მოცულობით კრედიტების მიღებას მსოფლიო ბანკიდან, 20 მლნ დოლარის ოდენობით სასაქონლო კრედიტის მიღებას აშშ-საგან, ხოლო 10 მლნ დოლარისა კი – ევროკავშირიდან საგადასახდელო ბალანსის საჭიროებისათვის.

გარდა ამისა, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკიდან, ევრობანკიდან, გერმანიისა და იაპონიისაგან მისაღები კრედიტების საერთო მოცულობა 105 მლნ დოლარს მიაღწევს.

მნიშვნელოვანია, რომ 1997 წელს მთავრობა აპირებს დაიწყოს სახაზინო თამასუქების გამოშვება 10 მლნ ლარის ოდენობით 1 ივლისიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ყველა საოპერაციო საქმიანობას სახაზინო თამასუქების განთავსებასთან დაკავშირებით.

### 4. სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის ზოგიერთი მთავარი პარამეტრი. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქციის თანხა

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალის და თითოეული ჩვენი მოქალაქის სახელმწიფოებრივი და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის მზარდი შესაძლებლობანი.

ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის თანხა 1997 წელს 1365 ლარს მიაღწევს, შარშანდელი 1135 ლარის ნაცვლად.

1997 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით შეადგენს საშუალოდ 157 ლარს, ნაცვლად 1996 წლის 101 ლარისა.

ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო ხარჯები კი 1997 წელს გაუტოლდება 196 ლარს, ნაცვლად 1996 წლის 150 ლარისა.

ამასთან, ერთ სულ მოსახლეზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების დონე თითქმის 1,3-ჯერ აღემატება შემოსავლების დონეს.

ამავე დროს, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების წილ...

(გაგრძელება მე-5 გვ.)

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება

## 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1997 წლის 7 თებერვალს

(გაგრძელება)

...ხარჯების წილზე გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, რაც ...ყველებს ბიუჯეტის დაბალანსებისაკენ მიმართულ ...ენდენციებზე.

## 1997 წლის ბიუჯეტის შემოსავალი

როგორც უკვე აღინიშნა, 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო შემოსავლები და გრანტები პროექტის მიხედვით შეადგენს 640 მლნ ლარს. ამ თანხაში საბიუჯეტო მოწყობის ახალი წესის თანახმად, შედის ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლები (532,4 მლნ ლარი) და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლები (107,6 მლნ ლარი).

მთლიანად კი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების კუთვნილ შემოსავალთა საპროგნოზო მოცულობების (178,1 მლნ ლარი) ჩათვლით სახელმწიფოს მიერ მობილიზებული თანხების ოდენობა 818 მლნ ლარი უნდა შეადგინოს, რაც 1996 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებს 290 მლნ ლარით, ანუ 1,5-ჯერ და მეტად აღემატება.

მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის დონე, რომელიც გათვალისწინებულია 419,4 მლნ ლარის, ხოლო ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ჩათვლით 575 მლნ ლარის ოდენობით, 1996 წლის ფაქტობრივ დონესთან შედარებით 1,8-ჯერ და მეტად გაიზრდება.

საშემოსავლო ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისა და საგადასახადო დისციპლინის ამაღლების შედეგად შექმნის ...რგ პირობებს სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მობილიზაციის გაცილებით უკეთესი დონის მისაღწევად.

...წინარეს ყოვლისა, ეს ეხება მოგების გადასახადს, რომლის განაკვეთი მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებისათვის ორკეცდება, ხოლო საბანკო სექტორში 35-დან ...პროცენტამდე მცირდება. ჩვენ უნდა წავიდეთ ასეთ ღონისძიებაზე საბანკო სექტორთან, რათა ახალი სტიმული მივცეთ საქართველოში ბანკებისა და, საერთოდ, საბანკო სისტემის განვითარების პროცესს.

ამ ფონზე საწარმოთა მოგების გადასახადის სახით ნაერთმა ბიუჯეტმა უნდა მიიღოს 1997 წელს 60 მლნ ლარამდე თანხა, ანუ ნაერთი ბიუჯეტის მთელი საგადასახადო შემოსავლების 7%-ზე მეტი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტმა 24,1 მლნ ლარი.

შარშანდელ დონესთან შედარებით მოგების გადასახადის სახით ნაერთ ბიუჯეტში დაგეგმილი თანხა თითქმის 2-ჯერ იზრდება.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის სახით, დიფერენცირებული შკალის შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტმა 34,8 მლნ ლარი უნდა მიიღოს, რაც 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ...%-ით აღემატება.

მობილიზაციის დონის ამაღლების ასეთი პროგნოზი ემყარება მოსახლეობის შემოსავლებში მოსალოდნელ პოზიტიურ ძვრებს.

კერძოდ, შარშან, ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2,3-ჯერ გაიზარდა, მათ შორის საბიუჯეტო სექტორში – 3,3-ჯერ, არასაბიუჯეტოში – 4-ჯერ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით 1997 წელს ხელფასის ზრდა ეროვნულ მეურნეობაში საშუალოდ ...%-ს მიაღწევს.

მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავრესი მიზანია ქვეყანაში საერთო მოთხოვნის დონის ამაღლება. ეს მექანიზმი ლევს 1997 წლის ბიუჯეტის პროექტში. მიმდინარე წელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სახის გადასახადებს, როგორიცაა დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი. აღნიშნული სახეობების გადასახადთა მიხედვით კანონპროექტი ითვალისწინებს შესაბამისად 264,2 ...ნ და 52 მლნ ლარის მიღებას.

მაღალი ზრდის ტემპით არის წარმოდგენილი კანონპროექტში შემოსავლები საბაჟო გადასახადის მიხედვით, რომლის სახელმწიფო ბიუჯეტმა წელს უნდა მიიღოს 42,9 მლნ ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი 1996 წლის ფაქტობრივ მოცულობას თითქმის სამჯერ აჭარბებს.

ასეთ მატებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ წელს ამოქმედდება ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ასახავს საქართველოში საბაჟო საქმის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს.

საბაჟო დეპარტამენტის ხაზით წელს ამოღებული იქნება 1997 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის მთელი საგადასახადო შემოსავლების 30%, რაც წინა წელთან შედარებით 2,5-ჯერ მეტია.

საგადასახადო ინსპექციის ხაზით დაგეგმილია ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის მთელი საგადასახადო შემოსავლების 70%-ის (400 მლნ ლარის) მიღება, რაც 1996 წლის დონეს 1,6-ჯერ აჭარბებს.

საქართველოს მთავრობის მიერ წინა წლებში საწარმოებსა და ორგანიზაციებზე გაცემული სახელმწიფო კრედიტების მომსახურებისა და მათი დაფარვის თანხები 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში არასაგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის 48%-ს, ანუ 20,8 მლნ ლარს შეადგენს.

კაპიტალური შემოსავლის სახით 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა მიიღოს 10 მლნ ლარი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან.

1997 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციის მნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს სპეციალური სახელმწიფო ფონდები.

აღნიშნული ფონდების შემოსავლების მოცულობა ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 113,5 მლნ ლარი უნდა შეადგინოს, რაც ...ით აღემატება 1996 წლის ფაქტობრივ დონეს.

საბიუჯეტო ორგანიზაციებიც იგივე განაკვეთს გადაიხდიან, რასაც სხვა ორგანიზაციები.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი უფრო ...დითი და ეფექტიანი უნდა გახდეს. აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, მკვეთრად ...დეს წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დონე, ...ც უზრუნველყოფს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას და ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლების სრულ ასახვას. ვიმეორებ, რომ აღრიცხვიანობის მოწესრიგება მიმდინარე წლის ერთ-ერთი მთავრესი ამოცანაა.

## V. 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების ნაწილი 840 მლნ ლარს აღწევს, ანუ შარშანდელთან შედარებით 28 პროცენტით არის გაზრდილი.

საბიუჯეტო ხარჯების სისტემის აგების სტრატეგიას საფუძვლად უდევს სახელმწიფო განვითარების მეცნიერული კონცეფცია, კონკრეტული სამეურნეო ამოცანების სისტემის ჩამოყალიბება და პრიორიტეტების გააზრებული გამოყოფა.

### ა) სოციალური სფეროს ხარჯები

...ლიერი სოციალური ორიენტაცია წარმოადგენს ახალი ბიუჯეტის პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რა თქმა უნდა, ქვეყნის შესაძლებლობების ფარგლებში.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შემწეობებისა და მათ შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისათვის გათვალისწინებულია 56 მლნ ლარი, რაც 1996 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე თითქმის 1,5-ჯერ მეტია.

გაიზრდება სოციალური სფეროს ისეთი დარგების დაფინანსების მოცულობა, როგორიცაა: ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სპორტი და დასვენების ორგანიზაცია.

სოციალური სფეროს აღნიშნული დარგების და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების ხვედრითი წილი 1997 წლის ბიუჯეტის ხარჯების მთლიან მოცულობაში განსაზღვრულია 45%-ის დონეზე და შეადგენს 378 მლნ ლარს, რაც თითქმის ორჯერ აღემატება 1996 წლის ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

განათლების ხაზით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 51 მლნ ლარი, რაც შარშანდელ დონეზე თითქმის ორჯერ მეტია.

განათლების რეფორმების ხელშეწყობისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ასიგნებანი 7 მლნ ლარის მოცულობით.

მეცნიერების დაფინანსების სფეროში მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 18 მლნ ლარის გამოყოფას, რაც გასული წლის მაჩვენებელს 6 მლნ ლარით აღემატება.

ფუნდამენტური მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ამ დარგში დასაქმებული მეცნიერი მუშაკების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ფუნდამენტურ მეცნიერებაში მისამართი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და მიზნობრიობის უზრუნველყოფისათვის 1997 წლის პირველი იანვრიდან შემოღებულია მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურების „გრანტული სისტემა“, მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსება და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სტიმულირებისათვის საპრეზიდენტო სტიპენდიები.

ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 2,3 მლნ ლარის გამოყოფა.

კულტურის სფეროსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დასაფინანსებლად გამოყოფილია 30 მლნ ლარზე მეტი, რაც გასული წლის ანალოგიური მაჩვენებლის 157%-ია. აქედან 14,4 მლნ ლარი მოხმარდება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციის დაფინანსებას. მომავალში რეორგანიზაცია იქნება საჭირო, მაგრამ ახლა ტელევიზიას დახმარება სჭირდება.

თეატრების, მუსიკალური დაწესებულებების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, აგრეთვე საგამომცემლო დაწესებულებების დაფინანსების მიზნით გათვალისწინებულია 18 მლნ ლარი. აქედან 3,4 მლნ ლარი გამოიყოფა თეატრებისა და მუსიკალური დაწესებულებების მიზნით. გასულ წელთან შედარებით ამ კუთხით დაგეგმილი ზრდა შეადგენს 54,5 პროცენტს, ხოლო 1995 წელთან შედარებით გაზრდილია თითქმის 5-ჯერ. ეს არის რეალური პოლიტიკა, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვენი კულტურისა და სულიერების გადარჩენისა და განვითარებისათვის.

მუზეუმებისა და გამოფენების დასაფინანსებლად 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია თითქმის 2 მლნ ლარი, რაც გასული წლის შესაბამის მონაცემს 2,5-ჯერ აღემატება.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია 44 მლნ ლარზე მეტი, ანუ მთელი ხარჯების 5,2%. აღნიშნული თანხა თითქმის 2-ჯერ აღემატება 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სპორტის განვითარების ღონისძიებებზე 1997 წელს გამოიყოფა 4 მლნ ლარი, რაც 1996 წლის მაჩვენებელზე 40%-ით მეტია.

1997 წელს სოციალური დაცვის ღონისძიებებს მოხმარდება სახელმწფო ბიუჯეტის ხარჯების საერთო მოცულობის 33,0%, ანუ 278 მლნ ლარი.

ეს თანხა თითქმის ორჯერ აღემატება 1996 წლის ბიუჯეტის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ფაქტობრივად სახელმწიფო ხარჯების ყოველი მესამე ლარი მიიმართება სოციალური დაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად.

სოციალური სფეროსათვის გათვალისწინებული სახსრების ნახევარზე მეტი, ანუ 140 მლნ ლარი მოხმარდება მოსახლეობის საპენსიო, სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო დაზღვევისა და სოციალური დაცვის ზოგიერთი სხვა ღონისძიების დაფინანსებას.

მათ შორის, მხოლოდ საპენსიო პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა 1,3-ჯერ აღემატება გასული წლის ბიუჯეტის ანალოგიურ ხარჯებს, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. დღევანდელ საქართველოში პენსიონერთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. ვფიქრობთ, გამოიძებნოს დამატებითი წყაროები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ რაც გამოიყოფა, ისიც არ მიდის დანიშნულებისამებრ. ბევრ რაიონში არ შესრულდა გადაწყვეტილება გასული წლის პენსიებისა და ხელფასების დაფარვის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით მუშაობს კომისია, რომელიც გაარკვევს, სად, რომელ ინსტანციაში და რა მიზეზით ჩერდება ეს თანხები. განაჩენი ამ კომისიის დასკვნების მიხედვით, იქნება ძალზე მკაცრი, ვინაიდან არ არსებობს უფრო მეტი უზნეობა, ვიდრე შეუჩერო პენსია იმ ადამიანებს, ვისთვისაც იგი არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში ახლებურად ჩამოყალიბდა სოციალური დახმარების ორიენტირები. დღეს არსებული 16 წლამდე ბავშვების დახმარების ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ოჯახთა დახმარების სისტემის ამოქმედება.

სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მონაცემებით საქართველოში ასეთი 120 ათასზე მეტი ოჯახია. მათ დასახმარებლად გამოყოფილია 18 მილიონი ლარი.

გარდა აღნიშნულისა, 1997 წლის ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ცალკეული ცვლილებები.

ინვალიდთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამაზე, გამოყოფილია 9 მლნ ლარი. სამწუხაროდ, დიდი საშუალებები მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, არ გაგვაჩნია, მაგრამ შეძლებისდაგვარად, ყველა რესურსი ავამოქმედეთ.

დასაქმების ერთიანი ფონდის მეშვეობით 3 მლნ ლარი გამოიყოფა უმუშევართა შემწეობების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის.

### ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მართლწესრიგის განმტკიცების ხარჯები

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სტრუქტურების – თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯები. ამ მიზნებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს საერთო ჯამში 195 მლნ ლარი (ანუ 1996 წლის დონის 145%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის მეხუთედზე მეტია.

მოცემული თანხიდან 90 მლნ ლარი გამოეყოფა თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს ხარჯები შეადგენს 75,7 მლნ ლარს, ხოლო სასაზღვრო ჯარების შენახვის ხარჯები – 14,3 მლნ ლარს. ძნელი იყო ამ თანხების გამოძებნა, მაგრამ ჩვენი უმთავრესი ამოცანა ქვეყნის სამხედრო ძალების განმტკიცებაა. სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდით.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯებს, 75,1 მლნ ლარი გათვალისწინებულია შინაგან საქმეთა ორგანოების დაფინანსებისათვის, ხოლო სახელმწიფო უშიშროების შენახვისათვის კი – 18,8 მლნ. ლარი.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა სასამართლო ორგანოების შენახვის ხარჯები, რაც 6,3 მლნ ლარს შეადგენს. ეს 1996 წლის დონეს 1,7-ჯერ აღემატება.

ზემოაღნიშნული ორგანოების შენახვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია პირადი შემადგენლობის რიცხოვნების მატებით, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით და კვების ხარჯების ნორმატივების ღირებულების ზრდით.

ამავე დროს, ხარჯების ზრდას ხელი შეუწყო სახელმწიფოსათვის ისეთი ახალი სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრუქტურების ჩამოყალიბებამ, როგორიცაა: საკონსტიტუციო სასამართლო, საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი და სხვა.

თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსება წარმოადგენს მიმდინარე წლის საბიუჯეტო ხარჯების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მუხლს.

### გ) საქართველოს სუვერენიტეტის და მთავრობის საშინაო და საგარეო ვალდებულებების მომსახურების ხარჯები

საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება, რაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში არსებული ლეგიტიმურობის დონეს, გარდა წმინდა მორალური ეფექტისა, ატარებს გამოკვეთილ ეკონომიკურ შინაარსსაც.

1997 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ქვეყნის სუვერენიტეტის მომსახურების ხარჯები (5 მლნ ლარი), რომელიც განაწილდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურების ხარჯების დაფინანსება შეადგენს 96,2 მლნ ლარს.

საგარეო ვალდებულებების ხარჯების დაფინანსებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მთავრობის საკუთარი მოსახლეობის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულება.

ამ მიმართულებით 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ პრინციპულ სიახლეს წარმოადგენს ბიუჯეტის კანონპროექტში საქართველოს მთავრობის შიდა ვალის მოსალოდნელი სიდიდის ასახვა. შეიძლება ეს სიმბოლური იყოს, მაგრამ მაინც პირველი ნაბიჯია და, ამდენად, მისასალმებელი.

ამ ვალებიდან ყველაზე პრობლემატური და ამავე დროს ყველაზე გადაუდებელია ვალი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მოსახლეობის მიერ ყოფილი სსრ კავშირის შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციასთან.

ინდექსაციისათვის საჭირო სახსრების საორიენტაციო მოცულობა ჩამოყალიბდა 40 მლნ ლარის ოდენობით.

ამ ვალის ნაწილობრივი დაფარვა უნდა დაიწყოს მიმდინარე წელს და დამთავრდეს 2001 წელს.

ამ მიზნით 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია 5 მლნ ლარი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად გაიცემა მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების ანაბრების ინდექსაციისათვის.

1997 წლის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში გათვალისწინებული იქნება მთავრობის საგარეო და საშინაო ვალების მომსახურების ხარჯებიც.

კერძოდ, საქართველოს მთავრობის დავალებით წინა წლებში თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ ქვეყნის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის საფასურის დავალიანების დაფარვა – 6,7 მლნ ლარის ოდენობით. ჩვენ ვალებსაც ვფარავთ და, ფაქტობრივად, საკუთარ წარმობასაც ვაძლევთ სტიმულს.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე ბლოკირებული საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების ანაზღაურება – 0,3 მლნ ლარის ოდენობით. ამ თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს სერიოზული მუშაობის დაწყება მოუწევს რუსეთის ხელისუფლებასთან.

გათვალისწინებულია, აგრეთვე თანხა 1982 წელს გამოშვებული საქართველოს შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების დაფარვისათვის.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით საშინაო ვალის დასაფარავად მთლიანად გამოიყოფა 12,0 მლნ ლარი.

### დ) საწარმოო სფეროს დარგების დაფინანსება

საწარმოო სფეროს დარგების დაფინანსებაზე, უცხოური ინვესტიციების სახით მიღებული თანხების ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1997 წელს გამოიყოფა 76,1 მლნ ლარზე მეტი, რაც მთელი ხარჯების თითქმის 10 პროცენტია. საინვესტიციო კრედიტები შეადგენს – 19,0 მლნ ლარს, ხოლო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები – 10,0 მლნ ლარს.

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 3 მლნ ლარი. ეს ...ბიზნესისათვის ხელშეწყობის ... ცდა.

პრინციპულად იცვლება მიდგომები სახელმწიფო კრედიტის მიმართ.

წარმოების განვითარების, რეფორმების და რესტრუქტურიზაციის პროცესები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს ეროვნულ ეკონომიკაში, ასევე სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალური მიზნობრიობისა და მისამართულობის აუცილებლობა მოითხოვს სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან გაცემული კრედიტების დაბრუნების აქტივიზაციას.

1997 წლის მარტის ბოლომდე დაგეგმილია იმ მევალეების ჩამონათვალის მომზადება, რომლებიც დროზე არ აბრუნებენ სესხს და გათვალისწინებულია ყველა გადაუხდელი სესხის დაფარვის მიღწევა 1997 წლის ივნისის ბოლომდე.

იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც ცხრა თვის მანძილზე ვერ გადაიხდიან დავალიანებას, აღიძრება საქმეები სასამართლოში. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მთავრობა კვლავ თავს შეიკავებს პირდაპირი თუ არაპირდაპირი სუბსიდიების გაცემისაგან (სახელმწიფო საწარმოებისათვის ზოგიერთი სპეციალური შემთხვევის გამოკლებით).

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებასა და რეაბილიტაციაზე, ძირითადად საინვესტიციო კრედიტებისა და პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე დაფინანსება შეადგენს 11,6 მლნ ლარს. აქედან ენერგოსექტორისათვის საწვავის შესაძენად გამოიყოფა 6 მლნ ლარი.

საქართველოს სამეურნეო კომპლექსის ბედი ბევრადაა დამოკიდებული აგრარული სექტორის განვითარებაზე.

სოფლისა და სატყეო მეურნეობის დარგების ხაზით გამოიყოფა 17,0 მლნ ლარი. მცირე თანხაა, მაგრამ არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეალური საშუალება.

სატრანსპორტო-საგზაო სისტემებზე გამოიყოფა 34,0 მლნ ლარი, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე - 15,1 მლნ ლარი (აქედან 9,1 მლნ ლარი წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ სახსრებს).

### ე) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები. რეგიონული საფინანსო პოლიტიკით გათვალისწინებული ხარჯები

კონსტიტუცია, კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ, 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი მაქსიმალურად ითვალისწინებენ ცენტრალური, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესებს არსებული რეზერვებისა და რესურსების ფარგლებში.

პარლამენტში, განსახილველად და დასამტკიცებლად შემოტანილ კანონპროექტში 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გათვალისწინებულია საგადასახადო-საბიუჯეტო, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი კონცეფცია, ძირითადი იდეები და მიმართულებები და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, გაწონასწორებულია, დაბალანსებულია ცენტრისა და რეგიონების ინტერესები. ეს ერთი.

მეორე. კანონპროექტში განსაზღვრულია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების მიზნობრივი ტრანსფერტების მოცულობა. ამ ტრანსფერტების გათვალისწინებით ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები დაამტკიცებენ ავტონო-მიური წარმონაქმნების ბიუჯეტებს 1997 წლისათვის.

ავტონომიური წარმონაქმნებისა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს ჰქონდათ 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში თავისუფალი მონაწილეობის შესაძლებლობა. ბევრი მათი წინადადება შევიდა კანონპროექტში. განსაკუთრებული ყურადღებით იქნა განხილული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წინადადებები. ბევრ დათმობაზე წავედით არსებული რესურსების ფარგლებში. ბევრ ისეთ წინადადებასაც დავეთანხმეთ, რაც მომავალში მოითხოვს შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ბიუჯეტის პროექტში გამოიკვეთა განსაკუთრებული მიდგომა აჭარისადმი, როგორც ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნისადმი. დავუშვით გამონაკლისი, რაც გუ... საბაჟო გადასახადის 40%-ისა და მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების 100%-ით დატოვებას 1997 წლისთვის. ვფიქრობთ, პარლამენტი ჩვენს ამ წინადადებას მხარს დაუჭერს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისადმი ყურადღების დამადასტურებელია აგრეთვე ბოლო დღეებში მიღებული გადაწყვეტილებაც. ავტონომიური რესპუბლიკის 1997 წლის ბიუჯეტის დამატებითი განხილვისას ქვეყნის ხელმძღვანელობამ და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გაითვალისწინეს აჭარის მთავრობისა და ფრაქცია “აღორძინების” თხოვნა რიგი პარამეტრების კორექტირების შესახებ. შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1997 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 6,5 მლნ ლარის ოდენობით დაფარული იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან. ამ მიზნით გადიდებული იქნა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი ტრანსფერტი 4,5 მლნ ლარი. უფრო სწორად, 4 მლნ-დან 4 მლნ 400 ათას ლარამდე ოდენობით. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენს ერთობლივ შესაძლებლობათა მაქსიმუმი, ცენტრშიც და ავტონომიურ რესპუბლიკაშიც.

მესამე. სხვა ტერიტორიული ერთეულების (მხარე, ქალაქი, რაიონი და ა.შ.) მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული მიზნობრივი ტრანსფერტების მოცულობის გათვალისწინებით ამტკიცებენ ადგილობრივ ბიუჯეტებს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რეგიონული საფინანსო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მიდგომები და ბერკეტები. ამ კუთხით ბიუჯეტის კანონის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ანუ მხარის ფონდის შექმნის მექანიზმს.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობა განისაზღვრება ბიუჯეტის პროექტში 38,2 მლნ ლარით. აქედან სპეციალური ღონისძიებების დაფინანსებას უნდა მოხმარდეს 11,3 მლნ ლარი.

სპეციალური ტრანსფერტების გამოყოფა გათვალისწინებულია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის – გენოციდის მსხვერპლთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის – 100 ათასი ლარი, ქ. თბილისისათვის – 1991-1992 წლებში მომხდარი მოვლენების შედეგად დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის – 7,0 მლნ ლარი, ცხინვალის სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენისათვის – 1,0 მლნ ლარი, ქ. ქუთაისის წყალსადენის მშენებლობისათვის – 805 ათასი ლარი, ასევე მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში გადაუდებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

რაც შეეხება სხვა ტრანსფერტებს, ისინი ძირითადად მიიმართება განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1997 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ერთიანი (უნიფიცირებული) ნორმატივები, რომელთა მიხედვით მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების 60 %

(დასასრული მე-6 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკა

№35. ხუთშაბათი, 13 თებერვალი 1997 წელი.

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება

## 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგებისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1997 წლის 7 თებერვალს

(დასასრული)

ადგილობრივ ბიუჯეტში დარჩება. გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის ბიუჯეტში 1997 წელს დარჩება დამატებული ღირებულების გადასახადის 30%-ისა და საბაჟო გადასახადის 40%.

მე ამ დღეებში ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ჩვენ მეტი ზრუნვა გვმართებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ცხინვალის რეგიონის დანგრეული და გაპარტახებული მეურნეობის აღდგენაზე. რა დღეს, რა ხვალ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება. მეურნეობის აღდგენაზე ზრუნვა ამთავითვე უნდა დავიწყოთ. ამ მიდგომას, სხვათა შორის, იწონებენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია თბილისი და თბილისის ბიუჯეტი. ამას წინათ თბილისის ბიუჯეტი პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან განსაკუთრებული განხილვის საგანი იყო. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თბილისი სანიმუშო ქალაქი და დედაქალაქი იყოს. დედაქალაქი ქვეყნის სახეა. უნდა დაჩქარდეს დედაქალაქის შესახებ კანონის მიღება.

### 3) სახელმწიფო ხარჯების მიზნობრიობისა და ოპტიმალური რეგულირების უზრუნველყოფა. სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო სისტემის დაწყებული გარდაქმნის მთავარი მიზნებია საბიუჯეტო რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია, მათი ეფექტიანი, სრული აღრიცხვა და, რაც მთავარია, ხარჯების მიზნობრიობის და ოპტიმალური რეგულირების უზრუნველყოფა.

ამ მიმართულებით 1997 წლის ბიუჯეტის პროექტში ჩადებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე. კერძოდ, ის ითვალისწინებს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეციალური (ბიუჯეტგარეშე) სახსრების ანგარიშების დახურვას და სახაზინო სისტემაში მათ გადმოტანას.

საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ფონდების ყველა შემოსავალი თავს მოიყრის ხაზინის კონსოლიდირებულ ფონდში, საიდანაც შემდგომ განხორციელდება სახელმწიფოს ყველა საბიუჯეტო დანახარჯი. ვფიქრობ, ეს სისტემა გამორიცხავს ხელფასებისა და პენსიების დაგვიანებასაც.

მომავალშიც მკაცრად იქნება დაცული ხარჯების პრიორიტეტული დაფინანსების პრინციპი. უპირატესობა მიენიჭება ხელფასს, სტიპენდიებს, კვების ხარჯებს, მედიკამენტების შეძენას, ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას, ლტოლვილებისა და პენსიონერთა შენახვის ხარჯებს, სხვა სოციალური საკითხების მოგვარებას.

აღნიშნული სახის სიახლეთა დანერგვა საქართველოს სახაზინო სისტემაში წარმოადგენს თავისებურ კრიტერიუმს, რომლის შესრულებაზეც ბევრადაა დამოკიდებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება ისაფის პროგრამის რეალიზაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

### V. პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამა

1997 წლის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტი განსაკუთრებული მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები კიდევ უფრო მასშტაბურია. საჭიროა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება და მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება. ამიტომ შეღავაწყვიტე შემომეღო წელს განსაკუთრებული, საგანგებო საპრეზიდენტო საფინანსო პროგრამა, რომელმაც უნდა აამოქმედოს არსებული რეზერვები ბიუჯეტში გათვალისწინებული პარამეტრების ზევით. მე მინდა მოვეთათბირო პარლამენტს ამ საკითხზე. იმედია, ამ პროგრამის განხორციელებაში მხარს დაგვიჭერთ.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პარამეტრები და საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის პროგნოზირებული დონე სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების კომპლექსის დაფინანსებას, რამაც შეიძლება მიმდინარე წლის გამავლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შეუქმნას დამატებითი სიძნელეები მთელი რიგი აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტაში.

რეზერვები ნამდვილად არსებობს ქვეყნის ეკონომიკის, როგორც რეალურ, ისე საფინანსო სექტორებში.

წინა წლების რეფორმატორული მონაპოვარი და მიმდინარე, 1997 წელს განსახორციელებელი რეფორმები განაპირობებენ მიმდინარე წელს სამეურნეო აქტივობის ზრდას რეალურ სექტორში და შესაბამისად სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან გადიდებასაც.

1997 წელი ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება სამრეწველო წარმოების გამოცოცხლების თვალსაზრისით. აქ გარკვეული სტრუქტურული ცვლილებებიც აუცილებელია.

საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის შედეგად მიეცემათ ფუნქციონირების საშუალება ქვეყნის ამჟამად უმოქმედო საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს გადასახადების გადამხდელთა სფეროს.

1997 წელს წინა წლების მსგავსად სახელმწიფო ბიუჯეტისა და პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამის შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს დაიჭერს ვაჭრობა, მშენებლობა და მომსახურების სფერო.

ზემოაღნიშნულისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, აგრეთვე ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევისათვის საჭირო ფინანსური რესურსების დამატებითი მობილიზაციისა და არსებული რესურსების გამოყენების მიზნობრიობისა და ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით, გამოიცა ბრძანებულება „საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამით გასახორციელებელი ღონისძიების შესახებ", რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას და საბაჟო დეპარტამენტს, შესაბამის სამსახურებთან ერთად, აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებსა და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს ევალებათ არ შეჩერდნენ საბიუჯეტო პარამეტრებზე, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები წარმოების, ვაჭრობის გამოსაცოცხლებლად, წარმოებული პროდუქციის აღრიცხვიანობაში წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციამ 1997 წლის 1 თებერვლამდე უნდა შეიმუშაოს და დანერგოს დამატებული ღირებულების გადასახადის, ხოლო 1997 წლის პირველ სექტემბრამდე მოგების გადასახადის, აქციზისა და საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების კომპიუტერიზაციის სისტემები და, იმავდროულად, უზრუნველყოს ამ დეკლარაციების წარდგენა გადასახადების გადამხდელთათვის.

გათვალისწინებულია აგრეთვე გადამხდელთა გამოვლენის, გადასახადების გეგმების აუდიტის, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გაფართოების და საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა მთელი სისტემა.

პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამა ცალკე გამოქვეყნდება.

ამიტომ აქ მოგახსენებთ ზოგიერთი უმთავრესი დეტალის შესახებ.

ამ ღონისძიებათა საფუძველზე საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებულ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადი 25,4 მლნ ლარი და აქციზის სახით 5,7 მლნ ლარი.

საბაჟო გადასახადის ნაწილში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საგეგმო მოცულობის ზევით 7,6 მლნ ლარის მობილიზაცია, სხვა გადასახადების სახით კი – 3,5 მლნ ლარისა.

მთლიანობაში საგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის ზევით დამატებით ამოსაღები თანხა შეადგენს 42,2 მლნ ლარს.

არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილში (გაცემული კრედიტების დაბრუნების ხარჯზე) საგეგმო მაჩვენებლის ზევით მობილიზებული თანხა შეიძლება გაუტოლდეს 20 მლნ ლარს.

სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლების სახით კი დამატებით ამოღებული უნდა იქნეს 54 მლნ ლარი.

სულ ჯამში საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებული შემოსავლების მოცულობის ზევით სახსრების მობილიზაციის დამატებითი ვალდებულებები შეადგენს 116,2 მლნ ლარს, ხოლო მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გეგმის ზევით პრეზიდენტის საფინანსო პროგრამით დაკისრებული ვალდებულებების ჩათვლით გაუტოლდება 756,2 მლნ ლარს.

პრეზიდენტის საფინანსო პროგრამის სახარჯო ნაწილში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდეს პენსიონერთა და ინვალიდთა დამატებითი სოციალური დაცვის ღონისძიებებს. გარდა ამისა, დაფინანსდება სახელმწიფო მნიშვნელობის გზების შენახვა-რეკონსტრუქციისათვის საჭირო ხარჯები, გამოინახება სახსრები ჯანმრთელობის დაცვის დამატებითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

დამატებით ხარჯებში აგრეთვე გათვალისწინებული იქნება მთელი რიგი სამინისტროებისათვის გარკვეული თანხების გამოყოფა, მათ შორის: თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსათვის. დაფინანსდება სოფლისა და სატყეო მეურნეობის უწყებების რიგი ღონისძიებები, აგრეთვე განათლების, მეცნიერების, კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებები, რომლებიც ვერ იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტის კანონპროექტში.

გათვალისწინებულია ქალაქ თბილისისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გარკვეული ფინანსური დახმარების გაწევა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის. ამავე დროს, უნდა შეიქმნას რესურსი სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით.

### VI. საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა – 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა

ახალი ბიუჯეტის პროექტსა და პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამაში აისახა საქართველოს ხელმძღვანელობის მტკიცე გადაწყვეტილება მიაღწიოს ქვეყანაში დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმების დაჩქარებას.

უახლოეს მომავალში გადაიდგმება ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, გაგრძელდება საგადასახადო კანონმდებლობის რაციონალიზაციის პროცესი საგადასახადო კოდექსის შემოღების გზით, რომლის დამტკიცებაც პარლამენტის მიერ დაგეგმილია მიმდინარე წლის 1 ივნისამდე.

შარშან, დეკემბერში პარლამენტმა მიიღო დოკუმენტთა მთელი პაკეტი, რომელიც მოიცავს ქვეყნის საგადასახადო სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებებს, მათ შორის, „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ", „აქციზების შესახებ", „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ" და ზოგიერთ სხვა კანონში.

აღნიშნული დოკუმენტები უკვე ამჟამად, საგადასახადო კოდექსის მიღებამდე აამაღლებენ საგადასახადო სისტემის ეფექტიანობას და შექმნიან მიმდინარე წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის საჭირო ნიადაგს.

ამ დოკუმენტებში რეალიზდება საქართველოს პრეზიდენტის ის პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია საგადასახადო სისტემის შემდგომ სრულყოფაზე.

სერიოზული ცვლილებები მოხდა აქციზებით დაბეგვრის წესებში. ასე, მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, აქციზის განაკვეთი ბრენდიზე და არაყზე 100%-დან შემცირდა 50%-მდე, ლუდზე – 100%-დან 15%-მდე, ცქრიალა ღვინოებზე – 100%-დან 20%-მდე, მესამე და მეოთხე კლასის თამბაქოს ნაწარმზე – 50%-დან 35%-მდე, მსუბუქ ავტომობილებზე – 30%-დან 15%-მდე, საბურავებზე – 50%-დან 15%-მდე და სხვ.

ეს ყველაფერი გათვლილია აღნიშნული პროდუქციის სამამულო მწარმოებლის სტიმულირებაზე.

მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანი შეღავათებია გათვალისწინებული საბაჟო გადასახადის ნაწილში. ისეთი საქონლის იმპორტისას, როგორიცაა კაპიტალური საქონელი, სამედიცინო დანიშნულების საქონელი და სანედლეულო მასალების გარკვეული ნუსხისათვის, გამოყენებული იქნება 5 პროცენტიანი განაკვეთი.

გარდა ამისა, იმ მედიკამენტთა რიცხვი, რომელთა იმპორტიც საერთოდ გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, გაიზარდა ექვსიდან თექვსმეტ დასახელებამდე.

ასევე განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტი, ხორბლის, ბავშვთა კვებისა და დიაბეტური პროდუქციის იმპორტი.

ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი, ჰუმანიტარული მიზნით და გრანტების ხარჯზე შემოტანილი საქონელი და მრავალი სხვა.

დანარჩენი საქონლის იმპორტზე ვრცელდება 12-პროცენტიანი განაკვეთი.

შემცირდა ნავთობპროდუქტებზე, გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადი, კერძოდ, ერთ ლიტრ ეთილირებულ ბენზინზე – 0,7 თეთრით და შეადგენს 2 თეთრს, ნაცვლად 2 და 7 თეთრისა, ხოლო დიზელის საწვავზე – 0,8 თეთრით და შეადგენს 1 თეთრს, ნაცვლად 1 და 8 თეთრისა.

დროებით 1998 წლის 1 იანვრამდე შენარჩუნებული იქნება გადასახადი გზების სარგებლობაზე.

სერიოზული ლიბერალიზაცია განიცადა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის ფინანსურმა და ადმინისტრაციულმა სანქციებმა.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეიცვალა შემოსავლების ოდენობა, რომლის დამალვისათვის ან შემცირებისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასე მაგალითად, თუ აქამდე 750 ლარის ოდენობის გადასახადის დამალვა ან შემცირება ითვლებოდა დიდი ოდენობით დამალვად და გადამხდელი ისჯებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, ამჟამად დიდი ოდენობით შემოსავლების დამალვის განსაზღვრის კრიტერიუმი შეიცვალა და დამალვად ითვლება გადასახადის შემცირება 25 ათას ლარს ზევით და ასეთ შემთხვევაში აღიძვრება დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა გაითვითცნობიერონ, რომ ის შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია 1997 წლის ბიუჯეტით და ახალი საგადასახადო კანონმდებლობით, შეთავსებული იქნება საგადასახადო დისციპლინის უაღრეს გამკაცრებასთან.

მალე დაიწყება დავალიანებების მქონე საწარმოების ბანკროტებად გამოცხადების პროცედურა და ყველა სერიოზულად უნდა ემზადოს ამისათვის.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები 1997 წლისათვის ითვალისწინებს საგადასახადო ბაზის გაფართოებას.

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ცვლილებებს დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში. თუმცა ძირითადი განაკვეთი უცვლელი დარჩა (20%-ის დონეზე).

აღსანიშნავია, რომ დამატებითი შეღავათები იქნა დაწესებული ჯანდაცვის სფეროში. კერძოდ, თუ ამ კანონის მიღებამდე გადასახადისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ ექვსი დასახელების სამკურნალო საშუალება, ამჟამად დამატებული ღირებულების გადასახადისაგან თავისუფლდება ყველა ფარმაცევტული პროდუქცია, სამედიცინო ხელსაწყოები და აპარატურა, რამაც მნიშვნელოვნად უნდა გააიაფოს ეს ნაწარმი. ამასთან გადასახადისაგან განთავისუფლდა დიაბეტური პროდუქტებიც.

დამატებითი შეღავათები დაწესდა პრესისათვის. კერძოდ, თუ ადრე დამატებული ღირებულების გადასახადისაგან თავისუფლდებოდა ჟურნალ-გაზეთების მხოლოდ რეალიზაცია, ამჟამად გადასახადისაგან თავისუფლდება მისი ბეჭდვაც. ასეთი შეღავათი ხელს შეუწყობს პრესის გავრცელებას და ხელმისაწვდომს გახდის საზოგადოების ფართო მასებისათვის.

მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს თეატრებს შეღავათი, რომლის თანახმადაც თეატრის ბილეთების რეალიზაცია გათავისუფლდა დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ეს თეატრის ბილეთების ფასს თითქმის 20 პროცენტით გააიაფებს.

რეალურად განხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის ამოღება ვაჭრობის სფეროდან, სადაც დღემდე არსებობს სახელმწიფო შემოსავლების გაზრდის მნიშვნელოვანი აუთვისებელი რეზერვი.

მეტად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების პროცესში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის დანერგვის შესახებ, რაც განხორციელდება ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

გარდა ნათქვამისა, ახალი კანონმდებლობის მიხედვით ყველა ის კომპანია, რომლის წლიური ბრუნვაც აღემატება 2000 ლარს, ვალდებულია გაიარონ რეგისტრაციაში, როგორც დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობამ განიცადა, ეს არის მოგების გადასახადის ერთიანი განაკვეთის დაწესება 20 პროცენტის ოდენობით.

ერთიანი განაკვეთის დაწესებით მნიშვნელოვნად შემცირდა ბანკების, საკრედიტო დაწესებულებებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების მოგების გადასახადის განაკვეთები (20 პროცენტი ნაცვლად 35 პროცენტისა). ეს კი შეუწყობს ხელს ამ სფეროს განვითარებას და საკრედიტო რესურსების გაიაფებას.

მოსახლეობის დიდ ნაწილს სასიკეთოდ შეეხება საშემოსავლო გადასახადში მომხდარი ცვლილებები, რომლის შესაბამისადაც შეიცვალა დასაბეგრი შემოსავლების ზღვრული ოდენობები და შესაბამისად – გადასახადის განაკვეთები.

მიმდინარე წელს რეალურად დაიწყება იმ ფიზიკურ პირთა დაბეგვრა, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან. ფართოდ დაინერგება საშემოსავლო დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის პრაქტიკა, გაუქმდება ბევრი საგადასახადო შეღავათი. მინდა მოგახსენოთ, რომ დეკლარაციების წარდგენა უკვე დაიწყო პრეზიდენტის აპარატში, სახელმწიფო კანცელარიაში და მიმაჩნია, რომ ეს კულტურა შემოსავლების დეკლარირებისა უნდა დაინერგოს მთელ ქვეყანაში.

ფიზიკურ პირთა შემოსავლების საბიუჯეტო განაწილების პროცესში უფრო სრულ ჩართვას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის ქონებრივი დიფერენციაციის შერბილებისათვის, სოციალური სპექტრის მრავალი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

უკეთ უნდა განხორციელდეს ბაზრებზე, სხვა ნებადართულ ადგილებში ვაჭრობის გზით მიღებული შემოსავლების აღრიცხვა და შესაბამისი დაბეგვრა.

ძალზე საპასუხისმგებლო აქტად უნდა მივიჩნიოთ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ნავთობპროდუქტების იმპორტზე აქამდე მოქმედი ფიქსირებული გადასახადის ნაცვლად დაბეგვრის ჩვეულებრივი რეჟიმის შემოღება, რაც ერთიორად გაზრდის ამ წყაროდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლების მოცულობას.

ამავე დროს, ნავთობის ბაზრის გაჯერების პირობებში ამ ღონისძიებების საფუძველზე საწვავის ფასის მკვეთრი და მასშტაბური მომატება სავარაუდო არ არის. გარკვეული ზრდა იქნება, მაგრამ – ჯერ ძალზე საეჭვოა.

ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესებისათვის მეტად მნიშვნელოვანია საგადასახადო ადმინისტრაციის საქმიანობის სრულყოფა.

სრული სიმძლავრით უნდა ამოქმედდეს მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია, რომელმაც მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა უზრუნველყოს 250-ზე მეტი მსხვილი გადამხდელი იურიდიული პირის მოქცევა თავისი უშუალო კურირების სფეროში.

ჩვენ დაგეგმილი გვაქვს გამოვავლინოთ მინიმუმ 30 000 ახალი გადამხდელი (გამოსავლენი უფრო მეტია), მივანიჭოთ მათ გადასახადების გადამხდელთა სარეგისტრაციო ნომრები და შევაფასოთ მათი გადასახადები.

როგორც ვთქვით, საბაჟო სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი ბაზის განმტკიცების მიზნით მთავრობამ შეიმუშავა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მიღებაც პარლამენტს განზრახული აქვს მიმდინარე წლის ივნისის ბოლომდე. აღნიშნული კოდექსი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა რეკომენდაციებს. ამ კანონის მიღებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩვენი გაწევრიანებისათვის.

მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმებით, 1997 წელს შემოღებული იქნება ე.წ. „ტირკარნეტის" სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ გარანტიებს და 1997 წლის ბოლოსათვის მთავრობა მიაღწევს იმას, რომ სატრანზიტო საქონლის იმპორტი ყოველთვის ხორციელდებოდეს ფინანსური ან არაფინანსური გარანტიებით.

საგადასახადო სამსახურს უნდა გადაეცეს საქართველოს სპეციალურ ფონდებში ჩასარიცხი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის კონტროლის ფუნქცია.

მთავრობის გადაწყვეტილებით 1997 წლის 21 თებერვლიდან მხოლოდ სახელმწიფო საგადასახადო სამსახური და საბაჟო დეპარტამენტი აგებს პასუხს გადასახადების აკრეფაზე (იმ გადასახადების ჩათვლით, რომელთა აკრეფასაც ამჟამად აწარმოებენ საპენსიო, დასაქმების, ჯანდაცვისა და საგზაო ფონდები). ეს ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეა – გადამხდელმა უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ორ სამსახურთან უნდა მოახდინოს ანგარიშსწორება.

მთლიანობაში საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში 1996-1997 წლებში მიმდინარე რეფორმები და გადასახადის გადამხდელთა დამატებითი რაოდენობის გამოვლენისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა იქცეს იმის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიად, რომ გასულ წლებში ამ ორგანიზაციების ხაზით დაშვებული ხარვეზები გამოსწორდება და 1997 წელს გაცილებით უკეთ ვიმუშავებთ.

### VII. კორუფციასთან ბრძოლა – ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების რეზერვი და პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება

1997 წელი კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისა და ამ ბრძოლის დაწყების მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა იყოს.

საჭიროა ამ დარგში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უშიშროების სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, პროკურატურამ, სასამართლო ორგანოებმა გამოაცოცხლონ მუშაობა.

კორუფციასთან ბრძოლის აუცილებლობა გაპირობებულია იმით, რომ ამ მოვლენამ ღრმად გაიდგა ფესვები ხელისუფლების დაბალ თუ მაღალ ეშელონებში და სახელმწიფოს საფუძვლებს ემუქრება. მე ამას გადაჭარბების გარეშე ვაცხადებ.

კორუფციის შედეგიცაა უზარმაზარი თანხების სახელმწიფოს მიღმა დინება, სუსტი ეკონომიკა და სუსტი სახელმწიფო ბიუჯეტი.

კორუფციასთან ბრძოლა, მისი დაძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია და ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

1. პირველ რიგში უნდა გამკაცრდეს კანონი და კანონიერება, მართლწესრიგი, გაძლიერდეს ადამიანის უფლებების დაცვა.

2. საჭიროა განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლის სისტემის რაციონალიზაცია. კონტროლის სისტემა ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების სრულყოფილ დინებას და წარმოებისა და კომერციის სტიმულირებას.

3. კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მმართველობითი სტრუქტურების რეორგანიზაცია.

4. საჭიროა მაქსიმალურად შეიზღუდოს და თანდათან აღიკვეთოს ქვეყნის ტერიტორიაზე აღურიცხავი, დაუფარავი და ფაქტობრივად უმისამართო საქონლის მიმოქცევა.

5. კორუფციასთან ბრძოლისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნის სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ურთიერთობათა სრულყოფა, ქვეყანაში საბუღალტრო აღრიცხვის მოწესრიგება და სხვა.

ბატონო პარლამენტარებო!

1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ დარგში უკეთ უნდა თანამშრომლობდნენ პარლამენტი, მისი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, სხვა კომიტეტები, კონტროლის პალატა, მთავრობა, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტრო, ხაზინა, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტი, ეკონომიკის სამინისტრო და მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება, სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, დარგობრივი აკადემიები. უნდა განვითარდეს საბიუჯეტო პროცესის თეორია და პრაქტიკა. კიდევ უფრო უნდა სრულვყოთ სამართლებრივი ბაზა.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პარლამენტის კომიტეტების მიერ ბიუჯეტის შესრულების პროცესის კანონით გათვალისწინებულ ყოველკვარტალურ კონტროლს პარლამენტის კომიტეტებში აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო სტრუქტურების მონაწილეობით.

ვფიქრობ, ეს კონტაქტები კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების ანგარიშის მოსმენა, დიალოგი მათთან შესაბამის კომიტეტებში და, როცა საჭირო იქნება, პლენარულ სხდომებზეც.

დასასრულ უნდა გითხრათ, რომ ჩემს მოხსენებაში მე ყველა პრობლემასა და საკითხს არ შევეხებივარ, მაგრამ ჩემს მიერ პარლამენტში წარმოდგენილ 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ყველა საბიუჯეტო საკითხი და პრობლემა წამოყენებული და გადაჭრილია არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ნება მიბოძეთ, ჩემი მოხსენება ამით დავამთავრო და გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტს მიიღებს პარლამენტი.

## პოზიცია

ერანაირ კრიტიკას ვერ
ლებს ის, რომ სასამართლო
საგადასახადო სამსახურისადმი
არიმეალდებული ორგანოა.
არა მარტო მხარეთა თა-
სწორობისა და შეჯიბრები-
ობის კონსტიტუციური პრი-
ციპი ირღვევა, არამედ იმლება
ძირეულად საფუძვლები, რო-
ლზეც აგებულია ადამიანთა
მორის ურთიერთობა, ინდივი-
დისა და საზოგადოების ბოჭვა
სამართალურთიერთობისას და
საერთოდ ყოველივე ის წმი-
და, რასაც მართლმსაჯულე-
ბა იცავს. ამის საილუსტრაციოდ
მოსარჩელე მხარემ წარმოა-
დგინა საარბიტრაჟო სასამა-
რთლოს 1996 წლის 17
ოქტომბრის № 156 დადგენი-
ლება, რომელმაც საწარმოსა
და საგადასახადო სამსახურს
შორის დავისას შემმოწმებლის
პოზიციას დაუჭირა მხარი, მი-
უხედავად იმისა, რომ საარბი-
ტრაჟო სასამართლომ დადგე-
ნილებას ერთადერთ ნორმატი-
ულ საფუძვლად ანტიკონსტი-
ტუციურად და მოქმედი კანონმ-
დებლობის საწინააღმდეგოდ
გამოცხადებული აქტი დაუდო.
სასამართლო, რომელიც ორ-
თოდოქსალური გაგებით, სა-
ერო ეკლესიას უნდა წარმო-
ადგენდეს, ასეთ შემთხვევაში
ასეთ დაწესებულებად არის
ქცეული, სადაც ყველას შეუძ-
ლია თავისი ჭუჭყი ჩამოირე-
ცხოს, და რაც უფრო სამწუ-
ხაროა, ყოველივე ეს ჭეშმარი-
ტების სახელით ხდება. აქედან
გამომდინარე, მოსარჩელემ სა-
კონსტიტუციო სასამართლოს
წინაშე დააყენა შუამდგომლობა
არაკონსტიტუციურად ეცნო ის
წესი, რომლითაც დავას საწა-
რმოსა და საგადასახადო სა-
მსახურს შორის საარბიტრაჟო
სასამართლო იხილავს.
როგორც ეს საკონსტიტუციო
სასამართლოს მიერ მიღებუ-
ლი გადაწყვეტილებიდანაც

ლუტურად და მთლიანად ვიზია-
რებთ სასამართლოს მიერ და-
დგენილი თეზის ჭეშმარიტებას,
გვსურს დავსძინოთ, რომ მოსა-
რჩელეს სასამართლო სხდომა-
ზე არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ
ის, რომ იურიდიულ პირებს მო-
რის ეკონომიკური ხასიათის და-
ვის განხილვა არ უნდა შედიო-
დეს საარბიტრაჟო სასამართლოს
უფლებამოსილებაში.

ის, რომ საკონსტიტუციო სა-
სამართლომ არბიტრაჟის ანგა-
რიმეალდებულების მტკიცებულე-
ბის უარსაყოფად გამოიყენა სხვა,
მასთან შეხებაში არმყოფი მტკი-
ცებულება, გვაფიქრებინებს მო-
სარჩელის მიერ დამვებულ შე-
ცდომაზე იმასთან დაკავშირებით,
რომ მოსარჩელეს უფრო მკაფიოდ
და გასაგებად რომ დაესვა მის
მიერ დაყენებული საკითხი, ცხა-
დია, სასამართლოს მიერ დად-
გენილი გარემოება სხვა იქნებო-
და.

შემდეგში სასამართლო დაე-
ყრდნო საქართველოს კონსტი-
ტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს,
რომლის თანახმად, „ყველასთვის
გარანტირებულია სახელმწიფო და
თვითმმართველობის ორგანოთა
და მოსამსახურეთაგან უკანონოდ
მიყენებული ზარალის სასამა-
რთლო წესით სრული ანაზღაურე-
ბა სახელმწიფო სახსრებიდან“.

სასამართლომ კონსტიტუციის
ზემოაღნიშნულ მუხლს დაუკავში-
რა ასევე „საგადასახადო სისტემის
საფუძვლების შესახებ“ კანონის
22-ე მუხლის პირველი პუნქტი, რო-
მლის თანახმადაც „საგადასახა-
დო სამსახურის მიერ არასწორად
გადახდევინებული გადასახადის
თანხები და სხვა სავალდებულო
გადასახადები ექვემდებარება და-
ბრუნებას, ხოლო საგადასახადო
სამსახურების და მათი თანამდე-
ბობის პირთა მიერ არამართლ-
ზომიერი ქმედითი გადასახადის
გადამხდელისათვის მიყენებული
ზარალი (მათ შორის ხელიდან გა-
შვებული სარგებელი) ანაზღაუ-

გადაწყვეტილების სამოტივაციო
ნაწილის ამ მონაკვეთზე მსჯელო-
ბა არ იქნება სრულფასოვანი, თუ
არ გავითვალისწინებთ ერთ მცი-
რედ ნიუანსს. რატომღაც მოხდა
ისე, რომ არც ერთი ზემოაღნი-
შნული მტკიცებულება, რომელიც
საკონსტიტუციო სასამართლომ
თავის გადაწყვეტილებას საფუ-
ძვლად დაუდო, არ ყოფილა გა-
ნხილული საკონსტიტუციო სასა-
მართლოს სხდომაზე, ისე როგორც
ამას მოითხოვს „საკონსტიტუციო
სამართალწარმოების შესახებ“ სა-
ქართველოს კანონის 30-ე მუხლი,
რომელიც ადგენს, რომ „საკონ-
სტიტუციო სასამართლოს გადა-
წყვეტილება ან დასკვნა უნდა იყოს
დასაბუთებული. გადაწყვეტილე-
ბას ან დასკვნას საკონსტიტუციო
სასამართლო საფუძვლად უდებს
მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რო-
მლებიც განხილულია საკონსტი-
ტუციო სასამართლოს სხდომაზე“.

ჩვენ, რასაკვირველია, მორს
ვართ იმ აზრისგან, რომ ამ ნო-
რმის დაუცველობამ სასამართლო
გადაწყვეტილების ჭეშმარიტებაში
დაგვაეჭვოს. ამ ეტაპზე ჩვენ თავს
უფლებას მივცემთ, მხოლოდ ზო-
გადთეორიული პოზიციებიდან ვა-
ჩვენოთ, თუ რაში გამოიხატება
კანონის მითითებული ნორმის
არსი.

ეს პრინციპი საერთოა ნების-
მიერი ტიპის სამართალწარმო-
ებისათვის. მისი არსი არ გა-
ხლავთ, რომ ჭეშმარიტება არ შე-
იძლება წოდებულ იქნეს ჭეშმა-
რიტებად, თუ მან წინასწარ, რო-
გორც მტკიცებულებამ, დადგენი-
ლი წესით სამართალწარმოების
მონაწილეთა „განსაწმენდელში“
არ გაიარა. ამიტომ ჭეშმარიტე-
ბა, რომელსაც სასამართლო ად-
გენს, არის ჭეშმარიტება არა
ზოგადად ან ჭეშმარიტება ვინმეს-
თვის, არამედ ჭეშმარიტება ობი-
ექტურად. ამიტომ აქვს მას ფა-
სეულობა და ამიტომ დგას იგი
ყველაზე და ყველაფერზე მაღლა.
ამიტომ ანიჭებს კანონი სამარ-

## გადასინჯვას არ ექვემდებარება

ნს, „მოპასუხემ ერთობლი-
ად, ზოგადად გამოხატა თა-
ვისი პოზიცია სადავო დებუ-
ლებების მიმართ. მას მიაჩნია,
რომ არსებითად, საქმე ეხე-
ბა სადავო ნორმათა არა კო-
ნსტიტუციურობას, არამედ მათი
გახვეწისა და დასაბუთებულო-
ბის მიზანშეწონილობას. ამდე-
ნად, ეს საკითხი არის არა სა-
კონსტიტუციო სასამართლოს,
არამედ საკანონმდებლო ორ-
განოს განხილვის საგანი. მო-
პასუხე არ ეთანხმება მოსარ-
ჩელის იმ პოზიციას, რომ გა-
დასახდელი თანხის უდავო წე-
სით გადახდევინება იგივეა,
რაც საქართველოს კონსტიტუ-
ციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით
გათვალისწინებული აუცილე-
ბელი საზოგადოებრივი საჭი-
როებისათვის საკუთრების ჩა-
მორთმევა. ამასთან, იგი აღ-
ნიშნავს, რომ ეს თანხები იმ-
თავითვე სახელმწიფოს საკუ-
თრებაა და არ შეიძლება ჩა-
ითვალოს საკუთრების ჩამო-
რთმევად. მას მართებულად მი-
აჩნია გადასახადის გადახდა-
სთან დაკავშირებული სადავო
საკითხების გასაჩივრების არ-
სებული წესი. გადასახადების
გადახდევინება, მოპასუხის
აზრით, არის მმართველობის
შესაბამისი ორგანოს კომპე-
ტენცია და გაუმართლებელი იქ-
ნებოდა მასში სასამართლო ხე-
ლისუფლების თავიდანვე ჩარე-
ვა. დაცვის უფლება კი სწო-
რედ სასამართლო ხელისუფ-
ლების ორბიტაში ამოქმედდება.
მოპასუხემ აღნიშნა, რომ სა-
არბიტრაჟო სასამართლოს კო-
ნსტიტუციურობის საკითხი სა-
კონსტიტუციო სასამართლოს
მიერ უკვე გადაწყვეტილია. ამ-
დენად, ზემოაღნიშნული დავები
საარბიტრაჟო სასამართლოს
განსჯადია“.
ვინაიდან სასამართლოს მი-
ერ დადგენილი გარემოებანი
გამოქვეყნდა 1997 წლის 5 ია-
ნვრის გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკაში“, ამიტომ მხო-
ლოდ არსებითი ნიშნით წარ-
მოვადგენთ იმ მტკიცებულე-
ბებს, რაც საქართველოს სა-
კონსტიტუციო სასამართლოს
პირველმა კოლეგიამ გადაწყვე-
ტილებას საფუძვლად დაუდო:
სასამართლომ მიუთითა,
რომ „საქართველოს რესპუბ-
ლიკაში საარბიტრაჟო სასამა-
რთლოების შესახებ“ 1991 წლის
აპრილის კანონი ცნობილი
იქნა კონსტიტუციურად და ამ-
დენად, საარბიტრაჟო სასამა-
რთლოს უფლებამოსილებაში
შედის იურიდიულ პირებს მო-
რის ეკონომიკური ხასიათის
დავის განხილვა.
ამ განწყობით, რომ აბსო-

(დასასრული. დასაწყისი იხ. „...“ № 34.)

რდება დადგენილი წესით“.

სასამართლომ მიუთითა, რომ „სა-
გადასახადო სისტემის საფუძვლე-
ბის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის
პირველი პუნქტით გათვალისწინე-
ბული ზარალის „დადგენილი წესით“
ანაზღაურება არის საქართველოს
კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9
პუნქტით დაკანონებული „სასა-
მართლო წესით... ანაზღაურება“.

ამის შემდგომ სასამართლო
დაასკვნის: ყოველივე ზემოაღ-
ნიშნულიდან გამომდინარეობს,
რომ „საგადასახადო სისტემის
საფუძვლების შესახებ“ საქარ-
თველოს რესპუბლიკის 1993 წლის
21 დეკემბრის კანონის 22-ე მუ-
ხლის სადავო ნორმები არ ეწი-
ნააღმდეგება საქართველოს
კონსტიტუციის 42-ე მუხლის პი-
რველ, მე-2 და მე-3 პუნქტებს“.

როგორც ვხედავთ, საკონსტი-
ტუციო სასამართლომ დაცვის გა-
რანტირებულ უფლებაში დაინა-
ხა ის წესი, რომელიც დევს სა-
ქართველოს კონსტიტუციის 42-ე
მუხლის მე-9 პუნქტში და სადა-
ვო კანონის 22-ე მუხლის პირველ
პუნქტში და რომელიც მიყენებული
ზარალის ანაზღაურების პრინციპს
განსაზღვრავს.

რასაკვირველია, ეს უდაოდ მა-
რთებული ხედვაა, მაგრამ მოსა-
რჩელეს არსად არ დაუსვამს კი-
თხვა და არ მოუყვანია საწინა-
აღმდეგო მტკიცებულებანი იმა-
სთან დაკავშირებით, რომ მას აე-
ჭვებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის
მე-9 პუნქტის ნამდვილობა ან „სა-
გადასახადო სისტემის საფუძვლე-
ბის შესახებ“ კანონის 22-ე მუ-
ხლის პირველი პუნქტი, როცა იგი
ზარალის ანაზღაურების პრინციპს
ადგენს, მისთვის მიუღებელია. პი-
რიქით, მთელი მტკიცება იქითკენ
იყო მიმართული, რომ ამ პრინ-
ციპის რეალიზაციის არსებული წე-
სით ძნელად თუ განხორციელდება
ის, რაც კონსტიტუციის 42-ე მუ-
ხლის მე-9 პუნქტში არის დაფი-
ქსირებული (ზიანის ანაზღაურე-
ბა), ვინაიდან დაცვის უფლება, თუ
იგი წინ არ უსწრებს იურიდიულ
ფაქტს და არ გააჩნია არაბრალე-
ულობის პრეზუმფცია, ფიქციაა. სა-
კონსტიტუციო სასამართლოს მიერ
ამ მტკიცებულებათა ურეაგირე-
ბოდ დატოვება, იმის მიუხედავად,
რომ იგი ნათლად ფიგურირებს სა-
სამართლო გადაწყვეტილების აღ-
წერილობით ნაწილში, გვაფიქრე-
ბინებს, რომ ეს მტკიცებულება-
ნი მოსარჩელემ ვერ მოიყვანა
უფრო მეტი დამაჯერებლობით და
სიცხადით, თორემ საკონსტიტუ-
ციო სასამართლო გადაწყვეტილე-
ბის სამოტივაციო ნაწილში უთუოდ
მიუთითებდა იმ მოტივებს, რო-
მლებითაც მან ეს მტკიცებულება
უარყო, როგორც ამას მოითხოვს
„საკონსტიტუციო სამართალწარ-
მოების შესახებ“ საქართველოს
კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის
„გ“ ქვეპუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს

თალწარმოების მონაწილეებს თა-
ნაბარ უფლებას გაეცნონ საქმის
ყველა მასალას და მისცენ შე-
ფასება მათ. იქ, სადაც ეს პრი-
ნციპი დარღვეულია და სასამა-
რთლოს გადაწყვეტილება სხდო-
მაზე განუხილველ მტკიცებულე-
ბებს ემყარება, ნებსით თუ უნე-
ბლიედ სასამართლო გვევლინება
ან მოსარჩელის ან მოპასუხის
მხარდამჭერის როლში, შესაბა-
მისად იმისა, თუ ვის სასარგებ-
ლოდ მეტყველებს სასამართლოს
მიერ სათათბირო ოთახში მოფი-
ქრებული მტკიცებულებანი. ამ
პრინციპის დარღვევა გარდა იმი-
სა, რომ წარმოადგენს ჭეშმარი-
ტებიდან გადახრას, აზრს აცლის
საერთოდ სამართალწარმოებისას
მხარეთა თანასწორობისა და შე-
ჯიბრებითობის კონსტიტუციურ
პრინციპს, რადგან რომელ თა-
ნასწორობაზეა საუბარი, როცა
მსაჯული თავად გვევლინება მხა-
რის ფუნქციების შემსრულებლად.
და ბოლოს, ეს პრინციპი იმდე-
ნად ფუნდამენტურია, რომ მისი
დარღვევა იმ სასამართლოებში,
სადაც საკასაციო ან ზედამხედ-
ველობის წესით საქმის განხი-
ლვა ან გადასინჯვა არის დაწე-
სებული, ყოველთვის იწვევს ასე-
თი დარღვევით მიღებული გადა-
წყვეტილების გაუქმებას.

შემდგომში საკონსტიტუციო სა-
სამართლომ მტკიცებულებად მი-
უთითა საქართველოს კონსტიტუ-
ციის 94-ე მუხლის პირველი პუ-
ნქტი, რომლის თანახმად, „სავა-
ლდებულოა გადასახადებისა და
მოსაკრებლების გადახდა კანო-
ნით დადგენილი ოდენობითა და
წესით“ და კონსტიტუციის 21-ე მუ-
ხლის მე-3 პუნქტი, რომლის თა-
ნახმად, „აუცილებელი საზოგა-
დოებრივი საჭიროებისათვის სა-
კუთრების ჩამორთმევა დასაშვე-
ბია კანონით პირდაპირ დადგე-
ნილ შემთხვევებში, სასამართლოს
გადაწყვეტილებით ან ორგანუ-
ლი კანონით დადგენილი გადა-
უდებელი აუცილებლობისას და
მხოლოდ სათანადო ანაზღაურე-
ბით“.

ამის შემდეგ სასამართლო და-
ასკვნის: „საგადასახადო სისტემის
საფუძვლების შესახებ“ კანონის
მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის პი-
რველი აბზაცით, მე-12 მუხლის
პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის
ბოლო აბზაცით, მე-18 მუხლის პი-
რველი და მე-2 პუნქტებით გა-
თვალისწინებული უდავო წესით
გადახდევინება წარმოადგენს სა-
ხელმწიფოს მიერ დადგენილ სა-
ნქციას სავალდებულო გადასახა-
დებისა და მოსაკრებლების კა-
ნონით განსაზღვრული წესით გა-
დაუხდელობის შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს
მიერ ამ მონაკვეთში მოყვანილი
თითოეული მტკიცებულება უდავო
ჭეშმარიტებაა. მოსარჩელემ ამ
ნაწილში სწორედ იმაზე ააგო თა-
ვისი მტკიცებულება, რომ სახე-

ლმწიფოს მიერ დადგენილი ეს
სანქცია თავის თავში შეიცავს
არამართლზომიერი ქმედებით
იმ ქონების ამოღების წესს, რაც
არ წარმოადგენს სავალდებუ-
ლო გადასახადებსა და მოსაკ-
რებლებს.

ყოველივე ამის შემდეგ კი სა-
კონსტიტუციო სასამართლო და-
ასკვნის, რომ იგი (სახელმწიფოს
მიერ დადგენილი სანქცია) არ
უკავშირდება საქართველოს კო-
ნსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3
პუნქტსა და 30-ე მუხლის მე-2
პუნქტის პირველ წინადადებას,
რომელიც ითვალისწინებს სახე-
ლმწიფოს ვალდებულებას – „ხე-
ლი შეუწყოს თავისუფალი მე-
წარმეობისა და კონკურენციის
განვითარებას“.

რასაკვირველია, არანაირი უფ-
ლება და სურვილი არ გაგვაჩ-
ნია, ეჭვი შევიტანოთ სასამა-
რთლოს ზემოაღნიშნული და-
სკვნის ჭეშმარიტებაში, მაგრამ
ამ გადაწყვეტილების შემდგო-
მი შესწავლისა და განზოგადების
საქმეში უთუოდ არ იქნებოდა
მეორეხარისხოვანი, თუკი სა-
სამართლო მცირედით მაინც მი-
უთითებდა სადმე, თუ რატომ არ
უკავშირდება ეს სადავო ნორ-
მები კონსტიტუციის 21-ე მუხლის
მე-3 პუნქტსა და 30-ე მუხლის
მე-2 პუნქტის პირველ წინადა-
დებას.

ვფიქრობ, საკონსტიტუციო სა-
სამართლო არ დატოვებდა ურე-
აგირებოდ მოსარჩელის იმ მტ-
კიცებულებასაც, რომელიც არა-
მართლზომიერი ქმედების შე-
დეგად საკუთრების უფლების შე-
წყვეტას შეეხებოდა, თუკი მო-
სარჩელე, მიუხედავად მის მი-
ერ ამ მტკიცებულების არაე-
რთგზის მითითებისა (იგი მკა-
ფიოდ არის ასახული გადაწყ-
ვეტილების აღწერილობით ნა-
წილში), მაინც უფრო დამაჯე-
რებლად ჩამოაყალიბებდა მას,
თორემ სხვანაირად შეუძლებე-
ლია აიხსნას, თუ რატომ არ შე-
სრულდა „საკონსტიტუციო სა-
მართალწარმოების შესახებ“ კა-
ნონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის
„გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს,
რომ საკონსტიტუციო სასამა-
რთლომ გადაწყვეტილების სა-
მოტივაციო ნაწილში უნდა აღ-
ნიშნოს ის „მოტივები, რომლე-
ბითაც საკონსტიტუციო სასამა-
რთლო უარყოფს საწინააღმდე-
გო მოსაზრებას, მტკიცებულე-
ბას“.

და ბოლოს, გადაწყვეტილე-
ბის სამოტივაციო ნაწილის და-
სასრულს, სასამართლომ მტკი-
ცებულების სახით მიუთითა ადა-
მიანის უფლებათა და ძირითად
თავისუფლებათა დაცვის ევრო-
პის 1950 წლის კონვენციის პი-
რველი ოქმის პირველი მუხლი,
რომელიც სახელმწიფოს არ უზ-
ღუდავს უფლებას „მიიღოს ისეთი
კანონები, რომლებიც მას მია-
ჩნია საჭიროდ ქონების გამო-
ყენებაზე კონტროლის განხორ-
ციელებისათვის საერთო ინტე-
რესების შესაბამისად ან გადა-
სახადების გადახდის ან სხვა შე-
სატანების და ჯარიმების გადა-
ხდის უზრუნველყოფისათვის“.

რასაკვირველია, არანაირი უფ-
ლება არა გვაქვს არ დავეთა-
ნხმოთ ზემოაღნიშნულ სამარ-
თლებრივ ნორმას, მაგრამ ისიც
ხომ უდაოა, რომ ეს შეუზღუ-
დავი უფლება სახელმწიფოს არ
აძლევს უფლებას გადასახადების
გადახდის წესის დადგენისას გა-
დააბიჯოს მისი კონსტიტუციით
დადგენილ დებულებებს.

გარდა ამისა, სამართლიანობა
მოითხოვს აქაც გავიმეოროთ,
რომ არც ეს მტკიცებულება ყო-
ფილა განხილული საკონსტიტუ-
ციო სასამართლოს სხდომაზე.

აი, ამ მტკიცებულებებზე და-
ყრდნობით საქართველოს საკო-
ნსტიტუციო სასამართლომ კო-
ნსტიტუციური სარჩელი არ და-
აკმაყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ
არაერთგზის მივუთითეთ ამა თუ
იმ წვრილ უსწორობაზე, რაც
როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმე-
ტესწილად მოსარჩელე მხარის
შეცდომათა გამოისობით მოხდა,
არავითარი ეჭვი იმასთან და-
კავშირებით, რომ გადაწყვეტი-
ლების ჭეშმარიტება სათუო გა-
ხდეს, არ არსებობს. საკონსტი-
ტუციო სასამართლომ უკვე მო-
ახერხა ეთქვა თავისი წონადი
და მართალი სიტყვა საზოგადო-
ებრივი მართლშეგნების ამაღ-
ლების გზაზე. დღეს ამ ორგა-
ნოს, ისე როგორც სხვას არა-
ფერს, გაფრთხილება და პატი-
ვისცემა სჭირდება. ჩემთვის ფრი-
ად საპატიო მისიას წარმოად-
გენდა ვყოფილიყავი საკონსტი-
ტუციო სამართალწარმოების მო-
ნაწილე ზემოაღნიშნულ პროცე-
სში და თუ მაინც ამ სტატიამ
გარკვეული კრიტიკული პათო-
სით გაიჟღერა, მერწმუნეთ, რომ
ეს კრიტიკა, უწინარეს ყოვლისა,
საკუთარი თავისადმი არის მი-
მართული, ხოლო ამის შემდგომ
იგი იმ სულისკვეთებით არის ნა-
საზრდოები, რომ საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლო
ხვალ ახალ სიმაღლეზე იდგეს.

**არჩილ კბილაშვილი.**

## „ეკონომისტი“: თამაში ელცინის გარშემო

ბრიტანეთის ჟურნალ „ეკო-
ნომისტის“ სტატიის ავტორთა
აზრით, რუსების უმრავლესო-
ბას, მათ შორის, პოლიტიკო-
სებს, მიაჩნიათ, რომ პრეზი-
დენტ ელცინის ირგვლივ გრ-
ძელდება თამაში. განცხადებანი
მისი ჯანმრთელობის მდგომა-
რეობის შესახებ ერთ სიტყვა
სიმართლესაც არ შეიცავენ. ერ-
თადერთი, რაშიც შეიძლება და-
რწმუნებული იყო, ის არის,
რომ ბორის ელცინი – ეს არის
ხანდაზმული კაცი, რომელიც
მძიმედაა ავად, გადაიტანა ურ-
თულესი ოპერაცია და ძლივს
მობრუნდა. მას შეუძლია ან ბე-
ვრი იმუშაოს, ანდა დიდხანს
იცოცხლოს. ის ხალხი, ვინც
თავს ელცინის მემკვიდრედ
თვლის, იყოფა ორ ჯგუფად. პი-
რველში შედიან ისინი, ვისაც
საჭიროდ მიაჩნია მოქმედი კო-
ნსტიტუციის შენარჩუნება. მათ
შორის, უცილობელი ფავორი-
ტია გადამდგარი გენერალი
ალექსანდრე ლებედი. იგი და-
რწმუნებულია თავის გამარ-
ჯვებაში, თუ ელცინი წავა და
თუ არჩევნები, კონსტიტუციის
თანახმად, 3 თვის შემდეგ გა-
იმართება. ავტორის აზრით, გე-
ნერალი ახლა აქტიურად ეძებს
მოკავშირეებს, რომელთა შო-
რის შეიძლება აღმოჩნდნენ
როგორც მემარცხენე, ისე მე-
მარჯვენე ფრთის პოლიტიკო-
სები – რუსეთის კომპარტიი-
დან „იაბლოკოს“ ბლოკამდე.
მეორე ჯგუფს, რომელსაც ავ-
ტორი „გააჩერეთ ლებედი!“-ს
უწოდებს, განეკუთვნებიან კო-
ნსტიტუციაში შესწორებათა შე-
ტანის მომხრენი. ამ ჯგუფის ერ-
თადერთი გავლენიანი წევრია
მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი.
მაგრამ, ავტორის აზრით, არის
მესამე გზაც. იგი გულისხმობს
რუსეთში მონარქიის აღდგენას.
ბოლოს და ბოლოს, მსოფლი-
ოში ჯერ კიდევ მრავლად არი-
ან რომანოვები...

## ეკვადორელებმა არ[illegible] პრეზიდენტს ნორმალური [illegible] ვიცე-პრეზიდენტ[illegible]



ეკვადორის ახალი პრეზიდენტი როსალია ორტეგა (მარცხნივ) თავის დასთან კლაუდიასთან ერთად გამარჯვებას ზეიმობს.

## თავგადაპარსულები დემონსტრანტებს დაერივნენ

20-მდე პოლიციელმა გზა გადაუკეტა დემონსტრაციას, რომელშიც მონაწილეობდნენ ანარქიული და ანტიფაშისტური ორგანიზაციების წევრები, 300-მდე კაცი. ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ცენტრალური სლოვაკეთის ქალაქ პრივიძში არ წყდება თავდასხმები რუმინელებზე. დემონსტრაცია უკანონო იყო, რადგან მისმა ორგანიზატორებმა ვერ უზრუნველყვეს ყველა პირობის შესრულება დემონსტრაციის მოსაწყობად. დემონსტრანტებს თავს დაესხნენ თავგადაპარსულები, მათ ცარიელი ბოთლები და ქვები დაუშინეს საპროტესტო აქციის მონაწილეებს. „ჩვენი მამულისათვის“ ორგანიზაციის წევრის თქმით, ათობით დემონსტრანტი პოლიციელებმა დაჭრეს. მანიფესტაციის ორგანიზატორებმა შინაგან საქმეთა მინისტრს გუსტავ კლაუსს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც განაცხადეს, რომ პოლიციამ არათუ არ გააჩერა თავგადაპარსულები, „სასტიკადაც სცემა ანტირასისტული დემონსტრაციის მონაწილეებს“.

## უკიდურესი მემარჯვენენი დაწინაურდნენ

წამყვანი პოლიტიკური პარტიების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საფრანგეთის მუნიციპალურ არჩევნებში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა უკიდურესად მემარჯვენე ეროვნულმა ფრონტმა, რომელსაც სათავეში უდგას ჟან-მარი ლე პენი, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ამჯერად მან გაიმარჯვა ლაჟვარდოვან ნაპირზე მდებარე ქალაქ ვიტროლში. უკიდურეს მემარჯვენეთა გამარჯვება გამოხატავს ეროვნული ფრონტის გავლენის შემდგომ ზრდას. 1995 წელს ამ პარტიის კანდიდატმა პრეზიდენტის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 15 პროცენტი მოიპოვა. ამას მოჰყვა გამარჯვებები ტულონის, ორანჟისა და მარინიანის მუნიციპალურ არჩევნებში. ყველა ამ ქალაქში ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოსულ იმიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს. არადა, ეროვნული ფრონტის პოლიტიკის საფუძველია საფრანგეთიდან ყველა იმიგრანტის გარეკვა, ვინაიდან მათ აბრალებენ უმუშევრობის მაღალ დონეს ქვეყანაში.

რაც შეეხება კონკრეტულად ქალაქ ვიტროლს, ეროვნული ფრონტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ უკიდურეს მემარჯვენეებს გამარჯვება ერგოთ შექმნილი სპეციფიკური სიტუაციის წყალობით. საქმე ის არის, რომ უმუშევრობის დონე ვიტროლში გაცილებით სჭარბობს ქვეყნის საშუალო დონეს, ხოლო ეროვნული ფრონტის წარმომადგენლის ძირითადი ოპონენტი – სოციალისტი თაღლითობის ბრალდებით გამოძიების ქვეშ იმყოფება.

## ღალატის მოტივი – სიხარბე

ამერიკის ჟურნალმა „ი. ეს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ გამოაქვეყნა სტატია ოლდრიჯ ეიმსის – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი მაღალი თანამდებობის თანამშრომლის შესახებ, რომელიც სამუდამო პატიმრობას იხდის საბჭოთა კავშირისა და რუსეთის სპეცსამსახურების სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. ავტორთა ვარაუდით, ეიმსი გახდა ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდშემოსავლიანი ჯაშუში. მან უშუალოდ აიღო 2 მილიონი დოლარი და კიდევ 2 მილიონი რუსეთში ელოდება. ჟურნალის სტატია მომზადდა „ჯაშუშის აღიარება: ოლდრიჯ ეიმსის სიმართლე“ წიგნის საფუძველზე, რომლის ავტორი, როგორც ჩანს, მას 1994 წელს დაპატიმრებისთანავე ესაუბრა ცენტრალური სადაზვერო სამმართველოსა და ფედერალური გამოძიების ბიუროს დაუკითხავად. ეიმსი აღიარებს, რომ თავის შემკვეთთა მოთხოვნით, გასცა სამმართველოს 25 აგენტი. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე საბრალდებო დასკვნაში იყო ნათქვამი. ჟურნალი აღნიშნავს, რომ, როგორც თვით ეიმსი აცხადებს, მისი ღალატის ერთადერთი მოტივი ყოფილა სიხარბე.

## აიათოლა აფრთხილებს

ირანის ლიდერმა აიათოლა ხამენეიმ გააფრთხილა სპარსეთის ყურის პროამერიკული სახელმწიფოები, რომ ისინი ბევრს დაკარგავენ, თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საომარი მოქმედება გააჩაღა მისი ქვეყნის წინააღმდეგ, იუწყება „სი-ენ-ენ“ ტელეკომპანია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს, ერაყის გარდა, მჭიდრო სამხედრო ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ირანის გაფრთხილება ძირითადად ეხება საუდის არაბეთს, რომელმაც ამერიკელებს თავის ტერიტორიაზე განალაგებინა სამხედრო ბაზები. თეირანი ფრიად შეშფოთებულია იმ ცნობებით, რომ ვაშინგტონი განიხილავს შესაძლებლობას, დაარტყას ირანს შურისგების საბაბით იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ინფორმაცია, რომ ეს ქვეყანა გარეულია ამერიკის დახრანის სამხედრო ბაზაში გასული წლის 25 ივნისის ტერორისტული აქტის ორგანიზაციაში, რომლის დროსაც 19 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

## ყველაზე ლამაზი ამერიკელი ქალი



პავაელი ბრუკ ლი „მისს აშშ-97“-ის გვირგვინის მფლობელი გახდა. 26 წლის მავთვალა ლიმ უკან მოიტოვა 49 სხვა შტატის წარმომადგენელი. გამარჯვებამ ამერიკის ულამაზეს ქალს მოუტანა დაახლოებით 70 ათასი დოლარის პრიზები და საჩუქრები, კატარღა, ავტომანქანა, ძვირფასეულობანი და ა.შ.

## პოლონეთმა არ გადასცა ჩინეთს მისი მოქალაქენი

ვარშავის სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთმა არ უნდა გადასცეს ჩინეთს ცოლ-ქმარი, რომლებიც ჩინეთში იძებნებიან 1 მილიონი დოლარის მითვისების ბრალდებით. 1996 წლის აგვისტოში მანდუგეკისების წყვილი ვარშავაში დააპატიმრეს საერთაშორისო ორდერით, რომელიც ჩინეთის ხელისუფლებმა გასცეს 1996 წელს – მათი წამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ. სასამართლომ განაცხადა, რომ ჩინელი ცოლ-ქმარი დანაშაულში ბრალეულად მიაჩნია, მაგრამ პოლონეთი დამნაშავეებს გადასცემს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს.

## მოსახლეობის ორი მესამედი ოპოზიციის მომხრეა

ბულგარეთში მოწყობილმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ ოპოზიციას მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი, იუწყება როიტერის სააგენტო. არჩევნები დღეს რომ გამართულიყო, გამოკითხვის თანახმად, დემოკრატიული ძალების კავშირს ხმას მისცემდა ამომრჩეველთა 53 პროცენტი, ხოლო სხვა ოპოზიციური ძალები მიიღებდნენ ხმების 11 პროცენტს. ბულგარეთის მმართველ სოციალისტურ პარტიას მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 11 პროცენტი. ამრიგად, ბულგარეთის ოპოზიციას კარგი შანსი აქვს საიმისოდ, რომ გაიმარჯვოს 20 აპრილის არჩევნებში. ხოლო სოციალისტებს, რომლებმაც მოიგეს საპარლამენტო არჩევნები 1994 წლის დეკემბერში, მაგრამ დაკარგეს მოსახლეობის მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების გამო, პრაქტიკულად არავითარი შანსი არ გააჩნიათ.

## რაკეტა, რომელსაც შეეძლო ომის ბედი გადაეწყვიტა

სენსაციური ნაპოვნის შესახებ იუწყება ლონდონის „დეილი ტელეგრაფი“. მეორე მსოფლიო ომისდროინდელი რაკეტების ექსპერტმა, დოქტორმა ჯონ ბეკლეიკმა შრონშირის საგრაფოს კოსფორდის აეროკოსმოსურ მუზეუმში აღმოაჩინა გერმანული რაკეტების „ვასერფალის“ ნაწილები. გერმანელებს რომ მოესწროთ ამ რაკეტების საკმარისი რაოდენობის აწყობა, მაშინ ომის ბედი სხვაგვარად გადაწყდებოდა, აღნიშნავს გაზეთი. რაკეტა „ვასერფალი“ ომის დროს შეიქმნა. იგი წარმოადგენს ზებგერითს საკონტინენტთაშორისო საფრენ აპარატს, რომელიც თხევადი სათბობით მუშაობს. ნაცისტებმა ააწყვეს სულ 20 ასეთი რაკეტა. მუზეუმის დირექციას ვერ უშოვია 12 ათასი გირვანქა, რათა აღადგინოს რაკეტა. აღდგენის შემდეგ კი განზრახული აქვთ, იგი გამოფინონ გერმანელ კონსტრუქტორთა მეორე ნაკეთობის – რაკეტა „ფაუ-2-ის“ გვერდით.

## გეგმა ტერიტორიის დეფიციტის დასაძლევად

ბრიტანული ყოველკვირეული „სანდი ტაიმსი“ თავის სტატიაში მკითხველებს აცნობს ისრაელში შემუშავებულ გეგმას ტერიტორიის დეფიციტის დაძლევის შესახებ. ამ გეგმის შესაბამისად, განზრახულია ხმელთაშუა ზღვაში აშენდეს 40 კუნძული, რომლებიც გადაიჭიმება სანაპიროს გაყოლებით ლიბანიდან ღაზის სექტორამდე. წინასწარი შეფასებით, ამ კუნძულებზე კომფორტულად იცხოვრებდა 20 ათასი კაცი. კუნძულები შეიქმნება ნაპირიდან დაახლოებით ერთ მილზე და ხმელეთს შეუერთდება ხიდებით. გათვალისწინებულია, კუნძულებზე აშენდეს ცათამბჯენები, რომელთა აპარტამენტებს დიდ ფასად გააქირავებენ. „სანდი ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ პროექტმა მოიპოვა მთავრობის მხარდაჭერა, ვინაიდან იგი შედარებით იაფია. ერთი კუნძულის მშენებლობა მილიარდი დოლარი დაჯდება. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ისრაელს სულ მალე დაუდგება ჭარბი მოსახლეობის პრობლემა, ვინაიდან გრძელდება იმიგრაცია და კოლონისტთა გადმოსვლა ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით.

უძღვება

**არჩილ მანჯგალაძე.**

## განგაში!

# „შინ შვილები გშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვს".

### ქართველ მართლმადიდებელ დედათა პროტესტი

ჩვენ, ამ წერილის ავტორებს, ხმა დიდმა ტკივილმა და წუხილმა ამოგვაღებინა: ჩვენი შვილები დღეს ყოვლად ბილწ და სულის წამწყმედ გარემოში იზრდებიან. და თუ რატომ და რანაირად, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

„განზარდენით შვილნი თქვენნი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა", — გვასწავლის პავლე მოციქული. არ გადადიოდნენ ამ შეგონებას ჩვენი წინაპრები და აქამდე მოგვიყვანეს კიდეც ქართველებად. „სჯულის საღმთო სჯული" ერქვა იმ უპირველეს საგანს, რომელზეც იზრდებოდნენ ჩვენი წინაპრები. ეს იყო ჭეშმარიტად მართლმადიდებლური სწავლება. იგი აცნობდა მოსწავლეებს ძველი და ახალი აღთქმის, ეკლესიური ცხოვრების საფუძვლებს. ამ საგნის სწავლებას ჰქონდა უკიდურესად ნათელი მიზანი — სულიერი ცხოვრებისაკენ, მართლმადიდებლობისაკენ სწრაფვა.

ჰოდა, როგორ არ გაგვეხარდება მშობლებს, რომ ჩვენი შვილები სკოლაში „საღმთო სჯულს" სწავლობენ, მათემატიკას, უცხო ენასა თუ სხვა საგნებთან ერთად ძველსა და ახალ აღთქმას ეცნობიან, ლოცულობენ და აზროვნებენ ქრისტიანულად.

მაგრამ ეს, თუ მკრეხელობად არ ჩაგვეთვლება, მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, რადგან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რით და როგორ სწავლობენ.

და აი, აქ მივადექით მთავარ სათქმელს: გამოვიდა წიგნი, რომელიც თურმე მთავარ რელიგიურ სახელმძღვანელოდ გამოცხადებულა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლებისათვის. ამ წიგნის სახელწოდებაა „რელიგიის კარიბჭე" ანუ „რელიგიის ისტორია" (ტირ. 5000 ც.), ავტორი — ნუგზარ პაპუაშვილი.

წიგნის პირველი გვერდი დამაიმედებელი იყო, რადგან მართლმადიდებელ მღვდელს თურმე კურთხევა მიუცია მისთვის. რახან ასეა, თითქოს ყველაფერი წესრიგში უნდა ყოფილიყო. ჩვენც არაფერს ველოდით უმსგავსოს, ან ჩვენი წინაპრების სარწმუნოებისათვის შეურაცხმყოფელს. მაგრამ ასე არ გამოდგა — ჩვენს თვალწინ ანტიეკლესიური, სულის წარმწყმედი „სახელმძღვანელო" გადაიშალა. კითხულობ ამ წიგნს, და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ეს კაცი ქართველი ერისა და მართლმადიდებლობის მტერია და ამ წიგნის დაწერა ვიღაცამ დაავალა, მანაც პირნათლად შეასრულა ეს დავალება.

აბა, სხვა რა უნდა იფიქრო ადამიანზე, რომელიც გვთავაზობს უცხო სარწმუნოებებს, უსჯულო სწავლებებს: ზოროასტრიზმს, ბრაჰმანიზმს, ბუდიზმს, ინდუიზმს, იუდაიზმს, კათოლიციზმს, პროტესტანტიზმს, ერესებს, სექტებს და მიაყოლებს მართლმადიდებლობასაც ყოველგვარი უპირატესობის გარეშე, თითქოს სულერთი იყოს ავტორისთვის ამ ჩამონათვალიდან რომელი მოეწონება ჩვენს, ქრისტიანებად დაბადებულ და ქრისტიანად აღსაზრდელ ბავშვებს. პაპუაშვილს „დიადი" მიზანი ჰქონია — „რელიგიის გაკვეთილი" თურმე „არ უნდა იყოს მქადაგებლურ-კატახიზმური", რათა მუსლიმანმა მორწმუნემ არ იგრძნოს შეწოლა საკუთარ რელიგიასა და სინდისზე.

ბატონო ნუგზარ, ჩვენმა შვილებმა რა დაგიშავეს, რომ ასეთ საწამლავს სთავაზობთ? თქვენც და ყველას ვთხოვთ, სწორად გაგვიგონ: ქართველი მუდამ იყო, არის და იქნება შემწყნარებელი და სხვათა რელიგიური რწმენის პატივმცემელი, მაგრამ იგი, უწინარესად, ასევე მუდამ ქრისტიანი იყო, არის და იქნება! ამიტომაც ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ მართლმადიდებლობის სიყვარული. ამისთვის კი ქრისტიანულად დაწერილი წიგნებია საჭირო და არა ისეთი, როგორიც თქვენი „სახელმძღვანელოა". სადაც კი გაიხედავ, სულ მწვალებლური და სატანისტური წიგნები იყიდება, თუ ვინმეს ამ მკრეხელური ლიტერატურის გაცნობის სურვილი ექნება, მისი ნებაა. მაგრამ, როდესაც სკოლიდან თუ სასწავლებლიდან სახლში მოსული ბავშვი ვალდებულია თქვენი სახელმძღვანელოს მიხედვით ისწავლოს, თუ როგორ დამახინჯებულად ხსნის ყურანი, რომ იესო ქრისტე ყოფილა ალაჰის სიტყვა და სული (?!) და თურმე მაცხოვარი მხოლოდ ალაჰის მოციქულია (?!) და მეტი არაფერი, რომ თურმე წმიდა სამება — მამა, ძე და სულიწმიდა — იგივეა, რაც ბრაჰმა, ვიშნუ და შივა, რომ თურმე ინდუისტური მოძღვრების მიხედვით სულთა გადასახლება (რეინკარნაცია) ხდება და თან ეს ყველაფერი დეტალურად, უკომენტაროდ არის აღწერილი (ამას ყველაფერს ეკლესია უარყოფს, როგორც ერესს — მწვალებლობას), ჩვენ, შვილების მართლმადიდებლურად მომნათლავი დედები, პროტესტს ვაცხადებთ.

წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის „უპირველესად ქრისტიანად აღზარდეთ შვილი ბავშვობიდანვე უფლის სწავლითა და მოძღვრებით, რამეთუ ერისკაცებსაც ძალიან სჭირდებათ საღმრთო წერილში გადმოცემული სწავლება, განსაკუთრებით ბავშვებს, მათ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იციან". და აი, სწორედ ამ „არმცოდნე" ბავშვებს აწვდის „საზრდოს" ნუგზარ პაპუაშვილი და უჩიჩინებს, რომ თურმე ყველა რელიგიაში ბევრი რამაა კარგი და აუცილებელი არაა სიკეთე მხოლოდ ქრისტიანობაში ვეძებოთ, და უპირისპირებს ქრისტიანობას ყველაფერს მახინჯს და საშინელს.

„არსებობს იოგას უამრავი სახე... რომელთაც მივყავართ იდეალთან, ღვთაებრივ სინდისთან, სამადჰისთან", — ამბობს პაპუაშვილი.

პავლე მოციქული კი გვახსენებს „განზარდენით შვილნი თქვენნი სწავლებით და მოძღვრებითა უფლისაითა" (ეფესელთა 6.4).

ნუგზარ პაპუაშვილი დაბეჯითებით წერს: „ქრისტიანობა არის ხსნისა და გამოსყიდვის რელიგია, ეს მისია აკისრია საბოლოო ჯამში ყველა რელიგიას" (?!). მოკლედ, ბატონი ნუგზარი დაჟინებით თესავს „არმცოდნე" ბავშვების ყამირ გონებაში, რომ ყველა რელიგია ერთია, ყველას რაღაც აქვს საერთო, ყველა კარგია, აირჩიე, რომელიც გინდა, რადგან ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა, ყველა რელიგია ახლოსაა ჩვენს სარწმუნოებასთან.

უფრო მეტიც: განა იმაზე მეტი მკრეხელობა იქნება, როცა ავტორი იუდეველების ენით ლაპარაკობს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ამორალურ ქალად გამოჰყავს: თურმე, ნუ იტყვით და, წმინდა მარიამი ფეიქარი ყოფილა, რომელსაც შვილი გაქცეული რომაელი ჯარისკაცისგან ჰყოლია (?!) რამდენიმე... ხელა „სიკეთეს" ამჟღავნებს თურმე ამ დროს მუჰამედი, იგი აკრიტიკებს ამ აზრს.

აქ ვწყვეტთ „რელიგიის კარიბჭეზე" ლაპარაკს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენმა შვილებმა ეს მწვალებელთა „კარიბჭე" შეაღონ. ზემოთ ნათქვამი ზღვაში წვეთია, იმ ბოროტებასთან შედარებით, რაც ამ წიგნშია ჩადებული. მისი განხილვა და კრიტიკა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიგვინდია, რომლის სამღვდელოება და მრევლიც უეჭველად აუმხედრდება ჩვენი შვილების საწამლავს — „ეკლესიის კარიბჭეს". ჩვენი სურვილია, რომ სკოლებში დაწესდეს მართლმადიდებლური დოგმატის სწავლება, რათა ჩვენს შვილებს მტკიცედ გაუჯდეთ მართლმადიდებლობის არსი, რათა სხვა უსჯულო სწავლებებმა არ დააბრკოლოს მომავალი თაობა. ჩვენი სურვილია, ჩვენს შვილებს ასწავლონ ისე, როგორც გვასწავლიდნენ წმ. მამები, და არა ისე, როგორც პაპუაშვილის „რელიგიის კარიბჭე" და თვარაძის „რელიგია და კულტურა" გვმოძღვრავენ. მგონი ასეთი წიგნებით დამახინჯებულ სწავლებას სჯობს, საერთოდ არ ვასწავლოთ სკოლებში რელიგია.

...ჯალალედინის სისასტიკეს ქართველებმა ასიათასი მოწამით უპასუხეს, ასიათასმა კაცმა დაუმტკიცა თავისი სიყვარული უფალს. შვიდი საუკუნის წინათ დაღვრილი ეს წმინდა სისხლი დღესაც გვშველის ქართველებს, დღესაც გვაფხიზლებს და დღესაც შეუპოვარს გვხდის. ნ. პაპუაშვილის „რელიგიის კარიბჭემ" დღეს ჯალალედინის ტოლფასი ცოდვა იკისრა. მაგრამ უკაცრავად! ამ ცოდვის ზიდვა მარტო თავად არ სურს. აუცილებლად ჩვენი გასაცოდავებული სკოლების პედაგოგ-მასწავლებლებიც უნდა ჩაითრიოს. და... ვაი, მას, ვინც ამ უგუნურ საქმეში გაჰყვება ბატონ ნუგზარს.

მოვუწოდებთ ყველა მშობელს, ყველა სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებსა და პედაგოგებს მხარი აგვიბან, გაეცნონ ამ ნაწარმოებს და დაგვეხმარონ, რომ წინ აღვუდგეთ ამ წიგნის შეტანას სკოლებში.

**თეონა რუსაძე, მანანა ყიფიანი, ნინო ბზვანელი, რუსუდან კობახიძე, ირმა ჯიშკარიანი, ლია სულთანიშვილი, ნინო მენაბდე, მაიკო ხუჭუა, მარინა ანთაძე, თეო ზენაიშვილი, ანა ლამბაშიძე, ციცინო ოსიტაშვილი.**

## ახალი წიგნი

### „ნადირობა ვეფხვებზე საქართველოში"

ასე ეწოდება ცნობილი რუმინელი პოეტის, მწერლის, დრამატურგისა და მთარგმნელის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, „მე-12-20 საუკუნეების ქართული პოეზიის ანთოლოგიის" ავტორის დუმიტრუ მ. იონის წიგნს. ახალი წიგნი გამოვიდა ბუქარესტში მასობრივი ტირაჟით ყველაზე პრესტიჟულ სახელმწიფო გამომცემლობა „კარტია რომანესკაში". ავტორი შესავალ სტატიაში საკმაოდ დაწვრილებით საუბრობს ორი ხალხის კულტურათა მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის შესახებ, ხაზს უსვამს, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ანთიმოზ ივერიელმა რუმინული ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რისთვისაც იგი წმინდანად არის შერაცხული.

დუმიტრუ მ. იონი აღწერს თავის შეხვედრებს ირაკლი აბაშიძესთან, გრიგოლ აბაშიძესთან, იოსებ ნონეშვილთან, რევაზ მარგიანთან, ოთარ ჭილაძესთან, თამაზ ჭილაძესთან, მორის ფოცხიშვილთან, სხვა პოეტებთან და მწერლებთან. ყდა შემკულია ლადო გუდიაშვილისა და კობა გურულის ილუსტრაციებით.

საქინფორმი

## კავშირგაბმულობა



### ტაქსოფონით — მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მკვიდრდება საერთაშორისო კავშირგაბმულობის მუშაობის გამოცდილება, თანამედროვე უახლესი ტექნოლოგია და აპარატურა. შარშან გაზაფხულზე ჩამოყალიბდა შპს „პელიკომი" (გენერალური დირექტორი ანა ავალიშვილი). მისი ძირითადი მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე საბარათო ტაქსოფონების ქსელის შექმნა.

ამ პროგრამის განხორციელება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და აუცილებლად საჭიროებს სერიოზულ ინვესტიციებს. მოიძებნა კიდეც ინვესტორი, ბერძნული ფირმა „ინტრაკომი", რომლის დახმარებით წლის ბოლომდე საქართველოს ტერიტორიაზე დამონტაჟდება ტაქსოფონების ქსელი, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ტაქსოფონები დამონტაჟდება ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, აეროპორტში, სადგურებში, საიდანაც მომხმარებელს საშუალება ექნება შეუფერხებლად დარეკოს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ოღონდ ამისათვის საჭიროა შეიძინოს სპეციალური ბარათები. ეს ბარათები მალე ყველგან გაიყიდება.

უნდა ითქვას, რომ „პელიკომი" შემოსავლის ...ქართულ... საწარმოა და ...ინვესტიციო თანხის გასტუმრების შემდეგ შემოსავალი მთლიანად საქართველოში დარჩება.

სულ მალე საქართველო ტურიზმის ქვეყნად გადაიქცევა და ამისთვის ხომ წინასწარ უნდა მოვემზადოთ. ამიერიდან ნებისმიერ უცხოელს საშუალება ექნება, როცა მოესურვება, სრულიად იოლად დარეკოს ოჯახში და გაიგოს ახლობლების ამბავი. ჩვენ კი საქმიანი საუბარი გავაბათ იქ, სადაც გვინდა.

**ლალი ძინძლაძე.**

სურათებზე: ტაქსოფონი და სალაპარაკო ბარათი




## შემთხვევები

### უნივერსიტეტში — კვლავ ხანძარი

11 თებერვალს, 16 საათსა და 45 წუთზე ცეცხლი გაუჩნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, პირველ სართულზე მდებარე სპორტული დარბაზის გასახდელს.

შემთხვევის ადგილზე რვა სახანძრო მანქანა მუშაობდა. მეხანძრეებმა 17 საათსა და 02 წუთზე ხანძარი ჩააქრეს.

დაიწვა 25 კვადრატული მეტრი ფართობი. ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ადგენენ.

### იხსნეს ოთხი ადამიანის სიცოცხლე

თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთი სახლის სარდაფში, სადაც მოთავსებული იყო ბენზინით მომუშავე დიზელ-გენერატორი, დაგროვილი გამონაბოლქვი აირით მოიწამლა ოთხი ადამიანი.

სახანძრო ავტომანქანებთან ერთად შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდნენ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან არსებული ექსტრემალური მედიცინის სამსახურის წარმომადგენლები. ექიმებმა შეძლეს ოთხივე დაზარალებული ადამიანის გადარჩენა. პირველი დახმარების აღმოჩენის შემდეგ ისინი სასწრაფოდ გადაიყვანეს სამკურნალოდ იქვე ახლოს მდებარე რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

საქინფორმი.

## ბრალი ედებათ

### შვილი — საავადმყოფოში. მამა — პოლიციის საკანში

ახლა გამომძიებლები ირკვევენ, თუ რაზე წალაპარაკდნენ ჩუღურეთის რაიონში, ზაზიაშვილის ქუჩა № 13-ში მცხოვრები ჯანსულ გაჩეჩილაძე და მისი შვილი ბესიკი. ფაქტი ერთია, რომ ჩხუბის დროს დანის წართმევისას მამამ მუცლის არეში დაჭრა შვილი, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს.

ჯანსულ გაჩეჩილაძე დაკავებულია.

### 90 მთვრალი — მანქანის საჭესთან

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის თანამშრომლებმა განახორციელეს მორიგი ღონისძიება, რომლის დროსაც გამოვლინდა საგზაო მოძრაობის დარღვევის 3978 ფაქტი, მათ შორის: 90 პირი ავტომანქანას მთვრალი მართავდა, 228 მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით, 364-მა დაარღვია მოძრაობის წესები, 36 პირი ავტომანქანის მართვის უფლების გარეშე აღმოჩნდა, ხოლო 11 სახელმწიფო ნომრების გარეშე მოძრაობდა, 358 მანქანა ტექნიკურად გაუმართავი იყო, 82 არ დაემორჩილა პოლიციელს.

### კონტრაბანდისტები

ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს და ქვემო ქართლის სამხარეო შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა რუსთაველ რამაზ შუბითიძეს, გოგი მარტიაშვილს და ზურაბ ბოლქვაძეს ჩამოართვეს საბაჟოს გვერდის ავლით შემოტანილი არასერტიფიცირებული 210 კილოგრამი თევზი.

### ტყის გაჩანაგებისათვის

გურიის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოს ეკოლოგიის სამსახურის თანამშრომლების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნანული თიკასუას და არშაკ ოლოიანის მიმართ: მათ უნებართვოდ მოჭრეს შესაბამისად 17 კუბური მეტრი და 18 კუბური მეტრი ხე-ტყე, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს 1841 ლარის ღირებულების ზარალი.

საქინფორმი.






# გოდერძი მახარაძე — გინესის წიგნში

გასულ წელს, 26 მაისს თბილისის „დინამოს" ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკზე ერთობ უჩვეულო ასპარეზობა გაიმართა — საკუთარ თავს და ცნობილ გინესის რეკორდს ებრძოდა თვით ბურთის აკეწვლის ქართველი ჯადოქარი, 23 წლის გოდერძი მახარაძე.

ეს უჩვეულო შეჯიბრება მან საქართველოს თასის ფინალური მატჩის დაწყებამდე მთელი 6 საათით ადრე დაიწყო. ბურთი, თითქოს თავზე ჯადო აქვს, არა და არ ემვებოდა თავქვემოთ და ასე გასტანა... 8 საათის, 12 წუთისა და 25 წამის განმავლობაში, ბურთი აიკეწწლა 64 ათასჯერ!

მოიხსნა კენიელი აბუტო ნანჯონგის რეკორდი (5,5 საათი), აგრეთვე კორეელი ჩუნ ჩუ ჩმინის (7 საათი, 17 წუთი, 48 წამი), რის შემდეგაც იგი ძალაგამოცლილი ჩაიკეცა კიდეც.

და აი, ამ დღეებში გოდერძი მახარაძემ — ჩვენმა რეკორდსმენმა — უკვე მიიღო გინესის წიგნში მისი რეკორდის შეტანის დასტური სერთიფიკატი — დიპლომი.

გოდერძი სხვა საოცრებათა ჩვენებასაც აპირებს მომავალში — სურს ბურთის შეუჩერებლად აკიწწლით გაიაროს 15 კილომეტრი წინსვლით და 10 კილომეტრი — უკანსვლით. ამას გარდა, აპირებს უჩვეულო მდგომარეობაში — დამჯდარმა აკეწწლოს ბურთი მთელი 2 საათის განმავლობაში.

გოდერძი მახარაძეს სხვა სენსაციური და სარისკო ტრიუკების ჩატარებაც აქვს განზრახული, მაგრამ ამაზე — შემდგომ.

**ანზორ ბასილაია.**

სურათებზე: გოდერძი მახარაძე — „საქმეში"; სერთიფიკატი-დიპლომი, რომელიც ადასტურებს გოდერძის რეკორდის გინესის წიგნში შეტანის ფაქტს.

### „დინამო" კვლავ წააგო

აშხაბადი. (ტელეფონით — ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ზიპ ალატონიშვილი). თბილისის „დინამომ" ფეხბურთში თურქმენეთის პრეზიდენტის თასზე გათამაშების ქვეჯგუფში მეორე შეხვედრა წააგო მინსკის „ატაკასთან" — 1:2 და მთავარი პრიზისათვის ბრძოლის ყველა შანსი დაკარგა.

შეხვედრა დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს, მე-7 წუთზე გუნდის კაპიტანმა რ. კერძევაძემ ოთხი მცველი მოატყუა და ანგარიშიც გახსნა.

რამდენიმე წუთში თბილისელებს კვლავ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ უპირატესობა ვერ გამოიყენეს. ამის შემდეგ მინსკელები გააქტიურდნენ, კარგად გამოიყენეს ჩვენი დაცვის შეცდომები და 30-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს.

მეორე ტაიმის მეათე წუთზე ყიზილაშვილის წაქცევისათვის მინსკელთა კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დაინიშნა, მართალია, დემეტრაძემ ბურთი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა აღნიშნა გოგიჩაიშვილის მიერ წესის დარღვევა, განმეორებით დარტყმისას მეკარემ ბურთი აიღო.

ამის შემდეგ დინამოელთა თამაში აირია და მალე საკუთარ კარში მეორე ბურთიც მიიღეს.

მინსკელთა შეტევები გრძელდებოდა და მეკარე ზოიძის თავგანწირული თამაში რომ არა, თბილისელები შეხვედრას დიდი ანგარიშით წააგებდნენ. ზოიძემ კი საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს" მთავარი მწვრთნელის გარეშე (დ. ყიფიანი ლონდონშია), თამაში არ გამოსდის, არ იგრძნობა მობილიზება, წესრიგი. ბოლო თამაში გადატანილია 16 თებერვლისათვის, თბილისელები ხვდებიან პოლტაველებს, რომლებმაც დღეს სემიპალატინსკის გუნდი დაამარცხეს.

აღმაფრენით თამაშობენ მასპინძლები, ისინი მეორე ქვეჯგუფში ერთპიროვნული ლიდერები არიან და ამაში, პირველ რიგში, ქართველ ლეგიონერებს მიუძღვით ლომის წილი.

### რობერტო ბაჯოს „მზე ჩაეიდა"

რობერტო ბაჯო 29 წლისაა, სხვები ამ ასაკში ბრწყინვალედ თამაშობენ, სულ ცოტა ხნის წინათ თვით რობერტოც მსოფლიოს № 1 ფეხბურთელი იყო, ახლა კი...

რა თქმა უნდა, არავის გაუკვირდა, როდესაც იგი მწვრთნელმა არიგო საკიმ ინგლისში, ევროპის პირველობაზე არ წაიყვანა. „მილანის" მწვრთნელმა ოსკარ ტაბარესმა პირველ წრეში მხოლოდ ორი სრული მატჩი ათამაშა, ზოგჯერ კი შეცვლაზე შემოჰყავდა.

მას შემდეგ, რაც „მილანს" არიგო საკი ჩაუდგა სათავეში, ისიც, გასაგებია, ვეტერანს არა სწყალობს. იცვლებიან თავდამსხმელები: ხან ვეა თამაშობს, ხან სიმონე, ხან ფრანკი დიუგარი, ათასში ერთხელ — ბაჯო. მეტიც ერთია — „მილანს" მაინც არაფერი შველის. მოელიან, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ ბაჯო დასტოვებს გუნდს. სად წავა? არავინ იცის.

ფეხბურთი



# ლინარესის სუპერტურნირზე

მიმომხილველთა აზრით, ლინარესის სუპერტურნირს ძალიან შეელის მისი ორგანიზატორის, მეცენატ რენტერის სიმკაცრე. თუ სხვა შეჯიბრებებში პარტიების უმეტესობა ყაიმით მთავრდება, ეს ლინარესში საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, რადგან თითოეული მოგებისათვის რენტერი ფულადი თანხით აჯილდოვებს მოჭადრაკეს. პრესკონფერენციაზე რენტერიმ „მშიშარა" უწოდა მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვს, რომელიც, არაერთი თხოვნის მიუხედავად, ესპანეთში არ ჩამოვიდა. როგორც მეცენატი ფიქრობს, მან, უბრალოდ, აირიდა მეორე მსოფლიო ჩემპიონ გარი გასპაროვთან შეხვედრა და მორიგი კრახი.

ამასობაში კი ბრძოლა ტურნირზე ძალიან გაცხარდა. 5 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე იყო ერთადერთი მონაწილე ქალი იუდით პოლგარი, რომელმაც მოიგო სამი პარტია პრედრაგ ნიკოლიჩთან, ალექსეი დრეევსა და, როგორც ყოველთვის, ვასილ ივანჩუკთან (რომელიც ძალიან დაბრიყვებული ჰყავს), და ორი ყაიმით დაასრულა. ამაზე მეტი მოულოდნელობა რაღა უნდა ყოფილიყო. მეექვსე ტურის შემდეგ პოლგარს დაეწივნენ მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი და კრამნიკი — თითოეულს უკვე 4,5 ქულა ჰქონდა.

ყველაზე საინტერესო მაინც მეშვიდე ტური გამოდგა. დამარცხდა ერთბაშად 3 მონაწილე, რომელსაც აქამდე წაგება არ ჰქონია. კასპაროვმა მოუგო ინგლისელ მაიკლ ადამსს, რომელიც ამ მომენტამდე ჩინებულად იბრძოდა. 5 ყაიმისა და მეექვსე ტურში მოგების შემდეგ დამარცხდა ბორის გელფანდი (ბელორუსია) ბულგარელ ვესელინ ტოპალოვთან. ბოლოსდაბოლოს, წააგო იუდით პოლგარმაც ვლადიმირ კრამნიკთან, დიდოსტატთან, რომელთანაც ყოველთვის ერთობ მარცხიანად თამაშობს.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ 5,5 — 5,5 ქულით პირველ — მეორე ადგილებს იყოფენ კასპაროვი და კრამნიკი. პოლგარი 4,5 ქულით მესამე ადგილზეა.

### მიხეილ კეკელიძემ ჩინებულად ითამაშა

ქალაქ ობერნბურგში (გერმანია) გაიმართა საერთაშორისო ტურნირი შვეიცარული სისტემით, 7 ტურად, რომელიც ადგილობრივი საჭადრაკო კლუბის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა.

6-6 ქულით პირველი — მესამე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ვიქტორ გავრიკოვმა (შვეიცარია), ლევ ფუტმანმა (ისრაელი) და ახალგაზრდა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა მიხეილ კეკელიძემ. უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი გავრიკოვს მიეკუთვნა.

### ქეთევან კახიანი ემზადება

დიდოსტატი ქეთევან კახიანი, რომელიც ახლა გერმანიის № 1 მოჭადრაკეა, წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის — პრეტენდენტთა ტურნირისთვის ემზადება. ამას წინათ მან მონაწილეობა მიიღო ვაჟ დიდოსტატთა შეჯიბრებაში ქ. შიონეკში (გერმანია). ქეთევანი თამაშობს ბუნდესლიგაში (ქვეყნის გუნდური პირველობა), ემზადება ქ. მუგენშტურმში (კარლსრუესთან ახლოს), სადაც უკვე რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს.

**გივი გამრეკელი.**



კრედიტორების საყურადღებოდ!
შპს „ახალი ბიზნესი", რომელიც რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში, აცხადებს ლიკვიდაციას.
დირექტორი: ა. კოზმანაშვილი.

შვილი მორენა, სიძე ჯამლეტ ჯანჯღავა, შვილიშვილები სალომე და გიორგი ჯანჯღავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გივი მაშალას ძე მიქავა**
გამოსვენება 18 II. 4 სთ. ქ. ზუგდიდი, დეკაბრისტების ქ. 19.

შვილი მაია ცხვიტორია, შვილიშვილი სოფიკო, სიძე ვასილ ტყეშელაშვილი, მძახლები ცისანა კაკაბაძე, თეიმურაზ ტყეშელაშვილი, ძმები შალვა, გრიგორი, რძალი ლილი წულაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ნინო (ნუცა) ილარიონის ასული კოპალიანი-ცხვიტორია**
პანაშვიდი 13 II, 4 სთ., დაკრძალვა 15 II, 2 სთ., მისამართი: საბურთალოს ქუჩა № 42. მე-6 კორპუსი.

ცეკავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი კოოპერატორი
**მიხეილ გალაქტიონის ძე ყავლაშვილი**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ისნის რაიონის გამგეობის თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ რაიონის კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის გამგეს რამაზ დილმელაშვილს სიძის
**ოთარ ალექსანდრეს-ძე მელაძის**
გარდაცვალების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლო თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ვალერიან ედიშერაშვილს მეუღლის
**გულიკო ივანეს ასულ ბერიძე-ედიშერაშვილის**
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ინდექსი 66434

ნომრის მორიგე რედაქტორი ნანული ბარათაშვილი

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.